2137
2020 №1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანახი 1.2020

ISSN 2346-8416

აპმალიანი

ალმოსავლური ჟურნალი

გამოდის წელიწადში ორჯერ

ივნისი

თბილისი

2020

„**არმალანი** – შორით მოსულისაგან მოლებული
მის თემის ძლვენი“ (საბა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს

მაგალი თოდუას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძღვნება ნოდარ ჯანაშიას ნათელ ხსოვნას

რედაქციისგან

გამოჩენილ ქართველ თურქოლოგს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგეს 1973-2004 წლებში, ნოდარ ჯანაშიას, 2020 წლის 1 იანვარს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა.

ნოდარ ჯანაშია სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. იგი თარგმნიდა როგორც თურქული, ასევე, აზერბაიჯანული, უზბეკური და ფრანგული ენებიდან, ძირითადად, თანამედროვე მხატვრულ პროზას.

ამ თარგმანების უმრავლესობა გასულ საუკუნეში გამოქვეყნდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ან დაიბეჭდა ცალკე წიგნად. რამდენადაც მათი გამოსვლიდან საკმაოდ დიდმა დრომ განვლო და დღეს ეს წიგნები, პრაქტიკულად, ხელმიუწვდომელია, რედაქციამ მკითხველისთვის საინტერესოდ მიიჩნია ზოგიერთი თარგმანის ხელახლა გამოქვეყნება.

შევნიშნავთ, რომ ჟურნალის წინამდებარე გამოშვებაში შესული რამდენიმე ნაწარმოები მთარგმნელის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა და ისინი პირველად ქვეყნდება.

ყოველი თხზულების დასაწყისში, სქოლიოს სახით, რედაქციის მიერ აღნიშნულია, თუ როდის და სად დაიბეჭდა აღნიშნული თარგმანი. დანარჩენი კომენტარები ეკუთვნის პირადად მთარგმნელს. რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია, თარგმანები, თავისი კომენტარებითურთ, დაებეჭდა უცვლელად – იმავე სახით, რა სახითაც ისინი თავად მთარგმნელმა მოამზადა.

***

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერში გთავაზობთ ბატონი ნოდარის თარგმანებს თურქული და აზერბაიჯანული ენებიდან.

***

ვფიქრობთ, თანამედროვე საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ბატონი ნოდარის კიდევ ერთი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინება. ბატონი ნოდარი დაჯილდოებული იყო ესთეტიკური აღქმის განსაკუთრებული უნარით, რაც ბუნებისგან ბოძებული სილამაზის შემოქმედებითად გარდაქმნისა თუ ჩამოქნის ოსტატობაში ვლინდებოდა. ნოდარ ჯანაშიას სიცოცხლეში ხის ტოტებიდან და ფესვებიდან „ამოზრდილი" მისეული ფიგურები არაერთი გამოფენის ექსპონეტებად ქცეულან და ავტორისთვის მრავალი ჯილდოც მოუტანიათ.

ჟურნალის ბოლო გვერდები ბატონი ნოდარის მიერ შექმნილი ხის ფიგურების ფოტოგამოფენას ეთმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა



აზერბაიჯანული ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენვერ მამედხანლი
(1913-1990)

წითელი კოკრები[1]

(ციკლიდან „თავრიზული მოთხრობები")

მოხუცი ფირუზა მზის ჩასვლისას ბრუნდებოდა სახლში. ზოგჯერ, როცა ბაზარში ბევრი სამუშაო იყო ხოლმე, იგი მთელი დღე თავდაღუნული ტვირთს ეზიდებოდა, ხან კიდევ უსაქმოდ იდგა ვეებერთელა საწყობებთან, სამუშაოზე ოცნებობდა და იმის მოლოდინში იყო, რომ ვინმე დაუძახებდა. ასეთ დღეებში ის ჩაცუცქდებოდა იქვე და კედელზე მიყრდნობილი საცოდავად თვლემდა.

ძალზე მოხუცებულია ფირუზა. ალბათ, ამიტომაც სტკივა მას ძვლები? ან იქნებ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გადაზიდული დიდძალი ტვირთია, მას რომ მხრებს უმძიმებს.

ყოველი დღე მძიმე ტვირთად აწვა ფირუზას და კიდევ უფრო კაკვავდა წელში... სხეულთან ერთად მისი ცხოვრებაც და შეგნებაც ისრისებოდა ამ აუტანელი ტვირთის ქვეშ.

რამდენი ზანდუკი, ავეჯი და ხალიჩა უზიდავს მას ამ დიდსა და მდიდარ ქალაქში, სავსე საწყობების რამდენი მძიმე ბოღჩა უტარებია მოხუცის ზურგს და თითქოს ყოველი მათგანის სიმძიმის ნაწილი სამუდამოდ შერჩენია ფირუზას ცხოვრებას.

ბოლო დროს იგი მზის ჩასვლისთანავე მიატოვებდა ხოლმე ბაზარს და სადღაც მიიჩქაროდა. ამ დროს საქმეც რომ გამოსჩენოდა, ყურს არ ათხოვებდა. უსაქმოდ გატარებულ დღეებშიც ისე იყო დაღლილი, რომ მტვრიან ქუჩაზე გაჭირვებით მიათრევდა თავის ჩრდილს.

იგი მიაშურებდა ქალაქის განაპირას მდებარე ერთ ხალიჩების საქსოვ ფაბრიკას, იქ შეჩერდებოდა, მიეყრდნობოდა დიდი ხნის გამხმარ ჩინარს და ქარხნის ჭიშკარს შეჰყურებდა. მოხუცს ფიქრი იტაცებდა, მაგრამ, განა ისვენებდა ან მშვიდდებოდა აქ ფირუზა? არა, აქ იგი სხვა, უფრო მძიმე ტვირთს ელოდებოდა...

უეცარმა ხმაურმა მოსწყვიტა მოხუცი ოცნებათა სამყაროს. მისი თვალები გაფაციცებით ეძებდა ვილაცას ქარხნის ფართოდ გაღებული ჭიშკრიდან ჯგუფ-ჯგუფად გამომავალ ბავშვთა შორის. და აი, ისიც, ორ გოგონას რომ მოჰყავს ხელით, მისი შვილიშვილი სურეიე, გამხდარი და ფერმკრთალი შვიდი-რვა წლის გოგონა.

სურეიემ, ჯერ კიდევ ახალფეხადგმულმა ბავშვმა, ბნელსა და ნესტიან მიწურში დაკარგა სიარულის უნარი და კუტად დარჩა. საწყალ მოხუცს ამ კუტი შვილიშვილის მეტი არავინ გააჩნდა ქვეყანაზე. ვაჟი, რომელიც შორს ქირაზე იყო წასული, უგზო-უკვლოდ დაიკარგა და არავინ იცოდა, ცამ უყო პირი თუ დედამიწამ. რძალი კი ადრე გარდაეცვალა, ჯერ კიდევ, როცა სურეიე დედის ძუძუს წოვდა. და უნდო წუთისოფელს პირისპირ შერჩნენ ქანცგამოლეული მოხუცი და კუტი გოგონა.

ფირუზა მიუახლოვდა ბავშვებს, ფრთხილად შეისვა შვილიშვილი ზურგზე და თავდაღუნული ჩუმად გაუდგა გზას. ყოველთვის, როცა კი მოხუცი ზურგზე შეისვამდა ამ ბუმბულივით მსუბუქ საწ-

---

[1] პირველი სხივი, III, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალ გოგონას, მას ეგონა, თითქოს მთელი თავისი მძიმე და ტანჯული ცხოვრება ეკიდა ზურგზე. სურეიე იყო მისი ხვედრი, მისი ცხოვრების ტვირთი, რომლის სიმძიმისგან მოხუცის მთელი ტანი იზნიქებოდა.

– ბაბუა, შენ, ალბათ, დღეს ძალიან დაიღალე?

– არა, შვილო, მე დღეს არაფერი გამიკეთებია.

გოგონა მაშინვე მიხვდა ყველაფერს: თუ ასეა, მაშინ ბაბუას დღესაც ცარიელი ექნება ჯიბე. პურის დუქანთან რომ გაიარეს, მან მაინც გააჩერა ბაბუა.

– მოიცა, ბაბუა, პური ვიყიდოთ.

მოხუცი შეჩერდა. გამყიდველმა რამდენიმე ნამცხვარი გაუწოდა მოხრილ ფირუზას. სურეიემ კი თავსაფრის ყურში გაკრული თავისი დღევანდელი გასამრჯელო – ორი კრანი[1] ამოიღო და გამყიდველს მისცა. მოხუცს ოფლმა დაასხა. მას დღესაც პატარა შვილიშვილის ფულით ნაყიდი პური უნდა ეჭამა...

საღამოს ნახევრად ბნელ და ნესტიან მიწურში ბაბუა და შვილიშვილი უსხდნენ მიწაზე დაგებულ ჭილოფს, რომელსაც ჩითის გახუნებული სუფრა ეფარა. სუფრაზე ელაგა რამდენიმე ნამცხვარი და ერთი ნაჭერი ყველი. ეს მათი ჩვეულებრივი ვახშამი იყო. სამაგიეროდ, ამ ბნელ მიწურში ღარიბ სუფრასთან მიმჯდარი მოხუცი ყოველ ღამე უყვებოდა თავის პატარა სურეიეს მრავალ ზღაპარს. სურეიე სულგანაბული უსმენდა ბაბუას ნაამბობს და ჭრელად აფერადებულ თვალწარმტაც სამყაროში გრძნობდა თავს. მაშინ ფრთას ისხამდა მისი გულის სილრმიდან უბრალო და ნათელი ოცნება და ზღაპრული სასახლეებისაკენ მიაქანებდა. ხოლო ძილში მთელი ღამე საარაკო სიზმრებს ხედავდა.

სურეიეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარმოდგენა ბედნიერების შესახებ. ყოველთვის ესიზმრებოდა ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელიც ნათელი ოთახის ღია კარში იდგა და მას უხმობდა. სურეიე მას საყვარელი დედის ხატებად თვლიდა.

დილ-დილობით ტკბილ და ნათელ სიზმრებს ბაბუას ძახილი უფანტავდა. მოხუცი აწყვეტინებდა დილის ტკბილ ძილს, შეისვამდა ზურგზე და ქარხანაში მიჰყავდა. თვითონ კი ბაზარს მიაშურებდა, რათა თავის საქმეს სწეოდა.

წელიწადზე მეტი იყო, რაც სურეიე ამ ქარხანაში მუშაობდა. ყოველ დილით, მზის ამოსვლისას, ქარხანა სხვადასხვა ასაკის ბავშვებით ივსებოდა. აქ ერთიორი ოსტატისა და ქარხნის მოხუცი მხატვრის გარდა ნახავდით მხოლოდ პატარა ბავშვებს, მიმსხდართ ორ რიგად ჩამწკრივებულ ვეება საქსოვ დაზგებთან. ყოველ დაზგას ორი, სამი ან მეტი ბავშვი უჯდა. ისინი დილიდან საღამომდე ქსოვდნენ.

უფროსი გოგონები ყოველ დილით დასვამდნენ სურეიეს დაზგასთან მიდგმულ ტახტზე, შემდეგ თვითონაც მოუსხდებოდნენ მას ორიევ მხრიდან და მაშინვე იწყებდნენ მუშაობას. მათი თითები ელვის სისწრაფით მოძრაობდნენ ჭრელ ძაფებს შორის.

ბავშვები ხმისამოუღებლად იწყებდნენ მუშაობას. ცოტა ხნის შემდეგ კი ყოველი მათგანი ღიღინებდა სიმღერას ამ ერთფეროვანი და მომქანცველი შრომის შესამსუბუქებლად. მათი ღიღინი წარმოშობდა რაღაც გაურკვეველ ბუტბუტს და თანდათან ყუჩდებოდა მაშინ, როცა ვინმე წკრიალა ხმით მოჰყვებოდა სიმღერას.

სურეიე კი დუმდა. მას არც ხმა ჰქონდა და არც სიმღერა იცოდა... თაფლისფერ თვალებს არ აშორებდა გადა-

[1] კრანი ანუ რიალი – ირანული ფულია, ოც კაპიკს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიმული ძაფების ქსელს და ცდილობდა, მთელი თავისი ყურადღება, ხელოვნება და მონდომება მასში ჩაექსოვა. ქსელზე მის მიერ ამოქსოვილი კოკრები მთელს ქარხანაში იყო ცნობილი და მოხუც მხატვარსაც წითელკოკრებიანი ქარგები პატარა სურეიესთვის უნდოდა.

სურეიეც თავისი ალერსსა და დაყვავებას მოკლებული სულის მღელვარებას ამ კოკრებში აქსოვდა. ამიტომ მის მიერ ამოქსოვილი კოკრები ისე ცოცხლად და სხივიანად გამოიყურებოდა, რომ კაცს ეგონებოდა, საკმარისია, მზის სხივი მოხვდეს და ისინი მაშინვე გაიფურჩქნებაო.

მაგრამ სურეიე ველარ ასწრებდა დამტკბარიყო თავისი ნახელავით. როგორც კი შეკრავდნენ უკანასკნელ კვანძს, ხალიჩა მაშინვე მიჰქონდათ და სურეიეს აღარ ეწერა მისი ხილვა. ასე რომ, თავისი დანაკარგის ხელახლა შექმნა უხდებოდა. იგი მიუჯდებოდა ოსტატების მიერ საქსოვად ხელახლა მომართულ დაზგას და ქსოვდა კოკრებს მოხუცი მხატვრის ახალი ქარგის მიხედვით.

***

იმ წლის შემოდგომას, რომელიც პირისახეჩამომტირალ პატარძალს მოგაგონებდათ, ცივი და ქარიანი ზამთარი მოჰყვა.

მოხუცი ფირუზას ნესტიან მიწურში კი ჯერაც არ დანთებულიყო ცეცხლი. შეშა არ გააჩნდათ; ნავთი იმდენიც არ ჰქონდათ, რომ ერთი დამტვრეული ლამპა აენთოთ.

მოხუცი ხედავდა, რომ სურეიე ღამღამობით კანკალებდა სიცივისაგან და მის თვალს ძილი არ ეკარებოდა.

დღეს მან დილის ბინდბუნდში მიიყვანა სურეიე ქარხანაში, დასვა დაკეტილ ჭიშკართან, ხოლო თვითონ ბაზარს მიაშურა. ამ დილით მას ერთ დიდ საწყობში უნდა ეზიდა ტვირთი. ფირუზას არ უნდოდა, ხელიდან გაეშვა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა და ცდილობდა, ყველაზე ადრე შესდგომოდა მუშაობას. რადაც უნდა დასჯდომოდა, მას დღეს ერთი შეკვრა შეშის ფული მაინც უნდა ეშოვა.

ტვირთის ზიდვა ადრიანად დაიწყო. მოხუცი ფირუზა, ხანდაზმულობის მიუხედავად, მარჯვედ და ენერგიულად მუშაობდა. შუადღისას მას უკვე ორმოცდაათი ბოლჩა ჰქონდა გადაზიდული. ახალგაზრდა და ღონიერი მტვირთავები შურის თვალით უცქერდნენ მას. და აი, მოხუცმა ფირუზამ კიდევ წამოიკიდა ზურგზე დიდი ბოლჩა და საწყობის ჩაბნელებულ და დაქანებულ კიბეს ჩაჰყვა. სამი საფეხურის ჩავლაღა მოასწრო, რომ უეცრად თვალთ დაუბნელდა... კიბის აგურები შეირყნენ ფეხქვეშ. მოხუცმა ხელები გაშალა, რომ რაიმესთვის წაეტანებინა, მაგრამ იგრძნო, ძალა ეცლებოდა. ტვირთი უფრო დამძიმდა. ფირუზამ წონასწორობა დაკარგა. სწრაფად სტაცა ხელი მკერდზე შეკრულ თოკის კვანძს, რომ ტვირთისგან თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ველარ მოასწრო. ფეხებმა ულალატა და, როგორც მთიდან დაგორებული ქვა, ისე თავდაყირა გადაეშვა უძირო საწყობის შავ ხახაში. ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე გაიშხლართა ძირს დაგებულ აგურებზე. თავდამხობილი იწვა ცივ და ოღროჩოღრო იატაკზე; კიბეზე დაგორებული ვეება ბოლჩა, თითქოს გამოედევნაო, მთელი თავისი სიმძიმით დაეცა იატაკზე გაშხლართულ ფირუზას.

ქვევით, საწყობში მომუშავენი მაშინვე მისცვივდნენ საწყალს და დიდის გაჭირვებით გამოათრიეს ბოლჩის ქვეშიდან, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოხუცი მტვირთავის სიცოცხლეს ბოლჩის დაცემამ ბოლო მოუღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

როცა ბავშვები ქარხნიდნან გამოვიდნენ, საღამო იყო, თოვდა. ისინი სახლებისკენ მიიჩქაროდნენ. ბევრ მათგანს ფეხთ არ ეცვა. ახალდათოვლილ ქუჩას ფეხშიშველი ბავშვების ნაფეხურები აჩნდებოდა.

მეგობრებმა სურეიე, ჩვეულებისამებრ, ხელით გამოიყვანეს ჭიშკრამდე, მაგრამ ამჯერად მოხუცი ფირუზა არ შემოჰგებებია მათ. სურეიემ გაკვირვებით გახედა ქუჩას. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქარხნიდან გამოსულ სურეიეს ბაბუა არ ელოდებოდა. სურეიეს მეგობრებმაც მიიხედ-მოიხედეს.

–რატომ არ მოვიდა ბაბუა ფირუზა? – გაიკვირვეს და ერთმანეთს გადახედეს.

–მოვა, მოვა, მოვიცადოთ ცოტა ხანს.

მათ ლოდინი დაიწყეს, სხვა ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ. სურეიე ღელავდა და წამდაუწუმ გაჰყურებდა ბინდით მოსილ ქუჩას. ბნელში თეთრად ლაპლაპებდა თოვლი. ფანტელები ჩუმად ეშვებოდა მიწაზე.

–მოდი, ჩვენ თვითონ წაგიყვანთ სახლში, – თქვა ერთმა გოგონამ, – როგორც ჩანს, ბაბუა ფირუზას არ სცალია.

სურეიემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

–არა, – თქვა მან, – ბაბუა, საცაა, მოვა. თქვენ წადით, თორემ გვიანაა და მერე შეგეშინდებათ.

უკვე ბნელოდა და გოგონებს მართლაც შეეშინდათ. კიდევ ცოტა ხანს დაიცადეს და მალე ისინიც წავიდნენ.

სურეიე მარტოდმარტო დარჩა ზამთრის თოვლიან ღამეში. ქუჩის ბოლოში სინათლე აინთო. ბაბუა ფირუზა არსად ჩანდა.

თოვლი თანდათან მატულობდა. იგი ვერცხლისფრად ელავდა ღამის სიბნელეში.

ერთი საათის შემდეგ სურეიეს ორმა უცნობმა ჩაუარა. ერთ მათგანს კედლის ძირას მიმჯდარი გოგონა მათხოვარი ეგონა და მას შავი ფული ჩაუგდო კალთაში.

სურეიე შეკრთა. უეცარი მოწყალება პირველი იყო მისთვის და ამან გული მარტოობის საშინელი განცდით აუვსო. მან თითქოს ახლა იგრძნო პირველად, თუ რას ნიშნავდა ამქვეყნად მარტოობა, ობლობა. ტირილი რომ არ წასკდომოდა, ტუჩს კბილები დააჭირა და გაიფიქრა: "არა, არა, მე ბაბუა მყავს, არა ვარ ობოლი და მარტოხელა!"

ისედაც უსიცოცხლო ქალაქი ახლა, ზამთრის ღამეში, თითქოს დაცარიელებულიაო, ისე იყო გაჩუმებული. აქ კი, ქალაქის განაპირა ქუჩაში, ზამთრის პირველ თოვლიან ღამეს კაცი არსად ჭაჭანებდა.

შიშსა და მღელვარებასთან ერთად საწყალ გოგონას სიცივეც აკანკალებდა, მაგრამ სულით მაინც არ ეცემოდა. ღამე ნელა მიიპარებოდა. გოგონა უკმაყოფილებით ივსებოდა ბაბუას მიმართ. მალე ჩუმი ქვითინიც მორთო.

უკვე კარგა ხანი გასულიყო. ბაბუა ფირუზა კი მაინც არ ჩანდა. გოგონამ ძახილი მორთო. ის ჯერ ბაბუას უხმობდა. ხმის გამცემი რომ არავინ გამოჩნდა, სურეიემ ტირილი დაიწყო. შველას ითხოვდა, მაგრამ არავინ იყო მისი გამკითხავი, არავის ესმოდა მისი ძახილი.

უკვე ტუჩებიც აღარ ემორჩილებოდა. ის მიხვდა, რომ ეს თოვლიანი ღამე მარტოდმარტო უნდა გაეტარებინა ქუჩაში და რაიმე თავშესაფრის საძებნელად ჭიშკრისაკენ გაფოფხდა.

***

დილით, როცა მზის პირველმა სხივებმა სქელი თოვლით მოფენილი ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ააპრიალეს, სურეიე თითქმის უგონოდ იწვა ჭიშკარსა და კედელს შუა კუთხეში. ჩითის თავსაფარი მხრებზე ჩამოვარდნოდა. მზის სხივი ზედ დაჰნათოდა მის ფერმკრთალსა და ტანჯულ სახეს.

დღეს პირველად მოხვდა მის სახეს დილის მზის ალმაცერი სხივები. მხოლოდ ერთხელ და ისიც წუხელ არ წოლილა ის თავის ნესტიან მიწურში. მან პირველად იხილა თავისი თავი დილის მზით განათებულ თვალუწვდენელ სივრცეში. ალბათ, ამ ოქროსფერი სხივების მიზეზით იყო, რომ იგი ხედავდა უცნაურ და მშვენიერ სიზმარს: ფართო ჰორიზონტზე ამოვიდა დიდი და ოქროსფერი მზე. მისი სხივები სწვდებოდა ყველას და ყველაფერს, იგი მსჭვალავდა ქვასა და კედელს, ანათებდა ყველა ბნელ კუთხესა და მიწურს. პატარა სურეიე ალფრთოვანებით უცქეროდა მზეს და იღიმებოდა. ახლა მისი ნესტიანი და ბნელი მიწურიც ამ მზის სხივებით იყო განათებული, ლოგინსა და კედლებს მის მიერ მოქსოვილი წითელკოკრებიანი ხალიჩები ამშვენებდა. სურეიე მზის სხივებითა და ჭრელი ფერებით გასხივოსნებულ სამყაროში გრძნობდა თავს. იგი ბავშვური თავმოწონებით ათვალიერებდა თავის მოქსოვილ ხალიჩებს. უცბად სურეიემ მოულოდნელი სიხარულისგან დააჭყიტა თვალები: ხალიჩაზე ამოქსოვილი კოკრები მზეზე გაიფურჩქნა და წითელ ვარდებად იქცა. იგი გაბრწყინებული სახით მივარდა გაფურჩქნილ კოკრებს, მაგრამ მოსაწყვეტად ვერ გაიმეტა და ნაზად გადაუსვა ხელი.

უეცრად ვილაცამ ხელი სტაცა სურეიეს და სადღაც ეზიდებოდა. სურეიე გაუძალიანდა, მაგრამ ეს ხელი ძლიერი აღმოჩნდა, მოსწყვიტა გოგონა ზღაპრულ სამყაროს და ცივი და ბნელი ქვეყნისაკენ გაიტაცა.

სურეიეს გამოელვიძა, თვალები გახილა და დაინახა მოხუცი მხატვარი, რომელსაც მისთვის ხელი ჩაევლო. გარშემო სამუშაოდ მოსული ბავშვები იდგნენ და უხმოდ შეჰყურებდნენ მას. მაგრამ სურეიეს ჩამქრალი თვალები ვერავის სცნობდა; ის გაშტერებით მისჩერებოდა ერთ წერტილს.

მოხუცმა მხატვარმა იგი ხელში აიყვანა და თავის ოთახში ტახტზე დაანვინა. ვილაცას დაავალა მაყალი მოეტანათ, თვითონ კი სურეიეს ხელში მოჰკიდა ხელი.

– როგორა ხარ, ჩემო გოგონავ?

სურეიე არ პასუხობდა. ვილაცამ ჩაიც მოიტანა. სურეიეს არ დაულევია. მაყალი მოიტანეს და ახლოს მიუდგეს გოგონას. სითბო სახეზე მოეფინა; სურეიემ თვალები მოხუჭა და წაილულლუღა:

–სად იყავი, ბაბუა... ერთი შეხედე, როგორი მზე ამოვიდა. ეს სულ ჩემი ხალიჩებია, ეს კოკრებიც ჩემია. შეხე, შეხე, როგორ იფურჩქნებიან ისინი მზის სინათლეზე; შენ კი სადა ხარ, ბაბუა?

მოხუცმა მხატვარმა სურეიეს შუბლზე დაადო ხელი. იგი სიცხით იწვოდა. მოხუცმა ვილაც ბავშვი ექიმთან გაგზავნა. ერთი საათის შემდეგ ქუჩიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა. მოხუცი მხატვარი კარში შეეგება ექიმს და სურეიეს საწოლთან მიიყვანა.

ექიმმა ბავშვს დახედა, შემდეგ მოხუც მხატვარს მიუბრუნდა და უთხრა:

– გვიანაა, უკვე გვიანაა...

მხატვარი შეკრთა და უკან დაიხია; თვალები ცრემლებით აევსო, მობრუნდა და ფანჯარას მიუახლოვდა. პატარა ოთახის შუშებჩამტვრეული ფანჯრის იქით მის თვალწინ გადაიშალა მთელი ფაბრიკა. იქ დაზგებთან მიმსხდარიყვნენ გაყუჩებული ბავშვები. დღეს არცერთი მათგანი არ მღეროდა. ისინი თავდახრილნი და წარბშეკრულნი მუშაობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა მხატვარმა ნაღვლიანად გადახედა მათ და სურეიეს სიტყვები გაახსენდა. უეცრად მას ეს ბავშვები ფერმკრთალ კოკრებად მოეჩვენა, რომელთაც მზის სხივები სწყუროდათ. მან ღრმად ამოიოხრა:

– არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, დადგება ის დღეც... ამოვა მზე, გაიფურჩქნებიან კოკრები...

მოხუცი მიბრუნდა, დადგა სურეიეს თავთან და მწარედ ჩაფიქრდა: „შენ კი, შენ, საწყალო სურეიე, წილად გხვდა მხოლოდ გენახა მშვენიერი სიზმარი მომავალი ცხოვრებისა".

მთავარ გამზირზე[1]

(ციკლიდან „თავრიზული მოთხრობები")

ქალაქში მხოლოდ მთავარი გამზირი იყო განათებული და ხალხმრავალი. საღამოობით გასხივოსნებული კინოთეატრები ჭრელი აფიშებით თავისკენ იზიდავდა ხალხს. ამ ქუჩაზე გამოდიოდა მაღაზიების, კაფეების და რესტორნების ფართოდ გაღებული კარები. ისინი მდიდარი მუშტრების მოლოდინში იყვნენ. გამზირიდან სხვადასხვა მხარეს მიქროდა ლამაზი ავტომობილები. აქ ცემდა ქალაქის გული. ეს იყო მისი არტერია.

სწორედ აქ ბაძავდა აღმოსავლური ქალაქი ევროპას. საღამოობით გამზირი ხალხით ივსებოდა. ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი აქ სეირნობდნენ, დროს ატარებდნენ კაფესა და რესტორნებში. მათხოვრების ერთი ჯგუფიც, რომელიც დღისით ქალაქის სხვა უბნებში ხეტიალობდა, საღამოს გამზირისკენ იქცევდა პირს. სიბნელეში სამოწყალოდ ხელგაშვერილნი რაღაცას წუწუნებდნენ თავისთვის. ესენი იყვნენ, უმთავრესად, უპატრონო ბავშვები და გახუნებული ჩითის ჩადრებიანი მარტოხელა ქალები. ზამთრის ცივ ღამეში ეს ადგილი საშინელ სანახაობას წარმოადგენდა. გაუთავებელი ქვითინი ისმოდა აქ ამ დროს.

აგერ, ქალი სიცივისაგან გალურჯებული ხელებით. ქანცგამოლეულს მუხლებში ჩაურგავს თავი და ქვითინებს:

– სამი დღეა, ბავშვები მშიერი მიყრია სახლში!

ცოტა მოშორებით ხმამაღლა მოთქვამს პატარა გოგონა:

– ვიწვი, ღმერთო, ვიწვი!

და მართლაც, სუსხავს მას ზამთრის ყინვა ამ ბნელ ღამეში. უფრო წინ მოჩანს სინათლისაკენ გაშვერილი ხელი, იგი კანკალებს. ისმის ტირილი და ხმამიხრწნილი დაჟინებითი თხოვნა:

– ბატონო, თქვენს ფეხებს ვენაცვალე, ბატონო...

მაგრამ ეს ჩქარი ნაბიჯით მიმავალი უცხოა მისთვის. მას ფეხზე აცვია თბილი წინდები, ფეხსაცმელი და კალოშები. ამ მტირალ და მოწუწუნე ხმებს არ ძალუძთ მისი შეჩერება.

გამზირს საღამოობით მარტო კვნესა-წუწუნი როდი ავსებს. კაფე-რესტორნების ღია კარებიდან გამოსული მუსიკისა და სიმღერის ხმა ერევა ადამიანთა მოთქმა-კვნესაში. და ამ მუსიკის ქვეშ ერთმანეთს გადახვეული ცეკვავს სიხარული და სასოწარკვეთილება, ნაღველი და მხიარულება, კმაყოფილება და შიმშილი.

---

[1] პირველი სხივი, IV, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე იმ უპატრონოს თვალებით ვცნობდი. იგი გამოირჩეოდა ქუჩის სხვა ბიჭებისაგან. ლურჯი თვალებით ჯიქურ იცოდა შემოხედვა. პირსაც კი არ გააღებდა, ენასაც არ მოაბრუნებდა სათხოვრად. იგი უცნაური ღიმილით შემოგცქეროდათ თვალებში. ბევრის მთქმელი იყო ეს დუმილი.

შეხვედრისას იგი შეჩერდებოდა და უხმოდ გამომიშვერდა ხელს სამოწყალოდ.

სანახაობამ, რომლის მომსწრეც მე შევიქენ ერთ ცივ ღამეს, ძალიან გამაცვიფრა. ცარიელ ქუჩაზე მოხეტიალე ძაღლებს შორის ამ ბავშვს მოვკარი თვალი. როცა გვერდით ჩავუარე, დავინახე, რომ იგი ამტვრევდა იღლიაში ამოდებულ პურს და გარს შემოსეულ ძაღლებს აჭმევდა – ქალაქის მოხეტიალე ძაღლებს უნაწილებდა ის დღის განმავლობაში ნაშოვნ ლუკმას. მე გამიკვირდა, მაგრამ არაფერი მიკითხავს მისთვის; ვიფიქრე, უპატრონოა და, ალბათ, მასავით უპატრონო ძაღლებთან თუ მეგობრობს-მეთქი.

ზამთრის ერთ ღამეს მე კიდევ ვნახე იგი მოხეტიალე ძაღლების ხროვასთან. ისინი წინ მიდიოდნენ, მე უკან მივდევდი მათ. სიცივე იყო, ქუჩებში ქარბუქი დაძრწოდა. ბიჭი კი ფეხშიშველი იყო და გამალებული მიაბიჯებდა. დროდადრო უკან მოიხედავდა და ჩამორჩენილ ძაღლებს უხმობდა. ის-ის იყო, მათ წამოვეწიე, რომ ბიჭი რომელიღაც საავაჭრო ამხანაგობის შენობაში შევიდა და ძაღლებიც თან შეიყოლია.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. მაინტერესებდა, სად მიჰყავდა ეს ძაღლები. თუ ღამის გასათევად შევიდა, ეს ძაღლები რისთვისღა შეჰყვნენ? ამ ფიქრით გართულმა გზა განვაგრძე. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან მომიხდა დაბრუნება. როდესაც ამ შენობის წინ ჩამოვიარე, თვალი მოვკარი ორ ძაღლს, რომლებიც სირბილით შეცვივდნენ კარში. მაშინვე ბავშვი გამახსენდა. ცნობისმოყვარეობამ მძლია. შიგ შევედი. მკრთალად განათებულ დერეფანში ჯერ ვერაფერი შევამჩნიე. უცბად მომესმა რალაც შარიშური, რომელიც კიბის ქვეშიდან მოდიოდა. იქითკენ წავედი და გადავიხედე. კიბის ქვედა მოედანი ერთმანეთს მიხუტებულ ქუჩის მოხეტიალე ძაღლებს გაევსოთ. ეძინათ. მათ შორის კი მოკრუნჩხული და ძონძებში გახვეული ბავშვი იწვა. ეს ის უპატრონო ბიჭი იყო. იგი ძაღლებს ჩაჰკროდა და ტკბილად ეძინა. ამის მნახველი ახლალა მივხვდი ყველაფერს. მივხვდი, თუ რატომ აჭმევდა ის ძაღლებს გაჭირვებით ნაშოვნ ლუკმაპურს. მისთვის სითბო იყო საჭირო და ძაღლები პურის ფასად ათბობდნენ მას ზამთრის ცივ ღამეში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურქული ლიტერატურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომერ სეიფედინი
(1884-1920)

სასწაული[1]

ნახევარი საათი გავიდა, რაც ხანძარი მძვინვარებდა, მაგრამ იმ უბნის მკვიდრთ სჯეროდათ, რომ ცეცხლი ორ სახლს არ გასცდებოდა და მალე ჩაქრებოდა. იქვე წმინდანის სავანე იყო და, აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა. ამ წმინდა შენობას ხომ არ მოედებოდა ცეცხლი? სამხრეთის ძლიერი ქარი ქროდა. მეზობელი სახლების სახურავებსა და წმინდანის სავანეს ალმოდებულ ფიცრის ნამტვრევებს აყრიდა. ნამტვრევები ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა აქეთ-იქით. პოლიციელებს ალყა შემოერტყათ ირგვლივ და გადარჩენილ ნივთებს სდარაჯობდნენ, ვინმემ ხელს არ გააყოლოსო.

ჩიროზ ახმედმა თვალი მოავლო იქაურობას. ის ძველი, გამოცდილი ქურდი იყო. მისთვის ხანძარი ხელის მოთბობას ნიშნავდა, მაგრამ ეს უბანი ძალიან ღარიბი იყო. ახმედმა მშვენივრად იცოდა, რომ ამ ალმოდებულ ქოხმახებში საბან-ლოგინის გარდა არაფერი მოიძებოდა. ქურდებს კი წესად აქვთ ისეთი საქონლის მიგნება, რომელსაც ფასი დიდი ადევს და წონა – ნაკლები.

– დასწყევლოს ალაჰმა, ამ ხანძარს სახეირო პირი არ უჩანს, – წარმოთქვა ახმედმა და თავი გაიქნია.

სავანის წინ ხალხს მოეყარა თავი.

– როგორც კი აქამდე მოატანს, ჩაქრება, – ამბობდნენ ხალხში.

ჩიროზ ახმედი მწვანედ შეღებილი წმინდა შენობის ფანჯრისკენ გაძვრა და მბჟუტავი კანდელით განათებულ აკლდამას მიაცქერდა. თავთან ორი დიდი შანდალი იდგა. აქეთ-იქით ხალიჩები ეფინა. მერხებზე დიდი წმინდა წიგნები – ყურანები ესვენა.

ახმედმა ხელდახელ იანგარიშა მუქთად ნაშოვნი საქონლის ფასი.

– შანდლები – ათ-ათ ლირად, ოცი ლირა... ხალიჩები – ხუთ-ხუთად, ათი... წიგნები, ნამდვილად ხელნაწერია, ოცი ლირაც ესენი, სულ – ორმოცდაათი, – ჩაილაპარაკა თავისთვის და მწვანე კარისკენ წავიდა.

თავისი ძვალტყავა მხრებით კარი მოსინჯა. შემდეგ ბოქლომს გადახედა და ნელ-ნელა მიაწვა კარს.

ხალხი ხანძრის ცქერით იყო გართული. ჩიროზ ახმედი დიდი ძალის პატრონი იყო, ისეთი არაჩვეულებრივი ფარული ძალისა, როგორიც მხოლოდ ქურდებს აქვთ – წრთობისა და ვარჯიშის გარეშე. კარი ნელა აჭრიალდა, ბოლოს ერთი დაიჩხაკუნა და გაიღო.

შიგ შესვლისთანავე ჩიროზ ახმედმა კანდელები ჩააქრო. სავანიდან გასატან ნივთებს ფასი კარგი ჰქონდა, მაგრამ წონაში არცთუ ისე მსუბუქი აღმოჩნდა. ჩიროზი ქურდობის გეგმის დაწყობას შეუდგა, მაგრამ სანამ ბოლომდე მოიფიქრებდა, წვრილმანი საქმე მოაგვარა: შანდლებიდან სანთლები ამოიღო და ძირს დაყარა. წელიდან ტრიპოლური სარტყელი შემოიხსნა და მერხიდან გადმოლებული წიგნები შიგ გაახვია. შემდეგ ცოტა ხანს შედგა, ცხვირი მოიფხანა, ფრთხილად აკრიფა ხალიჩები და აკ-

---

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდამას გადააფარა ისე, როგორც ცხენს ქეჯიმს გადააფარებენ ხოლმე. ახლა კარში გაძრომა იყო საჭირო, მაგრამ გარეთ რომ ხალხს მოეყარა თავი? ახმედი აკლდამას მიეყრდნო და ჩაფიქრდა. არც ოქრომკედით მოქარგული გადასაფარებელი იყო იქ დასატოვებელი. უეცრად აკლდამა ადგილიდან დაიძრა. ახმედმა თავი ძლივს შეიკავა. წმინდანი ხომ არ აღდგაო, გაიფიქრა მან, წელში გაიმართა, აკლდამას დახედა და გაიღიმა.

– ფუი, შენ, დაჭედილი არ ყოფილა, – წარმოთქვა ახმედმა, დაიხარა და აკლდამა მაღლა ასწია, რათა მის ქვეშ შეეხედა. იგი ძალიან მსუბუქი აღმოჩნდა. თხელი ფიცრისგან იყო შეკრული და ზემოდან მწვანე მაუდი ეფარა. ამასობაში თავის დაღწევის გეგმაც მოიფიქრა.

წიგნები და შანდლები ახმედმა იღლიაში ამოიდო, თვითონ აკლდამის ქვეშ შეძვრა და ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან. კართან შეჩერდა, ხელი გამოყო და კარი გააღო. მარცხნივ პროსპექტი იყო, აქ შეეძლოთ ხელი ეტაცათ მისთვის. მარჯვნივ უკაცრიელი ქუჩა იყო მრავალი ნანგრევით, ოღონდ ხანძარი სწორედ იქით იწევდა. აკლდამის ქვეშ შეყუჟულ ახმედს დიდხანს აღარ უფიქრია. იგი ბრახუნით გასცდა კარს.

ხმაურზე ხალხმა პირი იბრუნა და განცვიფრებული დარჩა. ადგილიდან არავინ დაძრულა – წმინდანი აღმდგარიყო და მიდიოდა. ტუმბოებმა მუშაობა შეწყვიტა, მეხანძრეებმა შიშისგან ხელი უშვეს ცულებს, კაუჭიან ჯოხებსა და შლანგებს. აკლდამა პირდაპირ ცეცხლისაკენ მიიწევდა. ათრთოლებული ხალხი ორად გაიპო და გზა დაუთმო. აკლდამამ შიშის მომგვრელი, მედიდური რხევით ჩაიარა მათ შორის და სიბნელეში გაუჩინარდა. ორი სახლი, რომელიც სავანის გვერდით იდგა, დაწვას გადაურჩა.

ხანძარს გადარჩენილი უწმინდანო სავანე უბანში წინანდებურად წმინდა ადგილად ითვლებოდა, ოღონდ მლოცველები ძველებურად ამ ცარიელი შენობისკენ აღარ იქცევდნენ ხოლმე პირს. ახლა ისინი ყიბლის მხარეს იცქირებოდნენ ხოლმე და თან ამბობდნენ:

– ხანძრის ღამეს ჩვენი თვალისჩინი აქეთ წავიდა.

ქრთამი[1]

ბაზრის მოედანზე ვეება ჩინარებს შრიალი გაჰქონდათ. მიწაზე დაფენილი მათი ჭრელი ჩრდილები აქეთ-იქით ქანაობდა. ძლიერი ქარი ქროდა. ქარმა ქაღალდები არ გამიფანტოსო, ადვოკატმა ჰაჯი ნამიქ ეფენდიმ თავისი ტალავრის მსგავსი მწვანე პატარა დუქნის ფანჯრები ჩამოუშვა, ღია კარის დასაკეტად რომ მივიდა, თვალი მოჰკრა დაბალი ტანის, ჩამრგვალებულ გლეხს, რომელსაც მხარზე ხურჯინი გადაეკიდა, ხელი პალნიანი ცხენის აღვირისთვის ჩაევლო და მისკენ მოდიოდა.

– გამარჯობა, ალი ხოჯა! ამ უდროო დროს აქ რა გინდა? ბაზრობამდე ხომ კიდევ ორი დღეა.

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხმა კიდევ უფრო მოჭუტა ორი შავი წერტილივით წვრილი თვალი:

– გაგიმარჯოს, ნამიქ ეფენდი! უბედურებას გადავეყარე, საჩივარი მაქვს, – თქვა მან და თავი გაიქნია.

– ეე! მოდი ერთი, მოვილაპარაკოთ.

– მოვილაპარაკოთ.

– აბა, მიამბე, რა გაწუხებს.

– შენ თუ არა, მაშ, ვილას უნდა მოვახსენო.

მან ცხენი გრძელ სკამს მიაბა, დუქანში შევიდა, დაბალ, ჭილოფდაფენილ სკამზე ჩამოჯდა; სკამი კაკლის ხის საწერი მაგიდის მარჯვნივ იდგა. ნამიქ ეფენდიმ სათუთუნე გაუწოდა. სტუმარმა პაპიროსი გაახვია და თავისი ამბის თხრობა დაიწყო.

სოფლის მამასახლისის, ჰუისუზ ოლლუს, მიწაზე ალი ხოჯამ ერთ დროს სახლი დადგა. ახლა კი ის მამასახლისი ამ სახლის ხელში ჩაგდებას აპირებდა. განა მიწაც იმისი არ არის, ვისაც სახლი ეკუთვნის?

ნამიქ ეფენდიმ წვერი მოიფხანა და სათვალის ზემოდან გადმოიხედა.

– შენ მართალი არა ხარ, ალი ხოჯა!

– მართალი არა ვარ?

– დიახ.

– არა, მე მართალი ვარ. როცა ვაშენებდი, რატომ მაშინ არ ამოიღო ხმა?

– არ სურდა და ამიტომ არაფერი უთქვამს.

– მე ვიცი, რომ მართალი ვარ, ნამიქ ეფენდი, და საჩივარზე ხელს არ ავიღებ.

– წააგებ.

– წავაგო, არა უშავს რა, ოღონდ საჩივარს მაინც არ მოვეშვები.

ნამიქ ეფენდი საეჭვო საქმეებს ხელს არა ჰკიდებდა ხოლმე და ალი ხოჯას დამცველობაზეც უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ სოფელ ბოზუიუქის მცხოვრებნი ოცდაათი წელია, მისი კლიენტები არიან. ისე აქვთ დასწავლილი მისი დუქნის გზა, როგორც სახედარს – ბოსლისა და უკვე წესადაც უდევთ, თუკი რამე საქმე დაურჩათ მთავრობასთან, ყოველთვის მას მიმართავენ ხოლმე. მერე კიდევ, მთელი ზამთრის სარჩოც იქიდან მოსდის.

– კარგი, – წარმოთქვა მან ბოლოს, – ავიღებ მაგ შენს საქმეს, ოღონდ, თუ წავაგეთ, ნუ დამემდურები.

– არ დაგემდურები, მაგრამ რატომ უნდა წავაგოთ?

– იმიტომ, რომ შენ მტყუანი ხარ.

– მოსამართელს რომ ერთი კარგი ყოჩი მივგვარო?

– რა?!

– მაშინაც წავაგებთ საქმეს?

– მაშინ კი უეჭველად წააგებ.

– რატომ?

– ახალი მოსამართლე, შენ რომ გგონია, ისეთი კაცი არ არის.

ალი ხოჯა ვერ მიმხვდარიყო, რატომ ღელავდა ვექილი. მან დიდხანს უსმინა ახალი მოსამართლის ქება-დიდებას.

ის კაცი ქრთამისა და საჩუქრების დაუძინებელი მტერი ყოფილა. ცამდე მართალმა მომჩივანმაც რომ შესთავაზოს ქრთამი, მაშინვე დამნაშავედ გამოიყვანს.

– ალაჰმა ნუ მოაკლოს ამ ქვეყანას ასეთი მართალი ადამიანები, – თქვა ალი ხოჯამ.

– ამინ, ამინ, – დაუდასტურა ნამიქ ეფენდიმ.

მთელი ერთი საათი საჩივარ-სამართალზე ისაუბრეს. შეთანხმდნენ, რომ ნამიქ ეფენდი იკისრებდა დაცვას, მაგრამ თვით ადვოკატს მოგების იმედი არა ჰქონდა. ამ საქმეს ხათრის გულისთვის ჰკიდებდა ხელს. საჩივრის უსაფუძვლობა იმდენად აშკარა იყო, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ორი კვირის შემდეგ ალი ხოჯა მწვანე დუქნის კარში გამოჩნდა. ნამიქ ეფენდი თხოვნას წერდა. სათვალის ზემოდან თავის კლიენტს რომ მოჰკრა თვალი, გაიღიმა:

– კეთილი იყოს შენი მოსვლა. რას იტყვი, მოვიგეთ საქმე! – მიახარა მან ალი ხოჯას.

ნამიქ ეფენდი მთელი კვირა განცვიფრებული იყო, როგორ გამოიტანა მოსამართლემ ასეთი არასწორი გადაწყვეტილებაო.

– ჩემი გაგზავნილი ყოჩის წყალობით მოვიგეთ, – ცივად უპასუხა ალი ხოჯამ.

– რა?! შენ ყოჩი გაუგზავნე მოსამართლეს?!

– დიახ!

– მერე, როგორ გაბედე...

– კი მაგრამ, შენ არ მითხარი, ქრთამი სძულს და, ვინც საჩუქარს გაუგზავნის, მტყუანად გამოიყვანსო?

– გითხარი.

– მეც, ყოჩი რომ გავუგზავნე, ჩემი სახელი არ გამიმხელია.

– მაშ, რა ჰქენი?

– ჩემი მოწინააღმდეგის, მამასახლის ჰუისუზ ოღლუს სახელით გავუგზავნე.

– !!!

მოხუც ადვოკატს საწერ-კალამი ხელიდან გაუვარდა. სკამის ზურგს მიეყრდნო და გაბრწყინებულ ორ პატარა შავ თვალს მიაშტერდა. გარეთ ისევ ქანაობდნენ ჩინარები. თუმცა კარში ალი ხოჯა იდგა, მაგრამ მათი შრიალი მაინც აღწევდა შიგ და იდუმალი ჩურჩულით ავსებდა ოთახს, რომლის კედლებზე ძველი სავილაიეთო გაზეთები იყო აკრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეშათ ნური გიუნთექინი
(1889-1956)

ნარჩიტა[1]

(ნაწყვეტი რომანიდან)

B... სექტემბერი, 19... წელი

მეოთხე კლასში ვიყავი. თორმეტი წლისა ვიქნებოდი. ერთხელ ფრანგულის მასწავლებელმა, დაი ალექსიმ, საწერი დავალება მოგვცა:

– ეცადეთ აღწეროთ თქვენი პირველი მოგონებები, – გვითხრა მან, – ვნახოთ, რა გაგახსენდებათ. თქვენთვის ეს გონების საუკეთესო ვარჯიში იქნება.

არასდროს დამავიწყდება. ჩემი მოუსვენრობისა და ლაყბობისაგან თავმობეზრებულმა მასწავლებლებმა ამხანაგებს მომაშორეს და კუთხეში დამსვეს ერთადგილიან მერხზე.

როგორც დირექტორმა თქვა, მე ეს გადასახლება მისჯილი მექნებოდა მანამ, სანამ თავს არ დავანებებდი „გაკვეთილების დროს მეზობლებთან ლაპარაკს და არ შევეჩვეოდი მასწავლებლებისთვის წესიერად ყურის გდებას".

მერხის ცალ მხარეს ვეება ხის ბოძი იყო აღმართული. ამ ჩემს ჭკუადამჯდარ, ჩუმ და ახმახ მეზობელს თავზევით ძალა არ შესწევდა და მედგრად იტანდა ჩემგან დანის წვერით მიყენებულ ჭრილობებს.

მეორე მხარეს მოჩანდა მუდამ დარაბებმიხურული მაღალი ფანჯარა, რომელიც თითქოს იმისათვის იყო გაჭრილი, რომ სამონასტრო ყოფის გრილი და უსიხარულო მწუხრი უზრუნველეყო. მე ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოვახდინე. გულით მერხს რომ დავეყრდნობოდი და ცოტა თავს ავწევდი, დარაბის ლარტყებს შორის ცის ნაფლეთი და დიდი აკაციის ფოთლებს შუა სახლის ერთი ფანჯარა და მოაჯირი მოჩანდა.

სიმართლე გითხრათ, სანახაობა დიდად სახარბიელო არ გახლდათ; ფანჯარა მუდამ დაკეტილი იყო, აივნის მოაჯირზე კი ყოველთვის პატარა ბავშვის ლეიბი და საბანი იყო გადმოფენილი.

მაგრამ მე ამითიც კმაყოფილი ვიყავი.

გაკვეთილზე, როცა ნიკაპით გადაჯვარედინებულ ხელებზე დაყრდნობილი ცას გავცქეროდი ხოლმე, მასწავლებლებს ჩემი ასეთი შთაგონებული იერი გამოსწორების დასაწყისად მიაჩნდათ და ხარობდნენ. ასე ვატყუებდი მათ. მეჩვენებოდა, თითქოს ვხედავდი იმას, რასაც გვიმალავდნენ და შურისგების სიხარულს განვიცდიდი.

დაი ალექსიმ ახსნა-განმარტება დაამთავრა და საწერად დაგვანება თავი.

პირველი მოწაფეები, რომლებიც წინა რიგებს ამშვენებდნენ, მაშინვე შეუდგნენ წერას. მართალია, მე იმათ გვერდით არ ვიჯექი, მაგრამ თითქოს აქედანაც ვხედავდი, რასაც წერდნენ. მათი ნაწერი დაახლოებით ამგვარი პოეტური სიყალბე იყო: „პირველი, რაც მახსენდება, არის ჩემს პატარა საწოლზე დახრილი საყვარელი დედიკოს ოქროსფერი თმებით შემკული ნაზი თავი და ცისფერი, სიყვარულით მომღიმარი თვალები". ნამდვილად კი მათ დედიკოებს,

---

[1] იბეჭდება პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმეს სახე მოსვირინგებული არ ჰქონდა, ულამაზო მეგონა. ჩემთვის პირველი დიდი მწუხარებაც ფატმასთან განშორება იყო. ხეტიალ-ხეტიალში ქერბელაში ჩავედით. ოთხი წლისა ვიყავი. ეს ისეთი ასაკია, საიდანაც უკვე ყველაფერი მახსოვს. ფატმას ბედი ეწვია. დღევანდელივით თვალწინ მიდგას ის დღე, როცა საპატარძლო ფატმა კუთხეში იყო მიმჯდარი. ოთახი სავსე იყო ფატმასავით სვირინგით სახეაჭრელებული ქალებით, რომლებიც მზეთუნახავებად მეჩვენებოდნენ. ისინი ხელიდან ხელში მატარებდნენ და ბოლოს ფატმასთან დამსვამდნენ ხოლმე.

მახსენდება შუაში ჩადგმული თეფშები, საიდანაც ჩვენ მუჭით შევექცეოდით საჭმელს. ბოლოს ეჟვნებიანი დაირებისა და თასის მოყვანილობის დოლების ბაგიბუგისაგან გაბრუებულს ჩამეძინა ჩემი ძველი ძიძის კალთაში.

როცა ქერბელაში ფატმას ვაჟი, ჰუსეინი, მოკლეს, მაშინ თვითონ ფატმა ცოცხალი იყო თუ არა, აღარ მახსოვს, მაგრამ ის ოხვრა, რომელიც ამ შავი დღის მომსწრე უბედურ ქალს აღმოხდებოდა, არაფერი იყო იმ ვაისთან შედარებით, რომელიც მე ავტეხე სახლში ქორწილის პირველ ღამეს, როცა ვილაც უცხო ქალის გვერდით აღმოვჩნდი.

ერთი სიტყვით, ქერბელა რომ ქერბელაა, ასეთ ვაი-ვუის, მგონი, ისიც არ მოსწრებია. ყვირილისაგან ხმა წამივიდა. მთელი დღეები დიდი ადამიანივით შიმშილობა გამოვაცხადე.

გამზრდელის გამო მწუხარება შემდეგში ერთმა კავალერიის ჯარისკაცმა, სახელად ჰუსეინმა, დამავიწყა. ჰუსეინი მეცადინეობის დროს ცხენიდან იყო ჩამოვარდნილი და დაკოჭლებული. მამაჩემმა იგი სახლში წამოიყვანა. ჰუსეინი რალაც უცნაური კაცი იყო და მალე შემიყვარა. მის ასეთ სიყვარულს მე მოულოდნელი და არასაპატიო ორგულობით ვუპასუხე. ერთი ის იყო, რომ ფატმასავით ერთად არ ვწვებოდით, თორემ, მამლის ყივილზე თვალებს გავახელდი თუ არა, სულმოუთქმელად გავრბოდი მისი ოთახისაკენ, ცხენივით გადავაჯდებოდი გულზე და თვალებს ვუხელდი.

ისევე, როგორც ფატმამ ბაღსა და მინდორს, ჰუსეინმა ყაზარმებსა და ასკერებს მიმაჩვია. მე სხვაგან არსად შემხვედრია თამაშობების გამოგონების ისეთი უნარი, როგორც ამ ვეება, ულვაშებიან კაცს ჰქონდა. ყველა ძალიან ლამაზი, შფოთიანი და სახიფათო იყო. მაგალითად, ბურთივით ამაგდებდა ჰაერში და ისევ დამიჭერდა ან კიდევ თავზე დამაყენებდა, ფეხებში ხელებს წამავლებდა და ხტუნვა-ტრიალს მოჰყვებოდა. ისეთი სიამოვნება, როგორსაც მე სულშეხუთული, თმებჩამოწეწილი და თავბრუდახვეული ვგრძნობდი, შემდეგ არაფრისგან განმიცდია.

ზოგჯერ არც ხიფათი აგვცდებოდა. მაგრამ მე და ჰუსეინს პირი გვქონდა შეკრული. თამაშის დროს სულიც რომ დამელია, არ ვიტირებდი და არც არავისთან ვიჩივლებდი. ამან მოზრდილი ადამიანივით საიდუმლოების შენახვას მიმაჩვია და არა იმიტომ, რომ მე თვითონ ვიყავი ალალი, არამედ უფრო იმის შიშით, რომ, ასე თუ არა, ჰუსეინი ჩემთან აღარ ითამაშებდა. ბავშვობაში ის მოუქნელს მეძახდა. ალბათ, მართალიც იყო. ვისთანაც უნდა მეთამაშა, რამე უნდა მომეწია მისთვის და ამელრიალებინა. ეს ჩვეულება, ალბათ, ჰუსეინისგან ნასწავლი თამაშობების შედეგი იყო.

ისევე, როგორც ჰუსეინი, მეც გასაჭირის დროს აურზაურს არ ვტეხდი და უბედურებას სახეგალიმებული ვხვდებოდი.

ჰუსეინი ზოგჯერ ყაზარმაში საზს დააკვრევინებდა ხოლმე ანატოლიელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცებს, მე ბრტყელ თავზე შემისვამდა და უცნაურად ცეკვავდა.

ერთხანს მე და ის ცხენის ქურდობას შევეჩვიეთ. როცა მამაჩემი სახლში არ იყო ხოლმე, ჰუსეინი თავლიდან ცხენს გამოაპარებდა, მე წინ დამისვამდა და საათობით დამაქროლებდა ველად. მაგრამ ჩვენი ეს გართობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ღმერთო, შეგცოდე და, მგონი, მზარეულმა ქალმა დაგვასმინა მამაჩემთან და, როცა საწყალმა ჰუსეინმა მისგან ორი სილა იგემა, მერე ცხენთან მიკარებასაც ველარ ბედავდა.

ხალასი სიყვარული უჩხუბრად და უდავიდარაბოდ არ არსებობსო, ნათქვამია, და მე და ჰუსეინიც დღეში, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც წავკინკლავდებოდით.

უცნაური ცხვირის ჩამოშვება ვიცოდი. ოთახის ერთ კუთხეში ჩავიჩოქებდი და სახეს კედლისკენ ვიქცევდი. ჰუსეინი ხუთ წუთს მაცდიდა ხოლმე. შემდეგ კი შევეცოდებოდი, უეცრად წელში მწვდებოდა და, აყვირებულს, ჰაერში ამიტაცებდა.

ერთხანს მაინც განვაგრძობდი მის მკლავებში ჭინჭყლობას, მაგრამ ბოლოს თანახმა ვიყავი, ლოყაზე მეკოცნა მისთვის და ვურიგდებოდი.

ჰუსეინისა და ჩემი მეგობრობა ორ წელიწადს გაგრძელდა, მაგრამ მაშინდელი წლები ახლანდელს ვერ შეედრება. ისეთი გრძელი იყო, ისეთი გრძელი, რომ...

***

ცოტა უხერხული ხომ არ არის, რომ ბავშვობის დროინდელი მოგონებების გახსენებისას სულ ფატმასა და ჰუსეინზე ვლაპარაკობ?

მამაჩემს ნიზამეთინი ერქვა. ის კავალერიის ათასისთავი იყო. იმ წელს, როცა მან დედაჩემზე იქორწინა, იგი დიარბაქირში გააგზავნეს. ის იყო და ის. ჩვენ სტამბოლში აღარ დავბრუნებულვართ. დიარბაქირიდან მამაჩემი მოსულში, შემდეგ ხანაკინში და იქიდან კი ბაღდადში და ქერბელაში გადავიდა. ერთ ადგილას მიყოლებით ერთი წელიც კი არ დარჩენილა.

დედაჩემს მე მამსგავსებენ. ერთი სურათი გვაქვს დარჩენილი, გათხოვების წელს გადაღებული, სულ მთლად მე მგავს. ოღონდ საწყალი ქალი ჯანმრთელობით არ მმგვანებია. ძალიან სუსტი ყოფილა. მისი ორგანიზმი ვერ უძლებდა მუდმივ მოგზაურობას, მთის მკაცრ ჰავას, ველების სიცხეს. მერე, მგონი, რაღაც მძიმე ავადმყოფობაც უნდა ჰქონოდა. საწყალი ქალი, რაც გათხოვდა, მას მერე მთელი თავისი ცხოვრება სულ იმის ცდაში იყო, რომ თავისი სნეულება დაემალა... რა ექნა, ძალიან ჰყვარებია მამაჩემი და შიშობდა, რომ ძალით დაეშორებდნენ ერთმანეთს...

მამაჩემი, რომელიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა სტამბოლს, ყოველი მგზავრობის წინ თურმე ეტყოდა ხოლმე:

– სულ თუ არა, ორი-სამი თვით მაინც გაგაგზავნი დედასთან, ისიც მოხუცდა, საწყალი... ვინ იცის, როგორ უნდა შენი ნახვა.

მაგრამ დედაჩემს სწყინდა:

– განა ასეთი იყო ჩვენი პირობა? განა ერთად არ უნდა დავბრუნებულიყავით სტამბოლს?

ავადმყოფობაზე კი, მე არაფერი მიჭირს, ცოტა გადაღლილი ვარ... ეს ორი დღეა, ამინდი შეიცვალა და იმიტომ, თორემ გამივლისო, იტყოდა ხოლმე.

სტამბოლის ნახვის სურვილს მამაჩემს უმალავდა... მაგრამ განა შეიძლებოდა ამის დაფარვა?

ორი წუთის მიძინებულიც არ იყო ხოლმე, რომ გამოელვიძებოდა და ქალენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერში ჩვენს სახლსა და ჭალაში თუ ბოსფორის პირას გატარებულ გაუთავებელ სიზმარს მოჰყვებოდა... ორ წუთში რომ ამოდენა სიზმარი ჩაატიო, კაცს ძალიან ბევრჯერ, ნამდვილად ძალიან ბევრჯერ უნდა გქონდეს ნანახი ეს ადგილები.

დიდედაჩემს ბევრი უვლია სამხედრო სამინისტროსა და დიდკაცების კარდაკარ, ტირილით შესთხოვდა, მაგრამ მის ხვეწნა-მუდარას არავითარი შედეგი არ გამოულია.

ბოლოს, როცა დედაჩემის სენმა იმძლავრა, მამას ერთი თვის შვებულება უთხოვია სტამბოლში წასყვანად და პასუხის მიღებამდე გასდგომია გზას.

დღევანდელივით მახსოვს უდაბნოში ჩვენი მოგზაურობა მაჰფეებით[1].

ბეირუთში ზღვის ნახვამ თითქოს ცოტა გამოაცოცხლა დედაჩემი. სახლში, სადაც ჩვენ გავჩერდით, დედა ლოგინზე დამისვამდა ხოლმე, თმებს მვარცხნიდა, ჭუჭყიანი ხელებისა და აწყვეტილი ღილების დანახვაზე თავს მკერდზე მომაყრდნობდა და ატირდებოდა.

ერთ დღეს ფეხზეც კი დადგა; ზანდუკიდან ახალი ტანსაცმელი ამოიღო და მოირთო. საღამოს ქვევით ჩავედით მამის შესახვედრად. მამაჩემმა ჩემში ველური ხასიათის და მკაცრი მეომრის მოგონება დატოვა. მაგრამ, დედა ფეხზე რომ დაინახა, არასდროს დამავიწყდება, როგორ სიხარულით გამოიქცა, ახალფეხადგმული ბავშვივით მკლავებში წაავლო ხელი და აქვითინდა.

ეს იყო უკანასკნელი დღე, რომელიც ჩვენ ერთად გავატარეთ. მეორე დღეს დედაჩემი მკვდარი იპოვეს თავლია ზანდუკთან; თავი თეთრეულის ბოღჩაზე დავარდნოდა და ბაგეებზე სისხლი სდიოდა.

ექვსი წლის ბავშვი უკვე კარგად უნდა ერკვეოდეს ბევრ რამეში, მაგრამ მე რატომღაც ვერაფერს ვხვდებოდი. სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ხალხმრავალი იყო. მახსოვს, მთელი დღეები როგორ ვეჩხუბებოდი ბავშვებს დიდ ბაღში, როგორ ვხეტიალობდით მე და ჰუსეინი ქუჩებში, ზღვის პირას, მეჩეთის ეზოსავით გუმბათოვან ადგილებში.

მას შემდეგ, რაც დედაჩემი უცხო მიწას მიაბარა, მამაჩემისათვის სტამბოლში დაბრუნებას რაღა ფასი ჰქონდა. მგონი, ცოტა არ იყოს, დიდედაჩემთან და დეიდებთან შეხვედრასაც ერიდებოდა... თუმცა, ამის მიუხედავად, ჩემი იქ გაგზავნა ვალად მიუჩნევია. გარდა ამისა, ბუნებრივია, რომ ქალიშვილის აღზრდა ყაზარმაში, ჯარისკაცებთან მან შეუძლებლად დაინახა.

***

სტამბოლს მე ჩვენმა ჰუსეინმა ჩამიყვანა. შესანიშნავ გემზე ცუდად ჩაცმული ჯარისკაცი ხელში პატარა გოგონათი... ეს სანახაობა, ვინ იცის, რამდენს საცოდაობად და სამწუხაროდ ეჩვენა. მაგრამ ამ მოგზაურობაში ჩემთან ვინმე სხვა რომ ყოფილიყო და არა ჰუსეინი, ასეთი ბედნიერი ნამდვილად არ ვიქნებოდი.

ჩვენი ვილის უკან, ტყეში, ქვის აუზი იყო, რომლის პირასაც ილლიებთან მკლავებმოკვეთილი შიშველი ბავშვის ქანდაკება იდგა.

ჩამოსვლის პირველ დღეებში ეს დამტვრეული ქანდაკება მზისა და ნესტისაგან გაშავებულ ხეიბარ ველურ ბავშვად მეჩვენებოდა. მგონი, შემოდგომა იდგა, რადგან აუზის მომწვანო წყალი წითელი ფოთლებით იყო დაფენილი. ამ ფოთლების თვალიერებისას მათ ქვეშ მოცურავე რამდენიმე ოქროს თევზს მოვკარი თვალი და დიდედაჩემის მიერ

[1] მაჰფე – აქლემზე გადაკიდებული თავდახურული კალათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოდგინედ შეკერილი აბრეშუმის კაბითა და ახალი ფეხსაცმლით პირდაპირ აუზში შევტოპე.

ირგვლივ ერთი წივილ-კივილი ატყდა. ჯერ გონსაც ვერ მოვსულიყავი, რაში იყო საქმე, რომ დეიდებმა ხელი მტაცეს, ზემოთ ამიყვანეს და კოცნალანძღვაში ტანსაცმელი გამომიცვალეს.

ამ ყვირილითა და აურზაურით შეშინებული აუზში ჩასვლას ველარ ვბედავდი. წავწვებოდი ირგვლივ დაყრილ ქვიშაზე და წყლისკენ ჩავკიდებდი თავს.

ერთ დღეს, ასე წაწოლილი, თევზების ცქერით ვიყავი გართული. ახლაც დღევანდელივით მიდგას თვალწინ. იქვე მოშორებით ბაღის სკამზე იჯდა დიდედაჩემი თავისი განუყრელი შავი მოსასხამით. მის გვერდით ჰუსეინი იდგა დაჩოქილი, გეგონებოდათ, ლოცულობსო.

წყნარად საუბრობდნენ რაღაცაზე. ალბათ, თურქულად ლაპარაკობდნენ, რადგან მე არაფერი მესმოდა. მაგრამ მათმა ხმამ და დროდადრო ჩემკენ გამოხედვამ დამაეჭვა. კურდღელივით დავცქვიტე ყურები. მე თვალს ველარ ვადევნებდი სიმითის ნამცეცების გარშემო მოფუსფუსე თევზებს და წყალში დიდედაჩემისა და ჰუსეინის ანარეკლს მივჩერებოდი. ჰუსეინი ჩემკენ რომ მოიხედავდა, ვეება ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა ხოლმე.

ბავშვებს ზოგჯერ თავიანთი ასაკის შეუფერებელი გუმანი აქვთ.

ამ საიდუმლო გადალაპარაკებაში მე ღალატის სუნი მეცა: მე და ჰუსეინი უნდა დაგვაშორონ!

რატომ? ჩემი ხნის ბავშვი ასეთ წვრილმანებს, აბა, რას მიხვდებოდა. ის კი ძალიან კარგად მესმოდა, რომ ეს განშორება, როცა მისი დრო მოვიდოდა, ისეთი გარდუვალი უბედურება იყო, რომელსაც წინ ვერ დაუდგებოდი ისევე, როგორც მზის ჩასვლასა თუ წვიმას.

იმ ღამეს მე უეცრად გავახილე თვალები. ჩემი პატარა საწოლი დიდედაჩემის საწოლის გვერდით იდგა. წითელი ლამპა, რომელიც ჩვენს თავთან ენთო, ჩამქრალიყო. მაგრამ ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქი ოთახს თეთრად ანათებდა. აღარ მეძინებოდა. დაუძლეველმა მწუხარებამ შემიპყრო. იდაყვებზე წამოწეულმა დიდედას გადავხედე და, როცა დავრწმუნდი, რომ ეძინა, ჩუმად გამოვძვერი საწოლიდან და ფეხის წვერებზე შემდგარი ოთახიდან გავედი. სხვა ბავშვებივით როდი მეშინოდა სიბნელისა და მარტოობისა. კიბის საფეხურების ჭრიალზე მოზრდილივით შევჩერდებოდი ერთ ადგილზე და ისევ ფრთხილად განვაგრძობდი გზას. ასე მივაღწიე დერეფანს.

კარი გადაერაზათ, მაგრამ ბაღში გასასვლელი კარის გვერდით ფანჯარა ღია დარჩენილიყო და მეც ერთ წამში გარეთ აღმოვჩნდი.

ჰუსეინს ბაღის მეორე ბოლოში ეძინა მებაღის ქოხში. გავიქეცი. თეთრი ღამის პერანგის გრძელი კალთები ფეხებში მედებოდა. მივედი და რკინის საწოლზე მძინარე ჰუსეინს ლოგინში ჩავუხტი.

ჰუსეინმა მაგარი ძილი იცოდა. არაბეთში რომ ვიყავი, მისი გაღვიძება მთელ საქმედ ღირდა. მისთვის თვალები რომ გამეხილა, ცხენივით გადავაჯდებოდი გულზე, ვხტუნავდი, გრძელ ულვაშებში აღვირივით ჩავავლებდი ხელს და ვეწეოდი, ვყვიროდი. მაგრამ ახლა მეშინოდა მისი გაღვიძებისა, რადგან ძველებურად გულზე აღარ მიმიწვენდა და, რამდენიც უნდა მეთხოვა, მაინც დიდედაჩემს ჩამაბარებდა.

მე კი მინდოდა, რომ ეს უკანასკნელი ღამე მის მკერდზე გამეტარებინა.

ჩემი იმღამინდელი საქციელი ჩვენს ოჯახში კარგა ხანს იყო სალაპარაკო.

დიდედაჩემმა, დილას რომ გაიღვი-

ძალა მე ლოგინში ვერ მნახა, კინაღამ ჭკუა დაკარგა... რამდენიმე წუთში მთელი ვილა ფეხზე დადგა... ხელში ლამპებითა და სანთლებით ბაღსა და ზღვის ნაპირს მოედნენ... არაფერი დაუტოვებიათ, არც სხვენი და არც ქუჩა, არც ნავების საყუდელი და არც აუზი, რომელშიც ორი გოჯი სიღრმის წყალი იდგა. სარწყავი წყლის ჭაში, რომელიც იქვე იყო, ჩვენ მეზობლად, ფარნები ჩაუშვეს...

ბოლოს და ბოლოს, დიდედაჩემს ჰუსეინი გახსენებია, მისკენ გაქცეულა და მეც იქ ვუნახივარ, ჰუსეინს მაგრად ჩაკრული და ჩაძინებული.

განშორების ტრაგედია ახლაც მახსენდება და მეცინება. მე არ მახსოვს, რომ ისეთი მლიქვნელობა სხვა დროს კიდევ ჩამედინა. ჰუსეინი კართან ჩაჩოქილიყო და ტიროდა, მე კი ბაღდადსა და სირიაში არაბი მათხოვრებისგან ნასწავლ ლოცვას ვამბობდი და დიდედაჩემსა და ჩემს დეიდებს კაბის კალთებს ვუკოცნიდი.

რომანებში დაღვრემილი ადამიანი მხრებჩამოყრილი, თვალებჩამქრალი, უმოძრაო და უენო, ერთი სიტყვით, რაღაც საცოდავი გამოჰყავთ ხოლმე.

მე კი ყოველთვის პირიქით მემართებოდა. როცა კი ღრმა მწუხარება შემიპყრობდა, თვალები გამიბრწყინდებოდა, იერი და მოძრაობები გამომიცოცხლდებოდა და საკუთარ თავში ველარ ვეტეოდი. არაფერს არაფრად ვაგდებდი, ვხარხარებდი და ნაირ-ნაირ ოინებსა და სისულელეებს ჩავდიოდი. თან კი მეგონა, რომ ეს შესანიშნავი იყო ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც არ შეეძლო გამოტყდომოდა არც ახლობელსა და არც გარეშეს.

მახსენდება, ასეთ რამეებს ჰუსეინის წასვლის შემდეგაც ვაკეთებდი. ცელქობას საზღვარი არ ჰქონდა, ჩემ გასართობად მოყვანილ ნათესავ ბავშვებს სულს ვუწყალებდი.

ჩემდა სამარცხვინოდ, ჰუსეინი სულ მალე, ადვილად ამოვიღე გულიდან. არ ვიცი, მაგრამ შეიძლება მართლაც ვიყავი მასზე ნაწყენი. მისი სახელის ხსენებაზე სახე მომეღმიჭებოდა, ვიფურთხებოდი და თან გავიძახოდი თურქულად, რომელსაც ის-ის იყო, ვსწავლობდი: ჰუსეინი ცუდი, ჰუსეინი ფინთი-მეთქი...

მიუხედავად ამისა, საწყალი ცუდი ჰუსეინის მიერ ბეირუთში ჩასვლისთანავე გამოგზავნილმა ერთმა ყუთმა ფინიკმა თითქოს დამამშვიდა. და, თუმცა ძალიან მეშინოდა მათი გათავებისა, კოლოფი ერთ ჭამაზე მაინც ამოვასუფთავე. საბედნიეროდ, დარჩა კურკები, რაც მთელ კვირას მეყო გასართობად. ერთი ნაწილი მსხვილ მძივებთან ერთად, რომლებსაც ჯორებს ჰკიდებენ ხოლმე კისერზე ავი თვალისგან, ძაფზე ავასხი და კაციჭამიების დიდებული მძივებივით კისერზე დავიკიდე. დანარჩენები ბაღში ჩავრგე აქა-იქ. მთელი თვეების განმავლობაში ყოველ დილით ვრწყავდი და ფინიკის ტყის ამოსვლას ველოდი.

საწყალ დიდედაჩემს თავგზა ჰქონდა აბნეული. ჩემი დამორჩილება მართლაც შეუძლებელი იყო. დილაუთენია ვიღვიძებდი და საღამომდე, სანამ დაღლილობისგან ქანცი არ გამომელეოდა, ვცელქობდი და ერთ აურზაურში ვიყავი. ჩემი ხმა მიწყდებოდა თუ არა, ყველას ელდა ეცემოდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ მე ან რაიმე გავიჭერი და ჩუმად ვცდილობ სისხლის შეჩერებას, ან სიმაღლიდან გადმოვვარდი და სადმე ვიგრიხები, რომ ტკივილისაგან არ წამოვიყვირო, ან კიდევ სკამს ფეხებს ვახერხავ, ლეიბის პირებს ვღებავ, ან სხვა ამგვარი დანაშაულით ვარ გართული.

ერთ დღეს ხეზე მივძვრებოდი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხირებისა და ჩვრებისაგან ჩიტებისთვის ბუდე გამეკეთებინა; მეორე დღეს კი სახურავზე ავხოხდებოდი საკვამლე მილიდან ქვის ჩასაგდებად და მზარეულის შესაშინებლად.

დროდადრო ჩვენს სახლში ერთი ექიმი მოდიოდა ხოლმე. ერთხელ ცარიელ ეტლში ჩავხტი, რომელიც გარეთ ექიმს ელოდა და ცხენებს მათრახი გადავუჭირე; ერთხელ კიდევ სარეცხის დიდი ვარცლი ზღვის პირამდე ჩავათრიე, წყალში ჩავუშვი და გავცურე. სხვა ოჯახებში როგორ არის, არ ვიცი და ჩვენთან ობოლი ბავშვის ცემა ცოდვად ითვლებოდა. ძალიან რომ გავიდოდი თავს, მკლავში ხელს წამავლებდნენ და ოთახში ჩამკეტავდნენ.

ერთი უცნაური ნათესავი გვყავდა. მას ყველა ბავშვი "წვერებიან ძიას" უწოდებდა. ეს წვერიანი ძია ჩემს ხელებს "წმინდანების ცხაურს" ეძახდა, რადგან ვერასდროს ვერ ნახავდით, რომ ზედ ჭრილობა არ მქონოდა, ან დალურჯებული არ ყოფილიყო. ხელები სულ მუდამ შეხვეული მქონდა.

ჩემს ტოლებს ვერ ვეწყობოდი. უფროს ბავშვებსაც კი ჩემი შიში ჰქონდათ. და ათასში ერთხელ, როცა ჩემს გულში სიყვარულის ნაპერწკალი გაღვივდებოდა ხოლმე, მაშინაც კი ეს ახალი უბედურება იყო. ადამიანური სიყვარული და ნაზად მოფერება მე არ ვიცოდი. თუ ვინმე შემიყვარდებოდა, მგლის ლეკვივით ვეძგერებოდი, ხელებზე ვკბენდი, პირისახეს ვაკაწრავდი, ვანჯღრევდი, ერთი სიტყვით, გადავრევდი ხოლმე.

ჩემს ნათესავ ბავშვებს შორის მხოლოდ ერთის მიმართ მქონდა რაღაც გაუგებარი რიდი.

ეს იყო დეიდაჩემის, ბესიმეს, ვაჟი, ქამრანი. სხვათა შორის, მას უკვე ბავშვიც ალარ ეთქმოდა. ორი ჩემი ხნისა იყო. ძალიან დამჯერი და დინჯი. ბავშვებთან თამაში მაინცადამაინც არ უყვარდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თავისთვის სეირნობდა ზღვის ნაპირზე ან წიგნს კითხულობდა ხოლმე ხის ძირას.

ქამრანს ოქროსფერი ხუჭუჭა თმა და თეთრი, ნაზი და პრიალა კანი ჰქონდა. ისეთი პრიალა, თითქოს გამბედაობა რომ მყოფნოდა, ყურებში მეტაცა ხელი და ახლოს შემეხედა მისი ლოყებისთვის, შიგ, როგორც სარკეში, ჩემს თავს დავინახავდი.

თუმცა, მიუხედავად ჩემი რიდისა, ერთ დღეს ქამრანსაც წავეჩხუბე: ზღვის პირას კალათით ქვებს ვეზიდებოდი. ერთი ქვა გადმოვარდა და ქამრანს ფეხზე დაეცა. არ ვიცი, ქვა იყო ისეთი მძიმე, თუ თვითონ იყო ძალიან განაზებული, უეცრად ერთი ყვირილი და ვაი-ვუი მორთო. გავშეშდი. მაიმუნივით საჩქაროდ ავცოცდი დიდ ჩინარზე. ვერც ლანძღვამ, ვერც მუქარამ და ვერც ხვეწნა-მუდარამ ძირს ვერ ჩამომიყვანა. ბოლოს მებალეს დაავალეს ჩემი ხიდან ჩამოსმა. მაგრამ, რამდენსაც ის ჩემკენ მოიწევდა, მე იმდენად უფრო მაღლა მივძვრებოდი. საწყალი კაცი მიხვდა, რომ უკან არ დავიხევდი, ისეთ ტოტზე გავიდოდი, რომელიც ვერ გამიძლებდა, რაღაც უბედურება მოხდებოდა და ისევ ძირს ჩასვლა ამჯობინა.

***

ერთი სიტყვით, იმ საღამოს დაბინდებამდე ჩიტივით ხის ტოტზე ვესკუპე.

ჩემს საცოდავ დიდედას ძილი გავუტეხე. საწყალმა ქალმა მთელი თავისი სიყვარული ხომ ჩემზე გადმოიტანა. როცა ზოგჯერ, დილაობით, ჯერ ისევ დალილს ჩემი ხმაური გააღვიძებდა ხოლმე, იგი ლოგინზე წამოჯდებოდა, მხრებში ხელებს წამავლებდა, შემანჯღრევდა და დედაჩემს შეჰღალადებდა, ეს რა მიყავი, შენ წახვედი და ჩემი ხნის ქალს მხეცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიტოვე სატანჯველადო.

მაგრამ ისიც ცხადი იყო, იმ წუთში რომ დედაჩემი გამოცხადებოდა და ეთქვა, ან მე, ან ეს მხეციო, დიდედაჩემი უეჭველად მე ამირჩევდა და დედაჩემს კი უკან გაისტუმრებდა.

დიახ, ავადმყოფი და მოხუცი ქალისთვის ძნელი იყო დილით ადგომა, მით უმეტეს, რომ ჯერ წინა დღის დაღლილობასაც გრძნობდა, მაგრამ ასევე ძნელია, თუნდაც მოსვენებული სხეულისათვის, იღვიძებდე მუდამ წარსულის მოგონებებით და გატანჯული სულით...

ასე რომ, მიუხედავად იმ დიდი საზრუნავისა, რომელიც მე დიდედას გავუჩინე, ის მაინც მაყოლებდა გულს და ბედნიერი იყო.

***

ცხრა წლისა ვიყავი, როცა დიდედა გარდაგვეცვალა. მამაჩემი შემთხვევით სტამბოლში იყო.

საწყალი ამჯერად ტრიპოლიდან ალბანეთში გადაეყვანათ. სტამბოლში მხოლოდ ერთ კვირას შეეძლო დარჩენა.

დიდედას სიკვდილმა ის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მარტოხელა ოფიცერი თავისი ცხრა წლის გოგონათი ალმა-დალმა ხომ ვერ ივლიდა. დეიდებთან ჩემი დატოვება რატომღაც არ უნდოდა, ალბათ, იმისა ეშინოდა, რომ მათი სამოწყალო შევიქნებოდი. იფიქრა, იფიქრა და ერთ დილას ხელი მომკიდა, გემში ჩამსვა და სტამბოლში ჩამიყვანა. გალათის ხიდზე[1] ეტლში ჩავსხედით, უამრავი ალმართი ავიარეთ, ბაზრებს ჩავუქროლეთ და ბოლოს ერთი ქვის სახლის წინ შევჩერდით.

ეს იყო სასწავლებელი, სადაც ათი წელი ჩაკეტილში უნდა გამეტარებინა. ჩვენ იქვე შეგვიყვანეს ერთ ბნელ ოთახში, სადაც ფარდები ჩამოშვებული და გარედან დარაბებიც მიხურული იყო.

როგორც ჩანს, ყველაფერი წინდაწინ იყო მოლაპარაკებული და გადაწყვეტილი, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოსული შავტანსაცმლიანი ქალი პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა; მისი თეთრი თავსაბურავის ბოლოები უცნაური ფრინველის ფრთებივით თმებზე შემეხო. ქალმა სახეში ჩამხედა და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

მაგონდება, სკოლაში ფეხის პირველ გადადგმას ისევ ცელქობა და ერთი არასასიამოვნო ამბავი მოჰყვა.

მამაჩემი დირექტორ ქალს რომ ესაუბრებოდა, მე ოთახში დავდიოდი და ყველაფერს ვედებოდი. ერთ ფერადი სურათით მოხატულ ვაზას ხელი შევახე. ვაზა გადმოვარდა და დაიმსხვრა.

მამა ხმლის ჟღარუნით წამოვარდა ადგილიდან და აღელვებულმა ხელი მტაცა.

დამსხვრეული ვაზის პატრონი დირექტორი ქალი კი, პირიქით, იცინოდა, ხელს იქნევდა და მამაჩემის დამშვიდებას ცდილობდა.

***

კიდევ რამდენი ამ ვაზაზე უფრო ძვირფასი ნივთის დამტვრევა მელოდა ამ სასწავლებელში. ჩემი აშრობა იქაც გრძელდებოდა. აქაურ ალმზრდელებს ან მართლა ანგელოზის მოთმინება ჰქონდათ, ანდა მე ვიყავი რაღაც კარგი თვისების პატრონი, თორემ სხვანაირად ჩემი ატანა შეუძლებელი იყო.

საკლასო ოთახში მუდამ ვეშმაკობდი. აქეთ-იქით დავეხეტებოდი.

სხვასავით კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა ჩემთვის არ არსებობდა. უსათუოდ მივიმალებოდი სადმე კუთხეში, ვიდრე ჩემი

[1] გალათის ხიდი – ოქროს რქაზე გადებული ერთ-ერთი ხიდია სტამბოლში იენი ჯამის მოედანსა და ნეჯათი ბეის პროსპექტს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგები არ ჩავიდოდნენ, შემდეგ კი ცხენივით მოვაჯდებოდი მოაჯირს და სრიალით დავეშვებოდი, ან კიდევ ფეხებს ტყუპად დავიჭერდი და სკუპ-სკუპით ვეშვებოდი კიბეზე.

ბაღში ერთი გამხმარი ხე იდგა. ერთხელ დრო ვიხელთე, ხეზე ავძვერი და, აღმზრდელის მუქარის მიუხედავად, მთელი დასვენება ტოტიდან-ტოტზე დავხტოდი.

– ეს ხომ ადამიანის შვილი არ არის, – შესძახა ამის მნახველმა აღმზრდელმა, – ეს ნამდვილი ნარჩიტაა!

იმ დღიდან ყველამ დაივიწყა ჩემი ნამდვილი სახელი და ნარჩიტა შემერქვა.

აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, მაგრამ შემდეგში ამ სახელმა ჩვენს ოჯახშიც მოიკიდა ფეხი და ფერიდე, სადღესასწაულო ტანსაცმლისა არ იყოს, განსაკუთრებულ დღეებში სახმარ ოფიციალურ სახელად იქცა.

ნარჩიტა მომწონდა კიდეც და ჩემი საქციელის შესაფერიც იყო. როცა ჩემს თავგასულობას უჩიოდნენ, მე მხრებს შევათამაშებდი და ვიტყოდი, რა ვქნა... აბა, ნარჩიტასგან მეტს რას უნდა მოელოდეთ-მეთქი.

დროდადრო ჩვენს სასწავლებელში ერთი თხაწვერა სათვალიანი მღვდელი დადიოდა. ერთ დღეს მაკრატლით ცოტა თმა მოვიჭერი და წებოთი ნიკაპზე მივიკარი. როცა ის ჩემკენ იყურებოდა, ნიკაპზე ხელებს ვიფარებდი, ხოლო როცა მიბრუნდებოდა, წვერს გამოვაჩენდი, ვაცანცარებდი, მღვდელს დავცინოდი და ბავშვებს ვაცინებდი. მას ამ ხარხარის მიზეზი ვერ გაეგო და ბრაზისგან ყვიროდა.

ერთხელ ფანჯარაში ვიხედებოდი, რომელიც საკლასო ოთახიდან დერეფანში გადიოდა. ვხედავ, იქიდან დირექტორი მიყურებს.

დავიბენი და ნახეთ, რა ვქენი. წელში მოვიხარე, თითი ტუჩებზე მივიდე და სუ-მეთქი, ვანიშნე. შემდეგ კი კოცნაც გავუგზავნე.

სასწავლებელში დირექტორი ყველას უფროსი იყო. უხუცეს მასწავლებელსაც კი იგი ღმერთად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, თხოვნამ, ჩემთან გაეზიარებინა დანაშაული, ის გაამხიარულა. თითქოს შეშინებულმა, რომ კლასში შემოსვლისას მკაცრ გამომეტყველებას ვეღარ შეინარჩუნებდა, მუქარის ნიშნად თითი დამიქნია და ბნელ დერეფანში გაუჩინარდა.

ერთხელ მან სასადილოშიც წამასწრო დანაშაულზე. კლასიდან მალულად წამოღებულ ქალალდის კალათში საჭმლის ნარჩენებს ვაწყობდი.

დირექტორმა მკაცრი ხმით მიმიხმო თავისთან.

– აქ მოდი, ფერიდე! ამას რას შვრები?

ვერაფერს მივხვდი, რას ვშვრებოდი ცუდს და თვალები მივაპყარი:

– განა რა მოხდება, ძაღლებს რომ საჭმელი მივუტანო? – ვკითხე მე.

– რომელ ძაღლებს? რა საჭმელი?

– აი, გარეთ რომ ძაღლები არიან... აჰ, რომ იცოდეთ, როგორ უხარიათ ჩემი დანახვა... გუშინ საღამოს ზედ კუთხესთან შემხვდნენ, ფეხებში დამიტრიალდნენ.. მოითმინეთ, რას შვრებით, სანამ გაშლილ ადგილზე არ გავალთ, არ მოგცემთ-მეთქი, ვეუბნები, მაგრამ მაგ ქოფაკებს არაფრის გაგონება არ უნდათ. მიწაზე დამაგდეს. მეც გავჯიუტდი და კალათას მაგრად მოვუჭირე ფეხები... კინალამ გამგლიჯეს. ღმერთმა უშველოს, ერთმა ვაჭარმა ჩაიარა ამ დროს და იმან გადამარჩინა.

დირექტორი თვალებში შემომცქეროდა და მისმენდა.

– კარგი, მაგრამ სასწავლებლიდან როგორ გახვედი? – მკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სამრეცხაოს უკან კედელზე გადავძვერი, – უყოყმანოდ მივუგე მე.

მან, თითქოს დიდი უბედურება შეიტყოო, ხელები თავში შემოირტყა:

– მერედა, როგორ გაბედე?

– ნუ წუხხართ, – მშვიდად მივუგე მე, – კედელი ძალიან დაბალია. აბა, როგორ გნებავთ, კარიდან გავიდე... განა კარისკაცი გამიშვებს. პირველად კი მოვატყუე, დაი ტერეზა გეძახის-მეთქი და გავეპარე... ძალიან გთხოვთ, რომ არ გამცეთ, თორემ ძაღლების დატოვება ძალიან საშიშია...

დიდად უცნაური ხალხი იყო ეს ალმზრდელები. ეს რომ სხვა პანსიონში ჩამედინა, მგონი, ან დამიჭერდნენ, ანდა რამე სხვა სასჯელს მომცემდნენ.

დირექტორი მუხლებზე ჩაჯდა. ჩვენი სახეები ერთმანეთს შეხვდა:

– პატარავ, – მითხრა მან, – ცხოველების მფარველობა ძალიან კეთილი საქმეა, მაგრამ ურჩობა სულაც არ არის კარგი საქმე... კალათა მე დამიტოვე... ნარჩენებს კარისკაცს მე გავატან ძაღლებთან.

ცხოვრებაში ამ ქალივით, მგონი, არავის ვყვარებივარ.

ალმზრდელების ასეთ მოქცევას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორიც ნიავს კლდის მიმართ. არა მგონია, რომ მათ ჩემს თავგასულობაზე და აშრობაზე ემოქმედათ. მაგრამ ვშიშობ, რომ დროთა ვითარებაში მაინც იმოქმედეს და ჩემში წარუშლელი კვალი დატოვეს, ორი თვისება – თანაგრძნობა და სიბრალული – გამომიმუშავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაჰათინ ალი
(1907-1948)

სატვირთო მანქანა[1]

სასტუმრო ზინჯირლის ეზოს ვიწრო და დაბალი ჭიშკრიდან დიდი გაჭირვებით გამოვიდა სატვირთო მანქანა. იგი აქეთ-იქით ახეთქებდა ტომრებსა და კალათებს და შელესილ კედლებს ეხახუნებოდა. შოფერს ცალი ხელი საჭისათვის ჩაევლო და ცდილობდა, ვიწრო ქუჩაზე ისე მოეხვია, რომ გადალმა მყოფ სადალაქოებში არ შესულიყო. მეორე ხელით კი თეთრ ლავაშსა და ყველს იტენიდა პირში. შოფრის თანაშემწე ზემოთ იჯდა მანქანაზე და იქიდან კარნახობდა მიმართულებას. მისი სახე და ტანსაცმელი ისე იყო გასვრილი მტვრით, ტალახით, ბენზინითა და მანქანის ზეთით, რომ ძნელი იყო მათი ფერის გარჩევა.

–წინ! უკან! გვერდზე! – ყვიროდა თანაშემწე და თან ყველსა და პურს შეექცეოდა.

სატვირთო მანქანა თავისი ოცდაორი მგზავრით ქუჩაზე გამოვიდა, ცოტა წინ გაიარა და გაჩერდა. გრძელწვერა მგზავრთან, რომელსაც თავისი აბგა ფეხებს შორის ამოედო, სირბილით მივიდა ერთი ბიჭი და ჩურჩულით დაუწყო მას ლაპარაკი. დროდადრო მოისმოდა სიტყვები: ხორბალი... კრედიტში... ერთი კოდი... რვა მეტრი შავი დიმი. ჩანდა, რომ მანუფაქტურით მოვაჭრე კაცი იზმირში მიდიოდა და შვილს უბარებდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ მიეცა გლეხებისთვის საქონელი. ორივე მღელვარებით იხედებოდა უკან და შოფერს სთხოვდა, ცოტა კიდევ მოეცადა:

–ცოტაც მოიცა, ხომ არ მოკვდები, – ეუბნებოდა ვაჭარი, შემდეგ სხვასაც შეავლებდა თვალს, რათა მოუთმენარი მგზავრებისთვის ეგრძნობინებინა, რომ ეს თქვენც გეხებათო.

ამ დროს მანქანას ძველ ხურჯინაკიდებული ახალგაზრდა გლეხი მიუახლოვდა. ის ერთხანს რაღაც შემკრთალი უყურებდა შოფერს, შემდეგ ჰკითხა:

–იზმირში მიდის?

–დიახ, იზმირში.

–მეც წამიყვანთ?

–ადგილი არა მაქვს.

ახალგაზრდა მაშინვე მიბრუნდა და მოშორდა იქაურობას.

მაგრამ შოფრის ფანჯარაზე დაყრდნობილმა გამხდარმა მაღალმა კაცმა, რომელიც შოფერს რაღაცებს აბარებდა, დაუძახა გლეხს:

–მოდი აქ, ჰეი, ახალგაზრდა!

გლეხი მობრუნდა. შავგვრემანმა მაღალმა კაცმა შოფერს მიმართა:

–ადგილი როგორ არა გაქვს, უკან ჩააკვეხე სადმე.

ეს კაცი მანქანის პატრონი იყო. შოფერმა სახე შეიჭმუხნა და ძირს ჩამოვიდა. ნახევარი ლირა წინასწარ გამოართვა ახალგაზრდას. შემდეგ მანქანის უკანა ბორტი გახსნა, მგზავრები მისწიმოსწია და ახლამოსულს ადგილი მისცა. ისედაც მუხლებზე ჩაჩოქილმა და ვიწროდ მყოფმა მგზავრებმა ყაყანი ატეხეს, არ შეიძლება, აქ როგორ უნდა ჩაეტიოსო. მაგრამ, ყველას ბრძანების შესრულებას მიჩვეულნი, ერთმანეთს ხელსა ჰკრავდნენ და ადგილს ათავისუფლებ-

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. ახალგაზრდა გლეხმა განაპირას ჩაიჩოქა და აბგა ქვეშ ამოიდო. მანქანა მაგრად შეირხა, ადგილიდან დაიძრა.

შოფრის გვერდით სულელური გამომეტყველების, შავებში ჩაცმული, ხნიერი, ვერცხლის სათვალიანი კაცი იჯდა. ვექილი იყო, ბეიშეჰირის მხარეს მიდიოდა სასამართლო საქმეებზე. თავი მოაბრუნა და უკან მსხდომთ მიმართა:

– კეთილ მგზავრობას გისურვებთ!

მგზავრებმა ერთხმად გაიმეორეს იგივე სიტყვები. როცა მანქანა კონიას გასცდა და ბეიშეჰირისკენ მიმავალ აღმართს შეუდგა, ზოგმა მგზავრმა მეზობელს დაუწყო მუსაიფი, ზოგმა პაპიროსს მოუკიდა, ზოგი კი მანქანის მეორე კუთხეში მჯდომს გამოელაპარაკა. ვინც უფულობის გამო ზურგიან სკამზე ვერ მოხვდა, სულ ბოლოში იყო ჩაცუცქული. მანქანა ანჯღრევდა ძილმორეულებს და ლაპარაკის საშუალებასაც არ აძლევდა. საწყლებს პაპიროსიც ვერ მოეწიათ და გამოშტერებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს.

***

ახალგაზრდა გლეხი, რომელიც გვიან მოვიდა, პირველად იჯდა მანქანაზე. მანქანით მგზავრობას მიუჩვეველი, მთლად გაფითრებულიყო, თუმცა სხვა სადარდებელიც ჰქონდა.

მისი სოფელი ერთი საათის სავალზე იყო მოშორებული კონიას. მას იზმირში უნდოდა წასვლა. შოფერს ჩვეულებად ჰქონდა, იზმირში მისვლისთანავე გზის ფული მოეთხოვა მგზავრებისათვის. ახალგაზრდა გლეხმაც იცოდა ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, შოფრის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა, რადგან ხუთი გროშიც კი არ გააჩნდა.

მოსავალი ისე მცირე იყო, რომ გაყიდვად არ ღირდა. გადასახადები დაუფარავი რჩებოდა, სახლშიც ყველაფერი გამოელია და იმედიც არაფრისა იყო. მაშინ განზე გაიხმო მამამისი და უთხრა:

– მამა, ქალაქში წავალ სამუშაოდ. შეხე, ნახევარი სოფელი წავიდა. იზმირში ბევრი სამუშაო ყოფილა. ფაბრიკებში თურმე ნახევარ ლირასაც კი იძლევიან დღეში. ზამთარი რომ აქ გავატარო, ტვირთად დაგაწვები, უმჯობესია, წავიდე და ჩემთვის ლუკმაპური ვიშოვო. გაზაფხულზე ისევ დავბრუნდები და ყანაში ვიმუშავებ.

სილარიბისაგან დაბეჩავებულ მოხუცს ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდა და შვილს თანხმობა მისცა. თვრამეტი წლის ახალგაზდა იზმირში უკვე ნამყოფ კაცებთან წავიდა ჭკუის საკითხავად.

იზმირში წასასვლელად ჯერ კონიაში უნდა ჩამჯდარიყო ავტობუსში. მანქანა ორ-სამ დღეს უნდებოდა გზას და ბეიშეჰირი, კარალაჯი და ოდემიში უნდა გაევლო. სამგზავრო ხარჯად ხუთი ლირა იყო საჭირო. იზმირში მას ნათესავი უნდა მოენახა და მისთვის ეთხოვა შოფრისათვის მისაცემი თანხა.

იგი საგზაო ხარჯის შეგროვებას შეუდგა. სახლში ერთი ძველი ორლულიანი თოფი ჰქონდა, მაგრამ ნახევარ ლირაზე მეტს არავინ მისცემდა იმ თოფში. ერთი კვირა ეძება სოფელში ფული, მაგრამ ხუთი ლირის შეგროვება ვერ მოახერხა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ბაყლის შვილი შეხვდა. ის ერთ დროს მამამისს გაექცა და შოფრის თანაშემწედ მუშაობდა. იმან ასწვლა ჭკუა:

– ბიჭო, გაგიჟდი შენა? ისღა გაკლია, მანქანის ფული გადაიხადო. ნახევარი ლირა წინასწარ მიეცი შოფერს, შემდეგ, იზმირს რომ მიუახლოვდები, ჩუმად ჩამოხტი და იზმირამდე ფეხით იარე. ოღონდ, – დაუმატა მან, – იცოდე, რომ ფულს იქვე იზმირთან აგროვებენ და, შენ თუ უფრო ადრე არ გადმოხტი, მაშინ ცუდად იქნება შენი საქმე. ფეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ ამოგიდებენ და ცხვრიდან ძმარს გადენენ; თან ნიფხავ-პერანგის ამარად დაგტოვებენ.

ასე რომ, თვრამეტი წლის ახალგაზრდამ ორმოცდაათი ყურუში წინასწარ მისცა შოფერს და თვითონ კი უფულოდ გაემგზავრა იზმირში სამუშაოდ.

***

მგზავრობის მეორე დღეს, საღამოს, ახალგაზრდა გლეხი უკვე ველარ ისვენებდა თავის ადგილზე. სახლიდან გამოსვლის შემდეგ მშიერი იყო. სოფლიდან წამოღებული კვერი მაშინვე შეჭამა, როგორც კი მანქანაზე ავიდა. მის გვერდით მსხდომი გლეხები მძიმე-მძიმედ ღეჭავდნენ გამხმარ შავ პურს. ამის დანახვაზე მას ნერწყვი მოსდიოდა, თვალებს ხუჭავდა, თავბრუდახვეულივით ეყრდნობოდა მანქანის კედელს. შემდეგ უცბად შეკრთებოდა, ოდნავ წამოიწევდა ადგილიდან, წინ გაიხედავდა და ისევ მიიკრუნჩხებოდა თავის ადგილზე. რაც უფრო წინ მიიწევდა მანქანა, მით უფრო მატულობდა ახალგაზრდა გლეხის შიში და ხშირად შიმშილსაც კი ავიწყებდა. დროდადრო შიში და შიმშილი ერთად ეუფლებოდა და საწყალი გონებას კარგავდა. მგზავრებისგან გაიგო, რომ იზმირს უახლოვდებოდნენ. რამდენზე მიუახლოვდნენ? ნეტავ დროა, რომ გადახტეს და გაიქცეს? ვაითუ შორსაა და ამ შუაღამისას მთებში გზას როგორ გააგნებს? არადა, აქ როგორ გაათიოს ღამე? ვაითუ ჟანდარმებს ჩაუვარდეს ხელში? ან იქნება შოფერმა შეატყობინოს პატრულებს, რომ ფული არ გადაუხდია და ისე გადახტა და გაიქცა. მაშინ ხომ, ალბათ, სცემენ ჟანდარმები; ვინ იცის, რა ჯობია, – ჟანდარმებმა სცემონ თუ შოფერმა. თუმცა იქნებ ვინმე მადლიანი მგზავრი აღმოჩნდეს და არ აცემინოს. ხომ შერცხვა ამდენ ხალხში და თან ტიტველიც დარჩა. მაშინ იზმირში როგორღა მივა, ნათესავებს როგორ მოძებნის. უნდა გადამხტარიყო, სხვა გზა არ ჰქონდა.

მაგრამ როგორ მოეხერხებინა გადახტომა? მანქანა ხომ ბულს აყენებდა და მოსახვევებში აქეთ-იქით ისროდა მგზავრებს. ბევრჯერ უნახავს მანქანა, მაგრამ შიგ არა მჯდარა. ახლა კი ხმაურის, ლაყლაყის და გადამუშავებული ბენზინის საშინელი სუნის გამო მანქანა მისთვის რაღაც შიშის მომგვრელ მოჩვენებად ქცეულიყო. არეულობაში, მტვერსა და ხმაურში ნახევრად გაბრუებულ ყმაწვილკაცს სიზმარივით გაუელვა თავში მისმა სოფელმა, მის მიერ წარმოდგენილი იზმირის მკრთალმა სურათებმა, ბენზინით აყროლებული შოფრის სახემ, ბეიშეჰირში გადმომხტარმა სათვალიანმა ვექილმა.

დროდადრო, როცა ავტომობილი სვლას შეანელებდა, შეშინებული ყმაწვილი ადგილიდან წამოხტებოდა, ვაითუ ფულის მოსაგროვებლად ჩერდებაო, მაგრამ, როცა მანქანა ისევ სწრაფად განაგრძობდა გზას, ის თავის ადგილს უბრუნდებოდა, გადასახტომად მზადმყოფი. მაგრამ როგორ გადახტეს? მანქანის ზომა თანდათან მატულობდა მის თვალში. უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა მის გრძნობებზე და სულს უხუთავდა. აღარ ეგონა, რომ გადაურჩებოდა ხიფათს, თვალებდაჭყეტილი იცქირებოდა აქეთ-იქით. ეჩვენებოდა, რომ გარშემო მსხდომი გლეხები და წინ მოკალათებული ბატონები მას უცქერდნენ და, როგორც კი ოდნავ გაინძრეოდა, მაშინვე სტაცებდნენ ხელს. საფეთქელზე ამოსული ბუსუსები შუბლიდან ჩამონადენი ოფლით ჰქონდა დასველებული.

სატვირთო მანქანამ მოულოდნელად უკლო სიჩქარეს. გზის მარცხენა მხარეს მიუვალი კლდე იყო აღმართული, მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვნივ კი ორი მინარეთის სილრმის პირდალებული უფსკრული ჩანდა. გზა მოულოდნელად ვიწროვდებოდა. ძრავის ხმაურმა იკლო, უფსკრულიდან წყლის ჩუხჩუხი მოისმოდა. შარაგზის ამ მონაკვეთზე ერთი ქვაც კი არ იყო დაგებული. მანქანა შეიძლება გადაბრუნებულიყო, რის გამოც მგზავრები, ჩვეულებრივ, ამ ადგილს ფეხით გადიოდნენ, მანქანა კი ნელ-ნელა ცარიელი მიიწევდა წინ. მანქანა ჯერ გაჩერებული არ იყო, როცა შოფერმა უკან მოიხედა და დაიყვირა:

— აბა, მოემზადეთ, ბატონებო!

მანქანის უკანა მხარეს რალაც უეცარი მოძრაობა შეიქნა, თვალებამღვრეული და შიშისგან აკანკალებული ახალგაზრდა მანქანიდან ქვევით გადაეშვა. წონასწორობა დაკარგა, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გადამხტარი, რამდენჯერმე ამოტრიალდა ერთ ადგილზე, ფეხი აუცდა, ბუჩქებს მოებღაუჭა, მაგრამ თავის შეკავება უკვე ძნელი იყო. ლოდს კეფა დაჰკრა და დაგორებულ ქვებსა და ხრეშთან ერთად დაეშვა ქვევით, საიდანაც ახლა უფრო მკაფიოდ მოისმოდა მდინარის ჩუხჩუხი.

ურიკები ხუთ ყურუშად[1]

საღამოობით, როცა ქუჩებში ხალხი ირეოდა, ერთი სახლის კუთხეს ქალი და პატარა ბავშვი მოადგებოდნენ ხოლმე. მუქ მოსასახმაში გახვეული ქალი სახეს იფარავდა, მხოლოდ ორი შავი თვალი დაჰყურებდა ნახევრად დაბნელებულ ქუჩას. გვერდში ბავშვი ედგა, რომელიც სათამაშოებს იღებდა ტომრიდან. ეს იყო ჯოხის ბოლოზე დამაგრებული ორი ხის ბორბალი. ბორბლებს ზემოდან ორ ტრიალა ღერძს შორის ჩამაგრებული იყო მრგვლად შეკრული ოთხი ჩხირი. მიწაზე გაგორებისას იგი ტრიალებდა, ფრრრ-ო, გაიძახოდა.

ბავშვმა სათამაშოები ქალის წინ ჩამწკრივა, ერთი ცალი ქვაფენილზე გააგორ-გამოაგორა და წვრილი ხმით გასძახა:

—ურიკები ხუთ ყურუშად... ყუთ ყურუშად... ურიკები ხუთ ყურუშად!..

ქალი და ბავშვი მანამდე რჩებოდნენ იქ, სანამ ქუჩები არ დაცარიელდებოდა.

ბავშვი რვა წლისა იყო, მაგრამ ერთი შეხედვით ექვსზე მეტს არავინ მისცემდა. პატარა და საცოდავი, თავის ხმასავით დალეული იყო და კანკალებდა. ყვირილის დროს ცდილობდა, გრძლად გამოეთქვა სიტყვები. დედასავით ისიც სულ ქვევით იცქირებოდა, თავს ერთხელ არ ასწევდა.

იქვე, კუთხესთან, ვიტრინაგანათებული საგალანტერიო მაღაზია იყო. ვიტრინიდან მნახველს ულიმოდა ნაირნაირი, თვალისმომჭრელი ყელსაბამები, ლამაზაბზინდიანი ქამრები, შალის სვიტერები, ხელთათმნები და მრავალი სხვა, ადამიანისათვის საჭირო თუ უსარგებლო ნივთი. დედა-შვილი მაღაზიას ჩაუვლიდა ხოლმე და თავის კუთხეში მოიკალათებდა. ისინი ცდილობდნენ, აღარ მიეხედათ მაღაზიისაკენ. სინათლე რომ არ ყოფილიყო, რომელიც ტალახიან ქვაფენილს ეცემოდა და იქაურობას

[1] საბაჰათინ ალი, მგელი და კრავი, ნოველები, სახელგამი, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაგ-ალაგ ანათებდა, ალბათ არც კი ეცოდინებოდათ ამ მაღაზიის არსებობა.

სამაგიეროდ, ბევრი გამვლელი, განსაკუთრებით კი ბავშვები, დიდხანს ჩერდებოდნენ ამ ოსტატურად გაწყობილ ვიტრინასთან, მაგრამ მათ მეხსიერებაში დიდხანს არ რჩებოდა ვიტრინის ლამაზი სურათები. ბავშვები ცოტა კიდევ ჩაივლიდნენ თუ არა, ტუჩებაბზუებული მიაცქერდებოდნენ ხის ბორბლებიან ურიკებს. პატარა ბავშვი კი ყურადღებას არ აქცევდა მათ გულცივობას, წინ იყურებოდა და დროდადრო გაიძახოდა:

–ხუთ ყურუშად, ურიკები ხუთ ყურუშად!

მაღაზიის წინ დიდი ავტომანქანა გაჩერდა, საიდანაც საკმაოდ მსუქანი და მორთული ქალბატონი გადმოვიდა. უკან მას მოჰყვა რვა-ცხრა წლის ბიჭუნა. ბავშვს მსუბუქი ლურჯი პალტო ეცვა და თეთრი ლაბადა ჰქონდა მოსხმული. თავზე თეთრი ბერეტი ეხურა. ისინი მაღაზიაში შევიდნენ.

მალე, შიდა ვიტრინები რომ დაათვალიერა, ბიჭი გარეთ გამოვიდა და იმ კუთხისკენ გაიხედა, სადაც სათამაშოები ეგულებოდა. სწორედ ამ დროს პატარა გამყიდველის ხმა გაისმა.:

–ურიკები ხუთ ყურუშად...

ბავშვი შავმოსასხამიანი ქალის გვერდით მდგომი პატარა ბიჭისკენ გაქანდა. ხელი მოჰკიდა.

–ააა! შენ აქ ურიკებს ყიდი? – წამოიძახა მან.

პატარა გამყიდველმა თავი ასწია და შეხედა. სახეზე მაშინვე ღიმილი გადაეშალა და იმანაც ააა-ო, წამოიძახა.

–დედაჩემი მარტო ვერ მოდის, არც ყვირილი შეუძლია... ამიტომ მე დავყვები... – დაამატა მან.

თეთრლაბადიანმა ბიჭმა, რომელსაც მატყლის ხელთათმნები ეცვა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო, ნუში ამოიღო, ერთი პირში ჩაიდო, ერთი თავის ამხანაგს გაუწოდა და ლოყებგამობერილმა ჰკითხა:

–გაკვეთილებს როდის ამზადებ?

–სკოლიდან რომ ვბრუნდები, ერთი-ორი საათი გაკვეთილებს ვუზივარ, მერე აქ მოვდივარ. საღამოობით არ ვმეცადინეობ, ნავთი ძვირი გვიჯდება.

–ჩვენი მასწავლებელი დაინახე? ახლა აქ გაიარა.

–მასწავლებელმა იცის, რომ მე ურიკებს ვყიდი.

პატარა ბიჭმა ამ დროს თვალი მოჰკრა მომავალ ქალს, რომელსაც რამდენიმე ბავშვი მოჰყვებოდა, ლაპარაკი შეწყვიტა და გასძახა:

–ურიკები ხუთ ყურუშად...

ბიჭებს ერთმანეთისთვის ხელი ჩაევლოთ. შავმოსასხამიანი ქალი დამწუხრებული შესცქეროდა მათ.

–ამოხსენი არითმეტიკის ამოცანა? – ჰკითხა თეთრბერეტიანმა ბიჭმა თავის ამხანაგს. – მე წელან ბევრი ვეცადე... საღამოს მამას ვკითხავ.

–რა უნდა ჰკითხო, ძალიან ადვილია, – უპასუხა მეორემ და მაშინვე აუხსნა კიდეც.

ბავშვები ისე გაერთნენ ლაპარაკით, რომ სათამაშოების გამყიდველს თავისი საქმე სულ გადაავიწყდა.

–ყური მიგდე, – ხელი წაჰკრა მას ამხანაგმა, – ჩემ გვერდით რომ ბავშვი ზის, პირი უყარს... მე შენთან გადმოვჯდები... უფრო კარგადაც ვიმეცადინებთ.

–ჩემთან რომ ზის, ის არ დაგითმობს ადგილს. მე ვერ ვეტყვი, ჩვენი უბნელია, თანაც – მეზობელი, ისიც ჩვენსავით ღარიბია...

სიტყვა აღარ გაუგრძელებია, კინაღამ თქვა, იტყვიან, ეს ააყენა და გვერდზე მდიდარი ბავშვი მოისვაო, მაგრამ გაჩუმდა და სხვა რაღაცებზე დაიწყო ლაპარაკი.

სწორედ ამ დროს მაღაზიიდან მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარი ბავშვის დედა გამოვიდა. მოღიმარმა ქალმა აქეთ-იქით მიმოიხედა. შოფერმა მაშინვე მასთან მიირბინა, ჩამოართვა ფუთა და თავის ადგილას დადო. ქალმა კუთხისკენ გაიხედა. თავის შვილის დანახვაზე კოპები შეიკრა და ჩქარი ნაბიჯით მისკენ გაემართა. ბავშვი გაიტრუნა და გაკვირვებული, მაგრამ მოღიმარი მიაცქერდა დედას. ერთი წუთით თითქოს ყველაფერი გაირინდა.

პატარა გამყიდველის დედას თავი აეწია და უყურებდა მისკენ მომავალ ქალს, რომელიც ისე მოაბიჯებდა, თითქოს მოგორავსო. მას ძვირფასი ქურქი და გველის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი ეცვა.

ქალმა მიახლოებისთანავე გაკვირვებულ და მოღიმარ შვილს სტაცა ხელი:

–ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარი, ვის ელაპარაკები? – იყვირა მან და ქოლგა ჩასცხო ზურგში პატარა გამყიდველს, რომელსაც ჯერ ხელი არ გაეშვა თავისი ამხანაგისათვის. – საძაგელო! – ყვიროდა ქალი, – განა შენი ტოლია ჩემი შვილი, რომ ელაპარაკები?

ბიჭებმა ხელი უშვეს ერთმანეთს. შავმოსასხამიანი ქალი კედელთან ატუზულიყო. ბავშვს ტკივილისგან ცრემლები მოერია.

თეთრბერეტიანი ბიჭი გაოცებული იდგა, მაგრამ ამხანაგის თვალებზე ცრემლი რომ დაინახა, აღშფოთებით მიმართა დედას:

–დედიკო, ის ჩემი სკოლის ამხანაგია!

სახეწამოწითლებულმა ქალმა ბავშვს ხმა გააკმენდინა:

–ხვალ თქვენს სკოლაში დავრეკავ და იმათ ვუჩვენებ, როგორ შეუშვან სკოლაში ყველა ოხერი.

მან ხელი მოჰკიდა თავის შვილს, მუქარით გადახედა უკან დარჩენილ პატარა გამყიდველს და მანქანისკენ გაემართა. ბიჭმა მოიხედა, თვალცრემლიანი ამხანაგი რომ დაინახა, რომელიც განზე იცქირებოდა, თვითონაც ცრემლებით აევსო თვალები.

სათამაშოების გამყიდველი თავისი ათრთოლებული წვრილი ხმით განაგრძობდა ყვირილს:

–ხუთ ყურუშად, ურიკები ხუთ ყურუშად!

ბატები[1]

დუდუმ, რომელსაც ხელში წერილი ეკავა, სასწრაფოდ შეაღო მასწავლებლის სახლის კარი.

–წამიკითხავ ამ წერილს? სეიდისგან მივიღე, – წარმოთქვა მან.

მასწავლებელმა ცალი თვალი დუდუს შეავლო, შემდეგ ხელი გაიშვირა წერილისკენ და, მომეციო, უთხრა.

დუდუს ქმარმა სამი წლის წინათ ვილაცა მოკლა ქორწილში და ათი წლით ციხეში ჩასვეს. მართალია, რვამ ისროლა ერთად და ძნელი იყო იმის გარკვევა, ვისმა ტყვიამ მოკლა კაცი, მაგრამ სხვებმა, სეიდისა და მისი ამხანაგის, დურმუშის, გარდა, მაზრის გამომძიებელს ქრთამი მისცეს და თავი გაიმართლეს. ვილაიეთის[2] სასამართლომ ორივეს ათ-ათი წელი მიუსაჯა.

მასწავლებელმა წერილი წაიკითხა.

მოკითხვის შემდეგ სეიდი ჩიოდა,

[1] საბაჰათინ ალი, მგელი და კრავი, ნოველები, სახელგამი, 1957.
[2] ვილაიეთი – ადმინისტრაციული ერთეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ვერა ვარ, ჭუჭყიან და ტილებით სავსე საკანში ვარ გამომწყვდეულიო. შემდეგ დუდუს სთხოვდა, იქნებ მოხვიდე და ორი ბატი მოუყვანო უფროს ზედამხედველსა და ციხის უფროსს, რომ სამყოფი გამომიცვალონ. საკნის თავში უფრო ნაკლები ტილია და სისუფთავეც უფრო არისო.

ქალმა წერილი გამოართვა და უბეში ჩაიდო. მასწავლებელმა ამით ისარგებლა და უკეთ შეავლო თვალი დუდუს გულ-მკერდს.

დუდუმ ხელი მოჰკიდა იქვე, სკოლის გვერდით ნაკელის გროვაზე თამაშით გართულ პატარა ვაჟს, ჰუსნუს, და დაფიქრებული დაბრუნდა შინ. რა ექნა, არ იცოდა.

თვითონ დუდუს ერთი ბატის მეტი არ ჰყავდა და ამ ბატის დადებული კვერცხით ბაყალ ილიას ეფენდის უხდიდა ვალს. ბატს ყოველდღეც რომ დაედო კვერცხი, ჰუსნუს საპერანგედ ნაყიდი ჩითის ვალს ერთ თვეში თუ გაისტუმრებდა, ახლა კი, ბატი რომ ქალაქში წაელო, ილიას ეფენდი სახლში ლოგინსაც არ დაუტოვებდა.

დუდუს ერთი ბატი ჰყავდა... სეიდი კი ორსა სთხოვდა...

დუდუ რძალს მიადგა კარზე, სეიდის უფროსი ძმის ცოლს. სეიდის ძმა ამ ორი კვირის წინ, ნადირობის დროს, ქორწილში მოკლული კაცის ნათესავებმა გამოასალმეს წუთისოფელს.

– აქედან დამეკარგე! მაგ გაიძვერა სეიდის გულისათვის მომიკლეს ქმარი. ღმერთო, ნუ გამოიყვან იმას ციხიდან! – იყვირა ახალდაქვრივებულმა და ტირილი დაიწყო.

დუდუ უკან გამობრუნდა და შეშინებულს სხვა ნათესავებისთვისაც აღარ მიუკითხავს. ღამე რული არ მიჰკარებია. სახლში ოთხი წლის ბიჭის გარდა არავინ ჰყავდა, ეშინოდა კიდეც, სეიდის მტრები სულ ემუქრებოდნენ, არ გაბედო და ქმარს არ დაეხმაროო. მისი ძმაც ხომ იმიტომ მოკლეს, რომ სეიდს ხელს უმართავდა ხოლმე. დუდუს ყველამ გამოუკეტა სახლის კარი.

სეიდი კი ორ ბატს სთხოვდა და ისიც – სხვისთვის.

დუდუ ფრთხილად წამოდგა ლოგინიდან და ეზოში გავიდა. ბატი დაიჭირა და ფეხები შეუკრა. ბატმა ყიყინი მორთო. მეზობლის ბოსტნის ღობის იქიდან სხვა ბატებმაც მისცეს ბანი.

ცოტა ხანს დაფიქრდა დუდუ, შემდეგ გარღვეულ ღობეს მიაშურა. მეზობელ ბოსტანში გადაძვრა და თავის საშველად კუთხისკენ ბაჯბაჯით მიმავალი ბატებიდან ერთს ხელი წაავლო.

ძალლმა იცნო მოსული და ხმა არ ამოუღია.

დუდუმ ჰუსნუ ზურგზე მოისვა, ცალ ხელში ფეხებშეკრული ბატები დაიჭირა, მეორეში ერთი პარკი ბურღული და ღამის სიგრილეში ქალაქისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ჰუსნუს ბექმეზით სავსე პატარა დოქი ეკავა ხელში. ხანდახან დუდუ ქვას წამოჰკრავდა ფეხს და მაშინ ბექმეზი ზურგში ესხმებოდა.

ქალაქამდე ცხრა-ათი საათის სავალი იყო.

აგერ უკვე სამი თვეა, რაც სეიდი ავად არის. ციხის ექიმმა იგი საავადმყოფოში დააწვინა. წინათაც რამდენჯერმე იწვა თითო-ოროლა დღე, მაგრამ, როგორც კი უფრო მძიმე ავადმყოფი მოვიდოდა, მაშინვე გამოწერდნენ ხოლმე.

ბოლოს სულ აღარ მიიღეს.

საავადმყოფოები არ იღებდნენ ისეთ სნეულებს, რომელთა მკურნალობაც შეუძლებელი იყო. ასეთი იყო კანონი.

ამგვარი ავადმყოფებისათვის შეიძლება პატიმრობის ვადა გადაედოთ ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეთავისუფლებინათ კიდეც, მაგრამ სეიდმა ისიც არ იცოდა, თუ რა სჭირდა.

ზოგიერთმა ფხიანმა და გამოცდილმა პატიმარმა კარგად იცოდა ციხის ამგვარი ოინები, მაგრამ ამ ღატაკს სადა ჰქონდა ამის თავი!

კასაციები და განცხადებები პროკურატურის კანცელარიაში ეწყო და, წამკითხავი რომ არავინ იყო, რიგს უცდიდა.

ნახევრად მშიერი სეიდი ყველაზე ცუდ ადგილას იწვა, „პარაშას" გვერდით.

ავადმყოფს მუშაობა არ შეეძლო, ვერც ვერავის ემსახურებოდა. წყლისა და სხვა რამის ზიდვის თავი, აბა, სად ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ციხის ულუფაზე გადადიოდა.

ერთ ულუფასაც სამ დღეს გამოიზოგავდა ხოლმე, რომ დანარჩენი ორი დღისა გაეყიდა და იმ ფასად მაწონი ეყიდა.

სეიდი მთელი დღე ფეხგაუნძრევლად იწვა.

პატარა სარკმელში ლურჯი ცის მუჭისოდენა ნაფლეთი მოჩანდა. იწვა სეიდი გატრუნული და თვალს არ აშორებდა ცის ნაგლეჯს.

წერილი სხვას დააწერინა, მაგრამ მერე დიდხანს ველარ გაგზავნა. ხვნის დროა, საქმეს ჩამორჩებიანო, ფიქრობდა ის.

ბოლოს მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა. უბიდან ორად გაკეცილი წერილი ამოიღო და ერთ გათავისუფლებულ ტუსაღს სთხოვა, ვინმე მისი სოფლელისთვის გადაეცა.

დაიწყო მოუთმენელი ლოდინის დღეები.

წერილის წამომღებს ბევრი საქმე გამოუჩნდა და ქალაქში ათი დღე დაყოვნდა. სეიდი კი სულ მოლოდინში იყო.

მწოლიარეს თვალები კვლავ ცის ნაგლეჯისათვის მიეპყრო. საღამოს ცოტა რაღაცას შეჭამდა და შემდეგ ცდილობდა, ძილისთვის მიეცა თავი.

„ვთქვათ და მოვიდეს დუდუ, როგორ მივალ კართან? მივხოხდები, მივხოხდები," – ფიქრობდა სეიდი თავისთვის.

ცოლი რომ შეირთო, ერთი თვის შემდეგ ჯარში გაიწვიეს. დემობილიზაციით ჩამოვიდა და ოცი დღის შემდეგ დააპატიმრეს. ჯერ გული ვერ გაეძლო დუდუს ცქერით.

დუდუ კი რატომღაც იგვიანებდა.

სეიდს გული ელეოდა ამდენი ლოდინით.

მოვიდა დუდუ. ჭიშკართან არავინ ჩანდა. ის იყო, უნდა შესულიყო, რომ... ჟანდარმმა ხელი ჰკრა და, უკან გაბრუნდიო, დაუყვირა.

კარში მდგომმა ყარაულმა ბატები და პარკი რომ დაინახა, ხელი დაუქნია დუდუს, მაგრამ სწორედ ამ დროს რამდენიმე ტუსაღს საკაცე გამოჰქონდა გარეთ და მათკენ გაეშურა.

– მუსალასთან[1] მიიტანეთ, მე კი საბუთს გავაფორმებ, – განკარგულება გასცა ციხის მწერალმა და ოთახში შევიდა.

უფროსი მეციხოვნე ყარაულებსა და სხვა თანამშრომლებს რაღაც ქაღალდზე აწერინებდა ხელს. ეს იყო ცნობა, რომ მიცვალებულს დარჩა საბანი, სპილენძის ქვაბი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი.

საკაცე რომ გაიტანეს, ყარაულმა განზე მდგომ დუდუს ჰკითხა:

– ვინ გინდა?

– ოფრუქელი[2] სეიდი.

---

[1] მუსალა – ქვა, რომლეზეც იდგმება კუბო დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროს.
[2] ოფრუქი – სოფლის სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარაულმა შუბლი შეიჭმუხნა და ის იყო, ხელი უნდა გაეშვირა ახლახან გატანილი საკაცისკენ, რომ მისი თვალები ისევ ბატებსა და პარკს წააწყდა.

– აქაა, მაგრამ დღეს ნახვის დღე არ არის. ეგენი მე დამიტოვე, შენ კი ერთი კვირის შემდეგ მოდი, – მიუბრუნდა ის დუდუს. პარკი, ბატები და ბექმეზიანი კოკა ჩამოართვა და კედელთან დააწყო. – კვირის სწორს მოდი-მეთქი, ხომ გითხარი, – უყვირა იქვე კედელთან ჩაცუცქულ დუდუს. – ამას ჩვენ თვითონ გადავცემთ, შენ კი გასწი, ნულარ იცდი.

ერთი კვირა ქალაქში ხომ ვერ დარჩებოდა. მოჰკიდა ჰუსნუს ხელი და სოფლისაკენ გასწია.

ბავშვი წარამარა უკან იცქირებოდა და ტიროდა:

– სად არის მამა?.. სად არის მამაჩემი?..

– რა გატირებს? ვერ გაიგე, რომ არ გვაჩვენეს? – გაბრაზდა დუდუ და ბავშვი შეანჯღრია.

შემდეგ კი რბილად დააყოლა:

– აი, გავლეწავთ პურს და მერე ვნახავთ მამას.

დაბრუნდნენ სოფელში.

ის იყო, სოფელში ფეხი შედგა დუდუმ, რომ ჟანდარმებმა ხელი სტაცეს. სანამ დუდუ ქმრის სანახავად იყო წასული მაზრაში, გაეგოთ, ბატი რომ მოიპარა, მისი საქმე გაერჩიათ და სამი თვის პატიმრობაც მიესაჯათ. ციხეში მჯდომ დუდუს არც კი გაუგია, რომ სეიდმა ჯერ კიდევ კალოობამდე განუტევა სული.

შუშის კოშკი[1]

ოდესღაც ცხოვრობდა სამი ამხანაგი, რომლებსაც საქმის კეთებას უქმად სიარული ერჩიათ. სადაც მივიდოდნენ, იშვიათად, რომ გულთბილად მიეღოთ; ყველა კინწისკვრით ერეკებოდა. ოფლით მოპოვებული გემრიელი ლუკმის ჭამა მათთვის უცხო იყო, რადგან ხელები შრომას არ ჰქონდათ მიჩვეული. ერთ დღეს ხანგრძლივი მოგზაურობით დაქანცულნი ისხდნენ მომაღლო გორაკზე და მწუხარებით გასცქეროდნენ ქვევით, დაბლობზე გაშლილ დიდ ქალაქს. „ნეტავ როგორ მიგვიღებენ ამ უცხო ქალაქში?" – ფიქრობდნენ ისინი. ერთ მათგანს ამ დროს რაღაც აზრი მოსვლოდა თავში, წამოიჭრა და შესძახა:

– გამომყევით, ამ ქალაქში შუშის კოშკი ავაშენოთ; სიკვდილამდე კმაყოფილებასა და მოსვენებაში ვიცხოვრებთ.

– ეგ შუშის კოშკი რაღაა? – ჰკითხეს დანარჩენებმა.

– ნულარ დგახართ, დროს ნუ კარგავთ, გზაში მოგიყვებით, – უპასუხა მან, ამხანაგები გაიყოლია და ჩიტივით დაეშვა ქვემოთკენ.

მეთაურმა გზაში მოკლედ უამბო, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქალაქში შესვლისას.

ქალაქი, სადაც ისინი მივიდნენ, იმ ქვეყნის დედაქალაქი ყოფილიყო. ამ ქვეყანაში მთელი ხალხი შრომობდა, აკეთებდნენ, ვისაც რა გამოსდიოდა ხელიდან, საკუთარ თავს თვითონ განაგებდნენ და ბატონებივით ცხოვრობდნენ.

[1] საბაჰათინ ალი, მგელი და კრავი, ნოველები, სახელგამი, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანებსა და დუქნებში ხალხი ფუტკარივით ირეოდა, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, საქონელს ცვლიდნენ საჭიროების მიხედვით. ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ უომრად, უბატონოდ. დავისა და ყოველდღიური საკითხების გადასაჭრელად გამოყოფილი ადამიანები მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, რომ ერთგულად ემსახურათ თანამოძმეებისათვის და ძალადობა ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ.

იმ დღეს, როცა ჩვენი ნაცნობი სამი მეგობარი ქალაქში მივიდა, იქ ბაზრობა იყო. ქუჩებში ყველგან გროვა-გროვად ეწყო მარცვალი, ხილეული, ქსოვილები, რკინეულობა, ნახშირი. მყიდველი თუ გამყიდველი შუამავლის გარეშე ვაჭრობდა.

მეგობრები, ადრე დადებული პირობის თანახმად, უსაქმოდ დახეტიალებდნენ ქუჩებში, გარშემო იცქირებოდნენ, თავს იქნევდნენ და გამვლელთა გასაგონად ამბობდნენ:

– ღმერთო, ღმერთო, რა უცნაური ქვეყანაა!..

გაიარეს ერთი ქუჩა, გავიდნენ მეორეზე, შემდეგ – მესამეზე და ყველგან ერთსა და იმავეს იმეორებდნენ განცვიფრებულნი. თანდათან მათ დაინტერესებულთა მთელი ტალღა აედევნა და ერთმანეთს დაუწყეს კითხვა, თუ რა იყო მათ ქალაქში ასეთი უცნაური. ბოლოს ერთმა მათგანმა ველარ მოითმინა და უცხოელებს შეეკითხა:

– ღვთის გულისათვის, რა გიკვირთ ასე?

– ისა, რომ სად არის თქვენს ქვეყანაში შუშის კოშკი? – იკითხა მეთაურმა.

– რა შუშის კოშკი?

– როგორ რა! განა თქვენ არა გაქვთ შუშის კოშკი?

– რას ნიშნავს ეგ?

მეთაური ამხანაგებს მიუბრუნდა:

– ოჰ, ღმერთო, არც კი იციან, რა არის შუშის კოშკი. ასეთ ქვეყანაში არ დაიდგომება. ახლავე გავუდგეთ ჩვენს გზას.

ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო დაინტერესდა. სამი ამხანაგისათვის თავი აღარ დაუნებებიათ, რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, ისევ შეეკითხნენ:

– ძმაო, რა არის ეგ შუშის კოშკი? გვითხარ და, თუ აუცილებელი რამაა, იქნებ ჩვენც გავაკეთოთ.

– „აუცილებელი" რა სიტყვაა? განა იქნება ქალაქი შუშის კოშკის გარეშე ან კიდევ შუშის კოშკისგან დამოუკიდებელი ქვეყანა?.. წავიდეთ, მეგობრებო!..

ხალხმა იქვე მოილაპარაკა ერთმანეთში და უცხოელებს მიაშურა:

– რა გვაკლია ჩვენ სხვა ქალაქებთან შედარებით? რადგან ასე საჭირო ყოფილა, ყველამ ერთად ავაგოთ ეს შუშის კოშკი.

უცხოელების მეთაურმა უთხრა:

– არ იქნება, არა, შუშის კოშკის აგება ასე ადვილი არ არის... ხარჯი უნდა, მასალა უნდა, მუშახელია საჭირო. თავი დაგვანებეთ, ჩვენ წავალთ ისეთ ქალაქში, სადაც შუშის კოშკი არის.

მაგრამ ხალხი არ ეშვებოდა. რაც საჭირო იქნება, მოგცემთ, ოღონდ გვასწავლეთ, არ გვინდა, რომ სხვა ქვეყნებს ჩამოვრჩეთო.

დასხდნენ, იანგარიშეს და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. სამმა მეგობარმა შუშის კოშკის ხუროთმოძღვრობა იკისრა, ხალხში მუშები გამოარჩიეს, მეურვეები გამოყვეს და ქალაქის ყველაზე დიდ მოედანზე სილისა და ნახშირის ზიდვა დაიწყეს. ერთი ნაწილი საჭმელ-სასმელს ეზიდებოდა მუშებისთვის, ტანსაცმელს ამზადებდა, ბოლოს მინა გადაადნეს, შუშის კედლები ამოიყვანეს და, როცა პირველი სართული მოთავდა, სამი მეგობარი შესახლდა შიგ და ხალხს მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ახლა შეიძლება ითქვას, რომ კოშკი მზად არის. ჯერ არ დამთავრებულა, თქვენი ქვეყნის დიდების შესაფერი ზომაც არა აქვს, მაგრამ მაგასაც მოესწრებით. ამას ახლა კარგი დაცვა და ბოლომდე მიყვანა უნდა. ახლა გამოგვიყავით ხალხი, მოუმატეთ საჭმელი და სასმელი, დაითხოვეთ თქვენგან ამორჩეული, ჩვენ მივხედავთ ყველა თქვენს საქმეს.

ხალხი გახარებული იყო, შუშის კოშკი გვაქვსო. თვითონ მოიკლეს საჭმელი და ტანსაცმელი და კოშკში მსხდომთ და მათ მოსამსახურეებს დაუწყეს ზიდვა. ცოტა ხნის შემდეგ კოშკიდან ბრძანება გამოვიდა:

– საჭიროა, დავაშენოთ კიდევ ერთი სართული. ეს ჩვენ და ჩვენს მოსამსახურეებსაც არ გვყოფნის.

ისევ დაიწყეს ურმებით სილის ზიდვა. კოშკში მყოფი ბატონებისა, მათი მოსამსახურეებისათვის და მშენებლობის მუშებისათვის მოჰქონდათ ტომრებით ხორბალი, საკვები, ცხვარი. როცა მეორე სართულიც მოთავდა, სამმა მეგობარმა იქ ხალხს შორის ამორჩეული, მათი საქმისათვის გამოსადეგი ადამიანები შეასახლა. ამათ მალე იგემეს უზრუნველი ცხოვრება, დარწმუნდნენ, რომ კოშკი მართლაც აუცილებელი რამ ყოფილა და ცდა არ დაუკლიათ, რათა თავიანთი ნათესავებიც დაეჯერებინათ ამაში.

ასე და ამგვარად, შუშის კოშკი მაღლა-მაღლა იწევდა, სართულს სართული ემატებოდა. იქაურობა გავსებული იყო. შიგ შესულს გარეთ გამოსვლა აღარ უნდოდა. გარეთ მყოფნი კი იმას ცდილობდნენ, როგორმე შემძვრალიყვნენ კოშკში. მაგრამ კოშკში მსხდომთა და მათ მსახურთა შენახვამ ხალხი წელში გაწყვიტა. გამოჩნდნენ უკმაყოფილონიც:

– შუშის კოშკი რომ საჭიროა, მივხვდით, მაგრამ რა საჭირო იყო ამდენი ოთახი და მუქთამჭამელი?

მეთაურმა მათ კარგად აუხსნა ყოველი ოთახის დანიშნულება:

– აი, ამ ოთახში მე ვცხოვრობ. შუშის კოშკის სათავეში ვდგავარ მე. განა უჩემოდ ეს საქმე წინ წავა? მე რომ არ ვყოფილიყავ, განა თქვენ გექნებოდათ შუშის კოშკი?.. ეს ოთახები კი ჩემი მთავარი თანაშემწეებისაა... ჩვენ, უცხო ქვეყნიდან მოსულებმა, შუშის კოშკი აგიგეთ, ჩვენ თუ არ გიხელმძღვანელეთ, არც შუშის კოშკი იქნება და ვერც თქვენ იარსებებთ!

– ძალიან კარგი, – უპასუხა ხალხმა, – მაგრამ ეს ამდენი უქმად მოხეტიალე რაღა საჭიროა? აი, მაგალითად, ამ ოთახში მყოფი რას აკეთებს?

– ესა? რასა ბრძანებთ! შუშის კოშკში შემოსული საქონლის აღრიცხვას ეგ აწარმოებს. საქონლის დამამზადებლების მეთაურია. ეგ რომ არ იყოს, არცერთ თქვენგანს არ ეცოდინებოდა, სად მიდის თქვენი გადასახადი. განა თქვენ კმაყოფილი იქნებოდით ამით?

– ეეე... ამ ოთახში მყოფნი?

– ესენი ეძებენ იმათ, ვისაც თავის დროზე არ მოაქვს საქონელი კოშკში, ვინც უხარისხო საქონელს გზავნის, ვინც ცდილობს, შელახოს კოშკის ძლიერება... ამისთანების მიშვება თავის ნებაზე ხომ არ იქნება?

– კარგი, მაშ ესენი?

– ესენი მომსვლელთა და წამსვლელთა აღრიცხვას ახდენენ.

– გასაგებია. ესენი?

– ესენი კოშკის ოთახებს გვიან, ალაგებენ...

ხალხმა რაც არ იკითხა, ყველაფერზე მიიღო პასუხი და დაიჯერა, რომ ეს ოთახები და მათში მცხოვრები მუქთახორები ნამდვილად საჭირონი არიან, რადგან ზოგი განათების საქმეს მეთაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა, ზოგს ლოგინი ებარა, ზოგიც მისი თანაშემწე იყო, ზოგი კი – თანაშემწის თანაშემწე. ეს, რაც შუშის კოშკი გაჩნდა, მას შემდეგ მისი მომვლელი და მომვლელების მსახურნიც საჭირონი გახდნენ, მაგრამ, რაც უფრო მატულობდა კოშკის მკვიდრთა რიცხვი, ხალხს მით უფრო აკლდებოდა მათი შენახვის ძალა. და მაშინ ხალხი თვითონ მიდიოდა და შუშის კოშკიდან ძალით მიჰქონდა საჭმელ-სასმელი. გაჯიუტებულებს აპატიმრებდნენ და კოშკის ჯურღმულებში მიჰყავდათ. ხალხი საკუთარი ხელით თავსმოხვეული უბედურების წინააღმდეგ ველარ აღმდგარიყო. შუშის კოშკის მესვეურნი ყველგან თავიანთ ურყევ ძლიერებაზე ლაპარაკობდნენ, ბრიყვებს აჯერებდნენ, ხოლო, ვისაც არ სჯეროდა, ათასნაირი ხრიკებითა და უსამართლობით ხმას აკმენდინებდნენ. შუშის კოშკს კი მუცელი ვერ გაეძღო, სულ მეტსა და მეტს ითხოვდა. სათავეში მყოფნი დაბადებითვე უქნარანი იყვნენ; სხვებს დიდი ხანია, დაავიწყდათ შრომა. არცერთი მათგანი არ ფიქრობდა იმაზე, რომ ვალში იყვნენ თავიანთი მარჩენლების წინაშე. ისინი მხოლოდ ერთმანეთის მომსახურებას უნდებოდნენ და ხალხს კი ძაღლადაც არავინ აგდებდა. ხალხი დაშინებული იყო და ყველაფერს თმობდა, ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს მთელი ხალხი ხელცარიელი დარჩა, რადგან კოშკიდან გამოსული ბრძანება მოუწოდებდა ხალხს, უკანასკნელი ცხვარიც კი ჩაებარებინათ. ხალხმა ეს ბრძანებაც შეასრულა. დაიწყო განაწილება და ანგარიში. ხალხი უკმაყოფილო იყო და გალატაკებული. შუშის კოშკის მესვეურნი ხედავდნენ, რომ საშიში არაფერი მოელოდათ. მათი მეთაური ერთ დღეს კოშკის აივანზე გამოვიდა და ტკბილი ენით ალაპარაკდა:

– ჰეი, ხალხო, ბევრი რამ გაიღეთ, ბევრი გაჭირვება გადაიტანეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი შუშის კოშკი აიშენეთ, რომ მტერი და მოყვარე განცვიფრებაში მოდის. მის გრანდიოზულობას და ბრწყინვალებასთან რამდენიმე ტომარა ხორბალი და ხუთიოდე ცხვარი არაფერს წარმოადგენს... ჩვენ თქვენი დიდებისა და პატივისათვის ვზრუნავთ, მხოლოდ თქვენს სიკეთეზე ვფიქრობთ. აბა, შეხედეთ, დღეს თქვენ მიერ მოტანილი ცხვარი ყველა არც კი შეგვიჭამია. ჩვენ ვიკლებთ და ერთ ნაწილს უკან გიბრუნებთ. ცხვრის თავები მთლიანად ხალხს უნდა დაურიგდეს!

ბოლოს კოშკიდან გამოვიდა რამდენიმე მსახური და ცოტა ხნის წინათ ცოცხალი, ახლა კი დაკლული და გატყავებული ცხვრის სამწვადედ უვარგისი თავები ხალხს დაურიგა.

ხალხი უკვე დაშლას აპირებდა, რომ ერთმა მათგანმა ცხვრის თავს დახედა და გაკვირვებულმა იყვირა:

– თავში ტვინი ამოულიათ!

აივნიდან მოისმა მეთაურის ხმა:

– მართალია... მაგრამ ტვინი თქვენ რად გინდათ? მისი შეწვა თქვენ არ იცით, ტყუილად გააფუჭებთ!

ამ დროს მეორის წამოძახილიც მოისმა:

– ამ თავებში ენაც აღარ არის!

– ენა თქვენთვის საჭირო არ არის, – გაისმა მეთაურის პასუხი, – თქვენ მის შეჭმას ვერ მოახერხებთ!

– ამ თავებისათვის თვალებიც კი ამოუცლიათ, – წამოიძახა მესამემ.

მეთაურმა მასაც უპასუხა:

– თქვენ ხომ არც კი იცით, როგორ მოიხმაროთ ეგ თვალები, მაშ, რაღად გინდათ...

ის იყო, ხალხი წასვლა-წამოსვლას აპირებდა ტვინამოცლილი, უენო და თვალებდათხრილი ცხვრის თავებით ხელში, რომ ერთმა მათგანმა გაბრაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით წამოიძახა:

– ასეთი თავი მე არ მჭირდება! – რქებში მოჰკიდა ხელი და ისროლა. და მაშინ მოხდა რაღაც განსაცვიფრებელი ამბავი: გაისმა ტკაცანი და კოშკი გაიბზარა. ხალხს სჯეროდა, რომ შუშის კოშკი ურყევი და უძლეველი იყო და არ ეგონა, თუ ასეთი ფუყე გამოდგებოდა. ამის მნახველთ სათითაოდ დაუშინეს ცხვრის მოჭრილი თავები და ბროლის კოშკი თვალის დახმახამებაში მტვრად იქცა; ჩამოინგრა, ჩამოიშალა, შიგ მყოფნი შუშის ნამსხვრევებში მოისრისნენ; გადარჩა მხოლოდ ათიოდე კაცი, რომელნიც იმ დროს კართან ახლოს იყვნენ.

ხალხმა მალე გაწმინდა იქურობა შუშის ნამსხვრევებისაგან და ისევ ძველ ყოფას დაუბრუნდა. მიხვდნენ, რომ უკოშკოდაც შეიძლებოდა ცხოვრება. თავისი საქმე ისევ არჩეულ ხალხს ჩაბარეს, მაგრამ შუშის კოშკის უსიამოვნო მოგონება დიდხნას არ ამოშლიათ მეხსიერებიდან.

და როცა მოხუცები ბავშვებს უამბობდნენ ამის შესახებ, ასეთ დარიგებას აძლევდნენ ხოლმე:

– ფრთხილად იყავით, თავზე შუშის კოშკი არ დაიდგათ, მაგრამ თუ ვინიცობაა, როგორღაც მოხდა ასეთი რამ, არ დაიჯეროთ, რომ ის ურყევი და უძლეველი იყოს. ხუთიოდე ცხვრის თავი კმარა იმისათვის, რომ ყველაზე უფრო დიდებული და გრანდიოზული კოშკიც კი ნაცარტუტად იქცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორჰან ქემალი
(1914-1970)

შიმშილი[1]

კაცმა წიგნების გაყიდვა გადაწყვიტა. მთელი ღამე იწრიალა ლოგინში, ვერ დაიძინა. „წიგნები გავყიდო!" – ფიქრობდა იგი. საშინლად შეწუხებულს მხოლოდ ნაშუალამევს ჩაეძინა. დილით ადრე გალვიძებულს საფეთქლები სტკიოდა. ადგა, ხელ-პირი დაიბანა. საფეთქლების ტკივილმა მაინც არ გაუარა. გარეთ გავიდა, ისევ შემობრუნდა, ტანსაცმელი ჩაიცვა, სარკეში ჩაიხედა, მაგრამ თავისი თავი ვერ იცნო. „წიგნები გავყიდო!" – კვლავ გაუელვა ფიქრმა. თმის ვარცხნას შეუდგა, სავარცხელი კანში ჩაესო, ეტკინა... და მაინც... „წიგნები გავყიდო!"

– რას შვრები, ჩემო კარგო, – ჰკითხა ცოლმა, – ვერ ხედავ, თასს წამოედე და წყალი დაღვარე.

– წყალი დავღვარე?!

წიგნების ყუთზე ჩამოჯდა. რა ახლობელი იყო მისთვის ეს წიგნები. ყოველ მათგანში ცოტა რაღაცა იყო თვით მისი ფიქრებისა... ყოველი წიგნი აჭრელებული იყო მისი მინაწერებით, შენიშვნებით, ხაზგასმული ადგილებით.

– დღეს უკვე აღარაფერია გასაყიდი? – ჩუმად ჰკითხა დედას პატარა გოგომ.

დედამ გულმოსულმა შეხედა გოგონას. იგი გაჩუმდა, მაგრამ რატომ? ის ხომ მშიერია. წიგნები მუცელს არ აძღებს. წავიდეს, ჩქარა გაყიდოს ისინი... თვითონ რომ იყოს, ერთ წუთს არ შეყოყმანდებოდა, სწრაფად გაყიდდა.

კაცი წიგნებს არჩევდა. ბავშვი მიუახლოვდა, რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ მოერიდა, ვაითუ მამა გაჯავრდესო.

მამა იღიმებოდა, სტვენდა, წიგნის გადაშლილ ფურცლებზე რაღაცას კითხულობდა. სახეზე ღიმილი მოემატა, შემდეგ ამოიოხრა, წიგნი დახურა და განზე გადადო.

– მამიკო, – შიშით წარმოთქვა გოგონამ.

აი, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა"... მას ძალიან უყვარდა ტოლსტოი. თვითონ მასში იყო რაღაც ტოლსტოისებური. აი, „ჩემი უნივერსიტეტები". განსაკუთრებით ეს... მასში გორკისებრი კი ნამდვილად იყო რაღაც, ალბათ, იმიტომ, რომ ისიც ისე ცხოვრობდა, როგორც გორკი.

– მამიკო!

გოგონას გული ელეოდა, ის ხომ მშიერი იყო... ასე ჯდომით არაფერი გამოვიდოდა. თვითონაც მშიერი იყო, მშიერი... მეტი გამოსავალი არ არის!

წიგნები გადაარჩია, გაზეთის ქაღალდში გაახვია და კანაფით მაგრად შეკრა. როცა ორი შეკვრა იღლიაში ამოიდო და გარეთ გამოვიდა, ცოლმა უთხრა:

– სადილად არაფერი გვაქვს, აქეთობისას ორი პური, ხორცი და კვერცხი წამოიძღვანიე...

გოგონას ნერწყვი მოადგა.

– დედა, დღეს ისე მომშივდა, რომ მგონი, მთელი ხორცი მე შევჭამო.

შეწუხებული და დაღვრემილი კაცი მძიმედ მიაბიჯებდა. პროსპექტზე დატვირთული მანქანები და ტაქსები ლაღად მიმოდიოდნენ, კაცს კი გონებას ურევდა იმაზე ფიქრი, რომ წიგნები უნდა გაეყი-

---

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და... დაფიქრებული მიდიოდა ქვაფენილზე. გარშემო ხალხი ირეოდა – ზოგი – დამწუხრებული, ზოგი – ბრწყინვალედ ჩაცმული, მხიარული.

„და მე წიგნები უნდა გავყიდო!"

კაცმა უკან მოიტოვა შესახვევი და ქუჩები გადაიარა.

წიგნები ერთი თავისი ამხანაგისათვის უნდა მიეყიდა. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ, კლასში ერთ მერხზე ისხდნენ. ბედისა მას არ სჯეროდა და ამიტომ სასწაულად მიაჩნდა ის ამბავი, რომ მისი ამხანაგი დიდი „საავტომობილო საგენტოს" პატრონი იყო. თუმცა ეს ამხანაგი ბევრ სხვას სჯობდა.

კაცი კანტორაში შევიდა, მაგრამ ნეტავ არ შესულიყო. იქ მას ნეჯეთი დახვდა. ისიც სკოლის ამხანაგი იყო, ერთ კლასში სწავლობდნენ. „ნეჯეთი ახლა ექიმია. მე კი?"

გაშეშდა. ნეჯეთი ისევ ის ნეჯეთი იყო. მშვენიერ ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი.

„გააგებინოს მას, რომ წიგნებს ყიდის, რათა შინ ორი პური და ხორცი წაიღოს?"

მაგრამ ჰაირიმ უკვე დაინახა იგი და მიაძახა:

– აა, მოიტანე წიგნები?

ნეჯეთი დამცინავად იცქირებოდა, თვალები წიგნის შეკვრებისათვის მიეპყრო. ჰაირიმ, ალბათ, უამბო ყველაფერი; „წიგნები უნდა მომყიდოს თორმეტი პროცენტის დაკლებით, ძალიან უბედურია, შემეცოდა. წიგნები მე არაფრად მჭირდება, მაგრამ მინდა დავეხმარო". უსათუოდ გაუმხილა. რომ არ გაემხილა, მაშინ განა ასე ყურადღებით დააცქერდებოდა წიგნებს?

ჰაირიმ ნეჯეთს სწორედ ამ დროს ჩამოუგდო ლაპარაკი წიგნების შესახებ. კაცს ყურებმა ზუილი დაუწყო, თვალთ დაუბნელდა. მოეჩვენა, რომ ნეჯეთი და ჰაირი ხან შორდებიან და ხან კი უახლოვდებიან მას, ისევ შორდებიან და ხელახლა უახლოვდებიან. შემდეგ კი ციბრუტივით ტრიალებენ.

ნეჯეთი ისევ დამცინავად იცქირებოდა.

– არა, – წარმოთქვა კაცმა უეცრად, – გადავწყვიტე, აღარ გავყიდო წიგნები. – ნეჯეთის ცბიერმა თვალებმა თითქოს მოიწყინეს.

– სამუშაო ვიშოვე და წიგნებს აღარ ვყიდი...

მათ შორის საუბარი გაიბა. ბოლოს სამივენი ადგნენ და სასმელების დუქნისკენ გასწიეს. კაცი ისევ დაბნეული იყო. მის გონებას არ სცილდებოდა ფიქრი შინ წასაღებ ორ პურსა და ხორცზე, მაგრამ...

– დედა, – წარმოთქვა გოგონამ, – უკვე სადილობის დროა და მამა კი ჯერ არ მოსულა.

– მოვა, შვილო, მოითმინე.

– ველარ ვითმენ, დედიკო, შიმშილისგან კუჭი მიხმება, რაღაც მემართება, თითქოს კედლები ბრუნავენ.

ქალმა იცის, რომ ქმარი არ მოვა. იცის, წიგნები რომ გაეყიდა, აქამდე დაბრუნდებოდა. „ალბათ, არ იყიდება. წყეულები... რატომ არიან ადამიანები ასეთნი? რა დავუშავეთ? დიდი სახლები აქვთ, მამულები, მანქანები... რატომ არ მიშვებს ქმარი ფაბრიკაში სამუშაოდ? ეჭვიანობს განა?"

ქალმა დამცინავად გაიღიმა. „ეჭვიანობს, ნამდვილად ეჭვიანობს!"

– ოჰ, დედა, ოჰ... არ მოვა ეს მამაჩემი, არ მოვა!

– მოვა, შვილო, მოვა, აუცილებლად მოვა, მოითმინე.

დედა მეზობელთან გავიდა და ნახევარი პური ისესხა. გოგონამ თვალის დახამხამებაში შეჭამა ნახევარზე მეტი.

საღამომ მოატანა, გოგონას კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშივდა, ძილი მოერია, ტახტზე წამოწვა. დედამ ძველი მოსასხამი გადააფარა და მეზობელთან გავიდა. „იქნებ მოსაქსოვი აქვთ რამე ან გასარეცხი, იატაკი მოსაწმენდი".

ჭიშკარი გაიღო, იღლიაში წიგნებამოჩრილი, მთვრალი, მწარედ მოღიმარი ქმარი შემოვიდა და შუა ოთახში შეჩერდა, გაიცინა, თავი გაიქნია. სარკესთან მივიდა, შიგ ჩაიხედა, ტახტზე მწოლიარე გოგონას მოჰკრა თვალი, მას მიაშურა. იღლიაში ამოდებული ერთი შეკვრა ხელიდან გაუვარდა, გაბრაზებულმა მეორეც დააგდო და ფეხით გათელა.

„ცოლი სადაა?"

კვლავ სარკესთან მივიდა, სახეს ჩააშტერდა: ხმელი, გაუპარსავი სახე, ჩაცვენილი, სისხლიანი თვალები... „ვაჟკაცი, ჰა?! ჰმ... მამაკაცი... მამა... მართალიცაა, თუ არ ვუყვარვარ!" სარკეს მუშტი შემოჰკრა და დაამსხვრია. ნამტვრევები ხმაურით მიმოიფანტა იატაკზე. გოგონას გაელვიძა. გონებაარეული მამამისი იატაკზე მიმობნეულ სარკის ნამსხვრევებს უყურებდა და ფეხით სრესდა მათ.

– მამიკო!

კაცმა გოგონას შეხედა.

– თავს ნუ იკატუნებ, გოგო!

გოგონა მოიკრუნჩხა, შეშინებული თვალებით მიაცქერდა მამას. მამამისი ლაპარაკს განაგრძობდა:

– არ გიყვარვართ, არც შენ, არც დედაშენს; არ გიყვარვართ, ტყუილს მეუბნებით, ტყუილს...

– ღმერთმანი, გვიყვარხარ, მამიკო, მე ძალიან მიყვარხარ.

– ტყუილს ამბობთ, არც შენ და არც დედაშენს იოტისოდენადაც არ გიყვარვართ! გინდათ, მოვკვდე, მერე კი...

– დედაჩემს თუ არ უყვარხარ, მე რა შუაში ვარ, მამიკო, მე მიყვარხარ...

– განა შეიძლება, გიყვარდეს უმუშევარი მამა, უმუშევარი ქმარი?

გოგონა ტიროდა, ეგონა, რომ მამამისი ჭკუიდან შეირყა. მამა კი კვლავ განაგრძობდა:

– აი, ახლა სადაა, ვინ იცის? მეზობელთან ვიყავიო, იტყვის, იცრუებს, მე მომატყუებს, იფიქრებს, რომ მოვატყუეო.

ჩამობნელდა. კაცი ბარბაცებდა, კედელს ებღაუჭებოდა, სინათლის ანთება ვერ მოეფიქრებინა. თანდათან ცუდად ხდებოდა, თავი საშინლად უბრუოდა.

როცა ქალი შინ დაბრუნდა, უკვე დიდი ხნის დაღამებული იყო. სინათლე აანთო და იატაკზე თავისი ქმარი დაინახა. წიგნების ერთი შეკვრა თავქვეშ ამოედო. გოგონას კი, სადაც იჯდა, იქვე ჩამოსძინებოდა.

ქალმა ამოიოხრა. ახლა მთელი სიმწვავით იგრძნო შიმშილის ძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუათ დერვიში
(1903-1972)

ქურდი[1]

დიდ ქალაქში კენტ-კენტად ინთება სინათლეები უმდიდრესი, დიდებული უბნებიდან ვიდრე ღარიბთა და ღატაკთა სადგომებამდე.

რაოდენ იდუმალია ის საათი, როცა დღე და ღამე ერთმანეთს ეყრება. საღამოს ბინდბუნდში აკიაფებული ყოველი ნათურა ქალაქის გულში მიმდინარე ცხოვრების ნიშანია. ფანჯარაში გამოღწეული ყოველი შუქის ირგვლივ ნაირ-ნაირი ამბავი ტრიალებს; ცვალებადი მოვლენები, სადაც არც დარდი, არც სიხარული, არც მწუხარება და არც დალხინება ერთმანეთს არ ჰგავს.

***

ვიწრო, ოღროჩოღრო ქუჩაზე ძველ ფეხსაცმელებს გაჭირვებით მიითრევს მოხუცი ქალი.

მხარზე დაფლეთილი შალი აქვს წამოსხმული. ცალ ხელში ჯოხი უჭირავს დაუძლურებული სხეულის დასაყრდენად, მეორეში – მომცრო შეკვრა.

– კიდევ რა მოიპარე, აიშე ნინე?[2] – გასძახებს ნაყვავილარი, სახემოთხუპნილი ბიჭი, რომელიც საბაყლოს ფანჯარას მიყრდნობია. ბავშვი ჭუჭყიანი, ნარეცხი წყლითაა გასვრილი, მუდამ გუბედ რომ დგას დუქნის წინ. – კიდევ რა მოიპარე, აიშე ნინე?

ამ ხმის გაგონებაზე მთელი უბნის ბავშვები, მოედანზე მობურთავე აბეზრები, ქვის ძველ კიბეზე კოჭის თამაშით გართული გოგონები და თვით თულუხჩი სულელი მეჰმედიც კი ჟივილხივილით დაედევნებოდნენ მოხუც ქალს.

– კიდევ რა მოიპარე, აიშე ნინე? პოლიციამ ხომ არ დაგინახა?

ათი წელია, ასე გრძელდება... აიშე ნინე უკვე შეეჩვია ამას.

ათი წელია, ყოველ საღამოს ჯოხდაბჯენილი მოლასლასებს ძველი ფეხსაცმელის ფლატუნით და ყურსაც არ ათხოვებს ხოლმე გარშემოხვეული ბავშვების ხარხარს.

***

კედელზე ჩამოკიდებული ჭუჭყიანი ღამის სანათურით განათებული ვიწრო დერეფანი. შუაში დადგმულ მანგალზე შიშხინით იწვის აყროლებილი თევზი.

ტაფასთან მსუქანი დედაკაცი ტრიალებს. იქვე ახალგაზრდა ქალი დგას და ბავშვს ძუძუს აწოვებს.

შემოსულმა აიშე ნინემ ეს ქალი ვერ იცნო... ახალი მდგმური იქნებაო, ალბათ. დიახ, ასე უნდა იყოს, რადგან, კიბეზე რომ ადიოდა, მას ჩახრენწილი ხმა მოესმა:

– ეს ბებრუხანა, უსალმოდ რომ ჩაგვიარა, ქურდია, შენ აქ ახალი გადმოსული ხარ... იმიტომ გეუბნები, დაო, რომ იცოდე, სადმე თუ წახვალ, კარი კარგა მაგრა ჩაკეტე, არაფერი დაგაკლდეს. ხომ გაგიგონია, ხმელთან ერთად ცეცხლი სველსაც მოედებაო...

***

აიშემ აკანკალებული ხელებით გაჰკრა ასანთი და სინათლე აანთო.

ღარიბი, ბინძური და დაულაგებელი ოთახი განათდა.

---

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.
[2] ნინე – ბებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა ქალმა კედელთან მდგარ საწოლს მიაშურა. ფრთხილად ეხებოდა საბანს და ეძებდა სხეულს, რომელიც ოცდათერთმეტი წელია, ამ საბანქვეშ წევს; სხეულს, რომელიც სხვას შიშსა ჰგვრიდა, მაგრამ მისთვის კი ძალიან ძვირფასი იყო.

***

დიახ, დიდი ქალაქის ყოველ სახლში ანთებულ სანთელს თავ-თავისი თავგადასავალი აქვს... ამ მოხუცი ქალის ჭუჭყიან ოთახს და მბჟუტავ სინათლესაც აქვს თავისი ტრაგედია... მაგრამ იგი არავინ იცის. ათი წელია, მას ქურდს ეძახიან და მოსვენებას არ აძლევენ. საცოდავ აიშე ნინეს კი... ნაღვლიანი, ტანჯვითა და ცრემლით სავსე ცხოვრება აქვს.

ახალგაზრდობაში ერთ ღარიბ გლეხს მიათხოვეს, რომელიც აიშეს არ უყვარდა.

ეს ღატაკი და ლოთი საღამოობით, იმის ნაცვლად, რომ სახლში პური მოეტანა, უმიზეზოდ სცემდა ხოლმე აიშეს.

მაშინ აიშეს წაბლისფერი თმა, თვალისა და სახის მშვენიერი ფერი ჰქონდა. მისი უბედურების მოწმე ერთმა მეზობლის ახალგაზრდამ გზა გადაუჭრა, როცა ის სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა.

– ჩემთან წამოდი, – უთხრა ვაჟმა, – ღმერთმანი, ცოლად მინდიხარ. გაეყარე შენს ქმარს და მე წამომყევი.

***

აიშე ახალგაზრდა იყო. ის ვაჟიც... სწორედ შესაფერები იყვნენ. სიყვარულისათვის სხვა საბაბი აღარ უძებნიათ.

აიშემ სახლი მიატოვა.

შეირთეს ერთმანეთი. მაგრამ... დიდხანს არ უცხოვრიათ ერთად. მათი ერთად ცხოვრების ხანი აიშეს ცხოვრებაში ყველაზე უფრო დიდი ბედნიერება იყო.

ჰო, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ ერთ დღეს ამხანაგებმა აიშეს ქმრის ცხედარი მოასვენეს შინ.

ერთი მაღალი შენობის ფასადს რომ ღებავდა, ფეხი დასცდენოდა, გადმოვარდნილიყო და მომკვდარიყო.

***

ფეხმძიმე აიშე მარტო დარჩა. გულმოკლული იყო. ვინ იცის, რამდენი მწუხარება, შიმშილი და სიცივე ელოდა წინ. გამკითხავი კი არავინ ჰყავდა. მართალია, გაჭირვებამ გატეხა, მაგრამ ვერ მოკლა.

და ზამთრის ერთ ცივ დღეს აიშეს საცოდავი გოგონა მისცეს ხელში.

ეს ბავშვი კი არა, სიმახინჯე იყო. მთელი ტანი ბალნით ჰქონდა დაფარული, თავი – ტანზე უფრო დიდი, ფეხები – მონგრეული, რაღაც საშინელება იყო.

აიშემ პირველად ბავშვი ხელში ვერ აიყვანა, მაგრამ მის გულში თანდათან გაიღვიძა სიბრალულნარევმა სიყვარულმა და მან ისევე, როგორც ყველა დედამ, ვინ იცის, იქნებ უფრო მეტადაც, შეიყვარა თავისი პირმშო.

***

საავადმყოფოდან სახლში დაბრუნებული აიშე ყველას ებრალებოდა, უბნის თავკაცებს – პირველ რიგში. მათ აიშე და მისი პირველი ქმარი შეარიგეს.

ნეტავ თუ უყვარდა მას ახლა ქალი? ვინ იცის, რატომ, მაგრამ ქმარმა ყველაფერი აპატია აიშეს. ის კი მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა ისევ მის ცოლობას, რომ ბავშვისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ჯანმრთელი, უბავშვო ქალებიც კი ვერ პოულობდნენ სამუშაოს და მას, აბა, ვინ რას მისცემდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიშეს ქმარი უფრო უხეში და უკეთური გახდა... საშინლად ტანჯავდა და აწამებდა აიშესა და ბავშვს. აიშე ბავშვთან ერთად ისევ მასზე იყო დამოკიდებული.

ბავშვი გაიზარდა, ენა აიდგა, მაგრამ სიარული მაინც არ დაუწყია. საწყალი იატაკზე იზრდებოდა. აიშემ ქირაზე სარეცხის რეცხვას მიჰყო ხელი, რომ ბავშვისთვის ლუკმა ეჭმია. ასე ირჯებოდა წლობით.

გავიდა ხანი. გოგონა დაქალიშვილდა. თავზე ხვეული გაძეძილი თმა ჰქონდა. დიდ პირში ჩაშავებული კბილები მოუჩანდა.

***

თითქოს ისიც არ კმაროდა უბედური აიშესთვის, რომ სიღარიბესა და ქმრის ჭირვეულობას იტანდა. ახლა გოგოც ლოგინად ჩაუვარდა. მარჯვენა ლოყა ულურჯდებოდა, უსივდებოდა და ტანჯვა-ვაებაში მყოფი საცოდავი სხეული მწარედ ღრიალებდა.

***

ქმარი მოხუცდა. ძველებურად ვეღარ შოულობდა ფულს. იმასაც ღვინოსა და ყომარის თამაშში ფლანგავდა. ზოგჯერ მთელი დღეები არ მოდიოდა შინ, ცოლთან არაფერი აკავშირებდა და არც ბავშვი ებრალებოდა.

ქალიშვილს სახეზე ახლა პატარ-პატარა მუწუკებიც დააყარა. ქმარი შემთხვევით თუ შემოივლიდა შინ და ისიც იმისათვის, რომ ცოლისთვის ფული წაერთმია.

არა, იმიტომ კი არა, რომ ავადმყოფს ვერ ტოვებდა აიშე, არა, უკვე დაბერდა, ვერც სარეცხს რეცხავს და ვერც – იატაკს. ამიტომ არ აძლევენ სამუშაოს.

თებერვლის იმ ცივ დღესაც ასე იყო. არც საჭმელი ჰქონდათ, არც სასმელი, არც ნახშირი. ავადმყოფი სიცივისგან კრთოდა, იყინებოდა, ოხრავდა.

აიშე სახლიდან გაიპარა, რომ ამ საცოდაობისათვის აღარ ეცქირა. ქმრის საძებნელად წავიდა. ქმარი რამდენიმე დღეა, შინ აღარ მოსულა.

ქმარი, როგორც ყოველთვის, ღვინის სარდაფში იპოვა. ბავშვი შეაგზავნა დასაძახებლად. ბერიკაცს თვალები მთლად დაწითლებული ჰქონდა.

აიშე შეეცადა, რაიმე შეესმინა ამ თვალებდასისხლიანებული კაცისთვის.

– ბაყალი და მენახშირე საერთოდ არაფერს იძლევიან. ჯერ ძველი ვალი გაქვთო, მეუბნებიან.

ტყუილად იარა, ერთხელ ხელიც კი გაიშვირა სამათხოვროდ. ერთმა ძუნწმა ზედაც არ შეხედა, ისე მიძახა:

– ჯანმრთელი ქალი ხარ, ხელი გაანძრიე.

ბოლოს, როცა შინ დაბრუნდა, სამი დღის სულთმობრძავმა, უბედურმა ბავშვმა ესლა უთხრა დედას:

– დედა, ნახშირი მოიტანე?

– კი, შვილო, ახლავე დავანთებ.

– ჩქარა დაანთე, დედი, თორემ გავიყინე. ცოტა მაინც გავთბე.

***

ისევ წავიდა სახლიდან, ისევ ქუჩაში გავიდა, მერე როგორ იყო, რა მოხდა, აღარ იცის. აკანკალებულმა ფეხებმა იგი მენახშირესთან მიიყვანეს.

იმ დროს, როცა მენახშირე სხვა საქმით იყო დაკავებული, აიშემ მხარზე მოხვეულ შალში რამდენიმე ნახშირი შეახვია.

ძალიან გამოუცდელი იყო, ხელები აუცახცახდა. მენახშირემ შენიშნა და შეუტია.

მშიერი მოხუცი, ულონო და ნახევრად გაყინული, ვეღარ გაიქცა, ადგილზე იდგა გაუნძრევლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ღამე კომისრის მოსვლამდე საყარაულოში გაატარებინეს...

მეორე დღეს, როცა ბინდისას შინ დაბრუნდა, აუტანელმა სუნმა შეაწუხა. ასანთს გაჰკრა.

–სიდიკა, – დაუძახა შვილს, – ხმა გამე, გოგო!

საწოლს მიუახლოვდა, მაგრამ... მწარე კივილი ალმოხდა და გულდაღმა დაემხო.

სიდიკა არ სუნთქავდა... თმა ბალიშზე გაშლოდა, თვალები გადმოკარკლული ჰქონდა.

აი, უკვე ათი წელია, აიშეს ყველა ქურდს ეძახის... ქმარიც კი, როცა ის მთვრალი მოვა ხოლმე შინ, ჩხუბს აუტეხს და გაჰყვირის:

–ქურდო, ქურდოო!..

***

დიდ ქალაქში თითო-თითოდ ინთება სინათლეები.

რა იდუმალებითაა მოსილი დღისა და ღამის გასაყარი... საღამოს ბინდბუნდში აკიაფებული ყველა სანთელი ქალაქის მკერდში მიმდინარე ცხოვრების მანიშნებელია. დიდ ქალაქში თითო-თითოდ ანთებულ ყოველ სანთელს საკუთარი საიდუმლო, საკუთარი თავგადასავალი აქვს.

ფოსფორიანი ჯევრიე[1]

(ნაწყვეტები რომანიდან)

თხუთმეტი წუთი გავიდა, რაც ის საპოლიციო უბანში მოიყვანეს. ოთახში ძალიან თბილოდა, რადგან კოქსის ღუმელი ენთო და უამრავ ხალხსაც მოეყარა თავი.

მიუხედავად ამისა, ჯევრიეს მაინც აკანკალებდა. სიცივე ძვალ-რბილში გასჯდომოდა.

ეს მხოლოდ სიცივის ბრალი იყო. მაგალითად, შიში ან რაიმე სხვა გრძნობა მას თრთოლას ვერ მოჰგვრიდა.

ჯევრიე... ამ და ბევრი ამისთანა საპოლიციო უბნის ერთი მუდმივი სტუმართაგანი იყო წლების მანძილზე.

ძალიან ცივი ღამე იდგა...

წვიმის წვრილ-წვრილი წინწკლები მტვერივით ეფინა მის შავ, ხუჭუჭ თმებს.

ასეთ ღამეებს, სტამბოლის ღამეებს, როცა ნესტი ძვალსა და რბილში ატანდა ხოლმე, ის „დაწყევლილ ღამეებს" ეძახდა.

ასეთ ღამეებში ნამდვილი წვიმა არც კი მოდიოდა. ღამის უკუნეთი სასხურებელ მანქანასავით აქეთ-იქით აფრქვევდა სინესტეს.

ფარაონებმა[2], როგორც ჯევრიე ეძახდა ხოლმე პოლიციელებს, ამ ღამით თვალი იმიტომ შეასწრეს, რომ თმები ჰქონდა წვიმით დაწინწკლული.

მან უმალ ნიშს შეაფარა თავი, როგორც კი დაუსტვინეს და შორიდან ფეხის ხმა მოესმა...

ჯერ ქვაფენილზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების გამალებული ბაკაბუკი გაიგონა... შემდეგ კუთხესთან ორი ქალის აჩრდილი გამოჩნდა... ერთი მათგანი მსუქანი იყო, მეორე – გამხდარი... მსუქანი ბურთივით მოგორავდა... გამხდარი, რომელსაც თითქოს უფრო

[1] სუათ დერვიში, ფოსფორიანი ჯევრიე, რომანი, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1967.
[2] ყარგონის ენაზე პოლიციელებს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფი სირბილი და თავის შეფარების უნარი უნდა ჰქონოდა, წარამარა რაღაცას ედებოდა, ზანტად ირჯებოდა და ისე უხერხულად გარბოდა, თითქოს საცაა, დაეცემაო. მათ უკან მამაკაცების ფეხის ხმა ისმოდა.

მსუქანი ქალი იცნო... ტანის მოყვანილობაზე... ეს თოფ[1]-მელაჰათია... ნამდვილად ის არის...

ის ასე ადვილად არავის ჩაუვარდება ხელში... ამ ბნელ ღამეში აუცილებლად გაქრება სადმე თავისი ჩამრგვალებული ტანით. ახლაც სწორედ ასე მოხდა...

იგი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა ქუფრად აღმართული ერთ-ერთი სახლის სადარბაზო კარში.

მელაჰათი სტამბოლს ხელისგულივით იცნობს: სად ნიშია თავშესაფარი, სად – ქუჩიდან ქუჩაზე გასასვლელი, სად – ნაგვის ყუთი, სადაც მშვიდად შეაფარებდა კაცი თავს, ან ფუნდუკი, რომლის სამზარეულოშიც უკანა კარიდან შეიძლება შესვლა.

ჯევრიეც მას ბევრად არ ჩამორჩებოდა ამ საქმეში, მაგრამ თოფ-მელაჰათს მთელ სტამბოლში ვერავინ სჯობნიდა.

ჯევრიე ჭიშკართან შეყუჟულიყო, სამად მოკეცილი ერთმანეთზე შეწყობილ ნაგვის ყუთებს ამოფარებოდა, თავი მუხლებში ჰქონდა ჩარგული, მკლავები კი წვივებისათვის შემოეჭდო.

შემდეგ, როცა ჯევრიეს ხელი სტაცეს და წაიყვანეს, იჯდა და ფიქრობდა, თოფ-მელაჰათი რომ ჩავარდნოდათ ხელში, ფარაონები მე ველარ მიპოვიდნენო.

დიახ, როცა ამ ჩიხში უეცრად გაქრა მელაჰათი, მაშინ კი დაიწყეს ჭიშკრებში ცქერა.

გამხდარი გოგო მიწაზე იყო გართხმული და მალე დაიჭირეს. ხელი რომ სტაცეს, გინება მორთო... ჯევრიემ ხმაზე იცნო. ასეთ პატარა სხეულში ასეთი ბოხი ხმა...

ეს ყველას უკვირდა. ამის გამო ქოს[2]-აითენს ეძახდნენ.

***

თმების დამალვა ჯევრიეს აზრადაც არ მოსვლია. რომც გახსენებოდა, სად დაემალა თავი.

ქუჩის კუთხეში, საკმაოდ მოშორებით, ფარანი ენთო.

სწორედ ამ ფარნის სინათლე სწვდებოდა მის თმებს და ათასობით წვიმის წვეთს წვრილ-წვრილი ვარსკვლავებივით აკიაფებდა.

ფარაონებმა სწორედ ეს შეამჩნიეს... ასევე იყო მაშინაც, როცა ის პირველად მოხვდა პოლიციაში.

მაშინაც გაიქცა და დაიმალა, მაგრამ მის თმებში ჩამსხდარმა წვრილ-წვრილმა ვარსკვლავებმა გასცეს...

კომისარი, რომელმაც ის პირველად დაიჭირა, მსუქანი და ხანში შესული კაცი იყო.

იმ ღამეს მისკენ მიმართულმა ელექტროფარნის სხივმა მის თმებში უამრავი ვარსკვლავი ააციმციმა.

–ერთი ფოსფორიანი აქაც არის... აბა, ფოსფორიანო, ერთი ადექი მანდედან! – დაიძახა პოლიციელმა.

იმ დღიდან „ფოსფორიანი ჯევრიე" გახდა მისი სახელი, თუმცა მას ეს სახელი სხვა მიზეზითაც შეეფერებოდა. არა მარტო თმები, არამედ თვალებიც და საერთოდ, მთელი მისი არსება მართლაც და თითქოს სინათლეს აფრქვევდა ირგვლივ.

როცა გოგოები ქუჩის ბნელ კუთხე-

---

[1] თოფ – მრგვალი.
[2] ქოს – როხროხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იდგნენ ხოლმე, მამაკაცები მაინც პირდაპირ ჯევრიესთან მიდიოდნენ. და განა იმიტომ, რომ მას ხედავდნენ ან სწორედ მას ირჩევდა ვინმე.

–ფოსფორიანია, – იტყოდნენ გოგოები, – თვალში პირველად ეგა ხვდებათ ხოლმე.

დიახ, თითქოს მართლაც ფოსფორიანი ყოფილიყო, მამაკაცები მაინცადამაინც მას აირჩევდნენ ხოლმე ამდენ გოგოში...

სიბნელეში მამაკაცები ხედავდნენ, როგორ უბრიალებდა თვალები და თეთრად უქათქათებდა კბილები.

შორს მბჟუტავი ქუჩის სინათლეც საკმარისი იყო, რომ ჯევრიე მთლად აციმციმებულიყო...

გოგოებს არ შურდათ მისი... უბრალოდ, გული სწყდებოდათ, რომ იმისთანები არ იყვნენ.

–რა გაქვს ასეთი, ფოსფორიანო? – ჯევრიემ თვითონაც არ იცოდა, რა ჰქონდა. და მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხი გაეცა, – ფოსფორი, – ეტყოდა ხოლმე.

უკეთესი ეპითეტის გამონახვა, რომელიც ასე კარგად დაახასიათებდა ამ სიბნელის ასულს, ქალს, რომელიც ღამეს ქუჩაში ატარებდა ხოლმე, ძნელი იყო.

მისი სახელი ისევე იყო ქუჩაში ცნობილი, როგორც მისი სილამაზე.

ფოსფორიანი ჯევრიე.

ის ყველაზე უფრო მიმზიდველი გოგო იყო სტამბოლის ქოხმახებით დაფენილ ქუჩებში, ხანძრით გადამწვარ უბნებში, სასაფლაოებზე, გალავნის, თექფურის სასახლის ნანგრევებისა და ბოსტნების უბანში.

მაწანწალები მას ერთიმეორეს ეცილებოდნენ და ჯევრიესთან ყოფნა ყველაზე უფრო სატრაბახოდ ითვლებოდა მათ შორის...

–წუხელ მეჯიდიექოიში[1] დილამდე ვაცეკვეთ ფოსფორიანი!

ცეკვის დროს ჯევრიე მართლაც რომ ფოსფორივით ენთებოდა.

განა შეიძლებოდა კაცს ჯევრიეს ცეკვა ენახა და არ გადარეულიყო?..

რამდენ კაცს წაუწევია ერთმანეთზე ქუჩის ამ ფოსფორიანი ვარსკვლავის გულისთვის.

რამდენი ყმაწვილი კაცის სიკვდილის ან ციხეში მოხვედრის მიზეზი ყოფილა ჯევრიე...

ეს მხოლოდ ალაჰმა უწყოდა.

ფოსფორიანმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა...

***

...თებერვალი იყო, მაგრამ თბილი საღამო იდგა... ნაადრევ სითბოს ნუში შეეცდინა და თეთრად გადაეფურჩქნა.

სახლებში ჯერ კიდევ ციოდა, გარეთ კი გაზაფხულის სითბო ეალერსებოდა ადამიანს.

ჯევრიე დანიშნულ დროზე მისულიყო ქერიმთან და პაკეტი წამოელო.

გეგმა მზად ჰქონდათ. ჯევრიე უნდა ჩამჯდარიყო ფინდიქლის სანაპიროზე მიბმულ ნავში და ქერიმს დალოდებოდა. შემდეგ გავიდოდნენ ზღვაში, პაკეტებს გადაყრიდნენ, გამოვიდოდნენ სადმე სხვა სანაპიროზე და სხვადასხვა მხარეს გაემართებოდნენ, ოღონდ, მეორე დღეს, შუადღისას ორივე უნდა გამოჩენილიყო კარაქოიზე, ხორცის დუქნის წინ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ არაფერი შემთხვევიათ და ისე გასცლოდნენ იქაურობას, თითქოს ერთმანეთს არც კი იცნობდნენ. ჯევრიე მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოვიდოდა და ნახავდა ქერიმს.

„ის შენით იამაყებსო, მითხრა ქერიმმა," – ფიქრობდა ჯევრიე და ხელში

[1] უბანია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე პაკეტით მიაბიჯებდა ბნელ ქუჩაზე. თუ გათავისუფლდა და ისევ შეხვდა ჯევრიეს, ეტყოდა, მე შენით ვამაყობო.

ამიტომ აუცილებელი იყო ნაკისრი საქმის წარმატებით დასრულება, მოვალეობის შესრულება.

ნაცნობ პოლიციელს რომ შეხვედროდა, შავად იყო საქმე. მაშინვე დაიჭერდნენ და პაკეტის ამბავიც გაიხსნებოდა. ის კი გაიგებდა და იფიქრებდა, გამცაო. „ხომ მოვკვდი სირცხვილით," – ფიქრობდა ჯევრიე. თუნდაც გაეგო, რომ ასე არ მოხდა, ჯევრიეს რა.

პაკეტი რომ პოლიციამ იგდოს ხელთ, ეს ძალიან საშიშია მისთვის. საშიში რას მიქვია, სიკვდილი იქნება.

ჯევრიემ იცოდა, რომ ეს საშიშროება ძალიან სერიოზული იყო, მაგრამ ვერც კი მიმხვდარიყო, რა მოიმოქმედეს ისეთი, რის გამოც ისინი ასეთ გაუთავებელ შიშში არიან.

ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო.

ჯევრიე მიაბიჯებდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, უკან ხომ არავინ მომდევსო.

თუმცა, რაც ბოლუდან დაბრუნდა, ისედაც ფრთხილად იყო ხოლმე.

კაცმა რომ თქვას, მისი ხელობის ადამიანი განა მუდამ „დამალობანას" და „დაჭერობანას" არ ეთამაშება პოლიციას?

დამალვაში დახელოვნებული და გამოცდილი იყო.

მაგრამ ჯევრიე არასდროს არ დამალვია პოლიციას ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გამო.

ამას მის გადასარჩენად აკეთებდა და მის გამო ეშინოდა ყველაფრისა. მას ეშინოდა ქუჩაში სტვენით მომავალი კაცისა, კაცისა, რომელიც კედლიდან ჩამოხტა და გაფაციცებით გარბოდა ქუჩის მეორე მხარისაკენ, საკუთარი ჩრდილისა, რომელმაც უეცრად წინ გაუსწრო, როცა ჯევრიემ ქუჩის ფარნის ქვეშ ჩაიარა.

ახლა ბნელი ქუჩები უკვე გათავდა და საცაა, გამზირზე უნდა გასულიყო... ახლა უფრო მეტი იყო იმის შესაძლებლობა, რომ ნაცნობ პოლიციელს შეხვედროდა, თვითონაც ჩავარდნილიყო და ისიც ჩაეგდო.

ჯევრიეს ძველი ფეხსაცმელების ქუსლებს ერთი ბაკიბუკი გაუდიოდათ ქვაფენილზე. არც კი ახსოვს, რომ ოდესმე ევლოს ასეთი ხმამაღალი ნაბიჯებით.

გამზირს რომ მიაღწია, თავისუფლად ამოისუნთქა... ასეთ დროს ქუჩა, რომ ეგონა, არც ისეთი ხალხმრავალი ალმოჩნდა. „შიშმა მთლად შემარყია," – ფიქრობდა ჯევრიე, – „ასეთ დროს გამზირზე ვინ უნდა იყოს".

ერთხანს განათებული ქუჩით იარა, შემდეგ ერთ წყაროსთან ზღვისკენ გაუხვია და ვილაცას შეეჩეხა. ეს უბნის ყარაული იყო. ჯევრიეს გულმა ბაგაბუგი აუტეხა. „ეგენი პოლიციელებზე უარესები არიან. ასეთ დროს ვეება პაკეტით ხელში ზღვისკენ მიმავალი ადამიანი რომ ნახონ, ვინც უნდა იყოს, ეჭვს მიიტანენ. განსაკუთრებით კი ასეთ ბნელ ადგილას".

ყარაულმა ფარანი აანთო და სახეში მიანათა ჯევრიეს. ჯევრიეს კინალამ გული წაუვიდა შიშისგან. მადლობა ღმერთს, აქ იშვიათად დავდივარ და არ მიცნობსო, იფიქრა და შეუნელებლად განაგრძო სიარული.

ყარაული ადგილიდან არ დაძრულა. ჯევრიეს უკან არ მოუხედავს, მაგრამ გრძნობდა, რომ ყარაული ერთ ადგილზე იდგა. უეჭველი იყო, რომ მან ეჭვი აიღო ჯევრიეზე.

ამ სახლთან თუ გაუხვია, მერე მოეფარება მის თვალს და ჩაჯდება ნავში, რომელიც ორმოცდაათ-სამოც ნაბიჯზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან მიბმული ხის ნავმისადგომზე.

„ღონივრად მოვუსვამ ნიჩბებს და მერე მდიოს ყარაულმა," – ფიქრობდა ჯევრიე.

ქერიმი, მადლობა ღმერთს, მასზე ადრე იყო მისული ნაპირზე და ელოდა...

ჯევრიემ სახლთან გაუხვია თუ არა, მოკურცხლა. მას ნაანგარიშები ჰქონდა, რომ ყარაული ვერ ხედავდა, მაგრამ ის კი ალარ მოსვლია აზრად, რომ ფეხის ხმას გაიგონებდა. მაგრამ როცა ყარაულმა გაიგონა, რომ ქუჩის ქალი, რომელსაც ხელში ვეება პაკეტი ეჭირა, გარბოდა, მაშინვე მიიჭრა სახლის კუთხესთან და ყვირილი დაიწყო:

–ჰეი, შესდექ! შესდექ!

ჯევრიე მიხვდა, რომ ეს შეძახილი მისკენ იყო მიმართული და უფრო ჩქარა გაიქცა.

„ღმერთო, მიშველე, ვილუპები, თუ დამიჭირეს... იმასაც სიცოცხლეს გამოასალმებენ და იფიქრებს, რომ მე გავეცი".

ყარაული მიხვდა, რომ მისი წონის კაცი გაქცეულს ვერ დაეწეოდა და სტვენა ატეხა. ის დარწმუნებული იყო, ეს ქალი, რომელსაც ხელში პაკეტი ეჭირა და გარბოდა, ქურდი ან კონტრაბანდისტი იქნებოდა.

ჯევრიემ გაიგონა, რომ ყარაულის სასტვენის ხმას ვილაც გამოეხმაურა. გაისმა მდევრების ფეხის ხმაც.

მძიმე პაკეტით სირბილი ძნელი იყო. კიდევ ოცი-ოცდაათი ნაბიჯი და ნავში იქნება. რამდენჯერმე კინალამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიკავა. ბოლოს ნაპირსაც მიაღწია.

–შესდექ! შესდექ! – ესმოდა ჯევრიეს, მაგრამ ყური არ უთხოვებია ამ შეძახილებისთვის და პირდაპირ ნავში ჩახტა. ქერიმი ჯერ არ იყო მოსული. ასეთ ხმაურს, პოლიციელებისა და ყარაულების სასტვენის ხმას რომ გაიგონებდა, რასაკვირველია, არ გაეკარებოდა აქაურობას... ჯევრიეს სხვა გზა ალარ ჰქონდა, ნავი აუშვა და მოშორდა ნაპირს.

ის მთელი ძალით უსვამდა ნიჩბებს. ზღვაზე, როგორც ცარიელ სახლში, სიჩუმე იდგა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ნიჩბების ხმა სწვდებოდა ჯევრიეს ყურს...

ნაპირი უკვე საკმაოდ შორს იყო. ჯევრიეს ბედი ჰქონდა. წყლის დინებაც მას ეხმარებოდა და აჩქარებდა ნავის მოძრაობას.

–ამ ოხერ ნიჩბებს რა ტლაშატლუში გაუდით, – ბურტყუნებდა ჯევრიე.

ის ცდილობდა, უხმოდ მოესვა ხოლმე ნიჩბები, მაგრამ, რაც უფრო მეტს ღელავდა, უფრო მეტი ხმაურით ეშვებოდა ნიჩბები წყალში. ჯევრიეს ეჩვენებოდა, რომ ნიჩბების ტლაშატლუში დიდ ექოს გამოსცემდა ნაპირზე.

ამ უკუნეთ ღამეში მდევრებს რომც ვერ დაენახათ, ნიჩბების ხმაზე მაინც მიხვდებოდნენ, რომ ის ზღვაში იყო გასული.

ახლა სასტვენების, ფეხისა და ხმამაღლა მოლაპარაკე მამაკაცების ხმა უკვე ნაპირიდან ისმოდა.

„მადლობა ღმერთს, ნაპირზე სხვა ნავი არ არის," – ფიქრობდა ჯევრიე და უფრო გულმოდგინედ უსვამდა ნიჩბებს. ახლავე რომ გადააგდოს პაკეტი, ხმას გაიგონებენ და ძებნას დაუწყებენ. თან კიდევ ქერიმ აბიმ უთხრა, პაკეტი ნაპირიდან შორს უნდა გადავაგდოთო.

შიშით იყო თუ მართლა, ჯევრიეს მოეჩვენა, რომ დინებამ მოქცევა დაიწყო.

ზღვის წყალი თითქოს გასქელდა და ბადაგივით ეკვროდა ნიჩბებს. ჯევრიეს ეჩვენებოდა, ჭანჭრობში ვეფლობიო.

ნაპირზე ჯიბის ფარნის სინათლეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი აციმციმდა. ერთი ფაციფუცი იდგა. „არასდროს არ მეგონა, ასე თუ შემეშინდებოდა პოლიციელების," – გაიფიქრა ჯევრიემ.

ზამთრის ცივ ღამეებში, როცა ფული არ ჰქონდა ხოლმე, ჯევრიეს უყვარდა კიდეც საპოლიციო უბანი, განსაკუთრებით კი ის, ბეიოღლუში რომ არის.

„პოლიციას სარკე აქვს, სარკე აქვს..."

მღეროდა ჯევრიე და მუდამ გაგიჟებით უყვარდა ამ სარკეში ცქერა და კოხტაობა. ჯევრიესათვის წინათ ყველაფერი თამაში იყო, მაგრამ ახლა:

„გოგოს ხელზე დაღი აქვს, დაღი აქვს..."

მღეროდნენ მისი მნახველები. ჯევრიეს მართლაც ჰქონდა ხელზე დაღი – მაჯებზე დახატული ორი ხელბორკილი. ტანჯვის შესამსუბუქებლად სვირინგ გაიკეთა და ამ ტანჯვითა და სიყვარულით ხელებიც დადაღული ჰქონდა და გულიც.

ასეთი დიდი სიყვარული და ტანჯვა მუდამ თვალებზე ეტყობოდა ჯევრიეს, სწორედ ამიტომ ეუბნებოდა ხოლმე სუმბულ-დუდუ:

– შენ რაღაც გჭირს, „ჩემს ჯევრიეს თვალებზე ეტყობაო".

ჯევრიეს ყოველთვის თვალებზე ეტყობოდა ყოველგვარი განცდა: სიხარული, სიყვარული, ფიქრები და იმედები.

როგორც ოდესღაც ამოიკითხავდით ჯევრიეს თვალებში, რომ ის კახპა იყო, ისე ახლა თვალებზე ეტყობოდა ის სიყვარული, რომელმაც წმინდანივით უმანკოდ და სპეტაკად აქცია ჯევრიე, თვალებზე ეტყობოდა შიში – ვაითუ, არ მოვეწონოო, თვალებზე ეტყობოდა სიყვარულით გამოწვეული იმედი.

ახლა კი, როცა ის დაიჭირეს და ჯევრიე ასე დაჰკანკალებდა მის სიცოცხლეს, ყველა ამბობდა, რომ ჯევრიეს

„გულში შავი დარდი აქვს, დარდი აქვსო".

ეს დარდი სიყვარულზე უფრო შავ ნაღველსა ჰგავდა.

ჯევრიეს უყვარდა ის კაცი, რომელმაც თავის სახლში წაიყვანა ავადმყოფი; არასდროს უთხოვია ის, რასაც ყველა სხვა მამაკაცი მოითხოვდა მისგან. კაცი, რომელმაც მას ადამიანური თავმოყვარეობა დაუბრუნა, პატივს სცემდა, თქვენობით მიმართავდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ხედავდა, რომ ჯევრიე კახპა იყო.

როცა გაიგო, რა საშიშროება ელოდა მას, სიყვარული ტანჯვად ექცა.

ჯევრიე შეშინდა, რადგან ამ ნაღველისა და საკუთარი მოუხერხებლობის გამო შესაძლოა, საფრთხეში ჩაეგდო იგი.

ჯევრიემ ჩვეული გულცივობა დაკარგა და, რადგანაც ყარაულმა სახეში შეხედა, გაქცევა ამჯობინა.

„ცოფიანი ძაღლების ხროვა არ დავიდევნე უკან?!"

***

ჯევრიე გრძნობდა, რომ ნიჩბები, რომლის ბოლოებიდან წყლის განათებული წვეთები ცვიოდა ზღვაში, თანდათან მძიმდებოდა. ოჰ, ეს ნიჩბები... ნიჩბები ზღვაში ჩაეშვებიან და უკან აღარ უნდათ ამოსვლა.

ჯევრიეს მაჯები ეტკინა. ეს მარმარილოს ზღვის შვილი, რომელმაც ასე კარგად იცოდა ნიჩბების მოსმა, ახლა ნიჩბების, კატერისა და ადამიანების ხმა რომ ესმოდა, დაბნეული იყო და ხელი ეშლებოდა.

თითებში და მაჯებში ტეხდა, მაჯებზე გამოხატული ორი ხელბორკილი ისე უჭერდა, თითქოს ნამდვილი ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

პროჟექტორის სხივმა ზღვა გაცხრილა და ზედ მიადგა ჯევრიეს.

– დავილუპე! – აღმოხდა მას.

ის უკვე ვერსად წავიდოდა. კატერების ხმა ახლოვდებოდა. ერთი-ორი წამი კიდევ უსვამდა ჯევრიე ნიჩბებს და ფარვანასავით ფართხალებდა პროჟექტორის სხივში მოქცეული. ის გაფაციცებით უსვამდა, ცდილობდა გაქცეოდა პროჟექტორის სხივს და სიბნელისათვის შეეფარებინა თავი.

ჯევრიეს სიბნელე უნდოდა, სიბნელე. ყიჟინა ზღვას ეფინებოდა. ჯევრიეს ეჩვენებოდა, თითქოს ესმის, როგორ იძახიან, აი, ის, აი, ისო.

ჯევრიე შეინძრა. ადგილიდან წამოხტა. სანამ დაიჭერდნენ, მძიმე პაკეტი წყალში უნდა ჩაეგდო, შემდეგ კი, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ამ არემარეს.

მისი ადგილიდან წამოხტომა და ნავის გადაქანება ერთი იყო. ჯევრიემ, რომელსაც პაკეტი გულზე ჰქონდა მიკრული, წონასწორობა დაკარგა და პაკეტიანად გადავარდა წყალში.

მაგრამ ეს რა ხდება... მან ხელი უშვა პაკეტს, პაკეტი იძირება და ჯევრიესაც თან ეზიდება...

არა, ეს შეუძლებელია. როგორმე თავი უნდა დააღწიოს ამ ძალას, რომელიც კუპრივით შავი წყლისაკენ ეზიდება. უნდა დააღწიოს...

მაგრამ ვერა. პაკეტის თოკი მის პალტოს გამოსდებოდა, რამდენჯერმე შემოხვეოდა ხელზეც და თავის დახსნა შეუძლებელი იყო. ჯევრიე პაკეტთან ერთად მიდიოდა ზღვის ფსკერისკენ.

***

მდევრები წყლის ტყლაშუნზე და გამქრალ ლანდზე მიხვდნენ, რომ ზღვაში რაღაც ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რამდენიმე პრიალა რგოლი გამოჩნდა და გაქრა...

პატარა მოტორიანი გემი სწრაფად უახლოვდებოდა ცარიელ ნავს. ღუზაზე მდგომი გემის ბაქანზე ერთი ახალგაზრდა მეზღვაური საზს აკვნესებდა და ღიღინებდა:

“მე ქვიშა ვარ ზღვისა,
ქერცლი თევზებისა,
გამიხსენ უბე, ჩემო ჯევრიე,
მეც მონა ვარ ღვთისა”.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექირ სითქი ქუნთი
(1905-1959)

ბეჭედი[1]

ასაფ აქჩილი საბაჟოზე მსახურობდა. ასაკით ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლისა თუ იყო, ტანად ზორბა და მოუქნელი. მუდამ უჩვეულოდ და სასაცილოდ ეცვა. პირწმინდად მოსვლეპილ კინკრიხოს გვერდებიდან ნასესხები ათიოდე ღერი თმისგან დაწნული კოხტა გვირგვინი უმშვენებდა. ყოველდღე სუფთად იპარსებოდა. დიდი ხნის ნამსახურ, გახუნებულ მოყავისფრო ყელსაბამზე ყოველთვის ეკეთა სამკუთხა ოქროს საბნევი. დიდი ხნის ნაცვამი, ოდესღაც ყავისფერი, ახლა კი ფერგამკრთალი ტანსაცმელი ერთთავად გაწმენდილი ჰქონდა, თუმცა გაუთოება მუდამ აკლდა. თეთრ კაშნეს ატარებდა, რომ პერანგის საყელო არ დასვროდა. გაცვეთილ მუხლისთავებზე უთოს ხაზი ცერად მიუდიოდა და შარვალიც მონგრეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ღიპზე გადმოკიდებული პიჯაკის კალთები მუხლებამდე სწვდებოდა. ჟილეტის ორ ქვედა ჯიბეს შორის უბრალო ლითონის ყვითელი ძეწკვი მოუჩანდა. ძეწკვის ერთ ბოლოზე გასაღებით დასაქოქი ძველი საათი ეკიდა, მეორეზე – მელნით გათხუპნილ ტყავის ბუდეში – სამსახურებრივი ბეჭედი. ეს ორი ამობურცული ჯიბე მის პატიოსან ღიპზე მიმჯდარ ორ ბაყაყს ჰგავდა.

ასაფ აქჩილის ძირითადი ხელფასი ოცდათხუთმეტ ლირას შეადგენდა. თავგადადებული სამსახურის, პატიოსანი შრომისა და უფროსების კმაყოფილების მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, ამ დაწესებულებაში ოცდასამი წლის უწყვეტი სამსახურის მიუხედავად, არავინ იცის, რატომ, ოფიციალურად კი შტატების უქონლობის გამო, უფრო მაღალხელფასიანი თანამდებობა არ ღირსებია. უკანასკნელი დაწინაურებიდან მთელი ექვსი წელი იყო გასული. ოცდათხუთმეტი ლირის შემყურე ასაფ აქჩილი, რასაკვირველია, უკმაყოფილო იყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა სულაც არ გახლდათ. მცირერიცხოვანი ოჯახი ისედაც მომჭირნე ცხოვრებას იყო ჩვეული. მას უფრო ყოველი მოხელის დამახასიათებელი დაწინაურების ჟინი აწვალებდა.

***

ერთ დღეს ასაფ აქჩილი თავის მაგიდას ეჯდა, წინ დავთარი გადაეშალა და ციფრების წერით იყო გართული. ამ დროს კარისკაცი შემოვიდა და მოახსენა, უფროსი გიბარებსო. ასეთი რამ დღეში ათჯერ მაინც ხდებოდა ხოლმე და მასაც განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. ახლაც, ჩვეულებისამებრ, რვეულიდან თავი აიღო, კალამი სამელნის გვერდით დადო, სათვალე ბუდეში შეინახა, ცხვირსახოცი ჯიბისაკენ წაიღო, წამოდგა და მშვიდი ნაბიჯით უფროსის ოთახისკენ გაემართა. კარზე არც კი დაუკაკუნებია.

უფროსი სახეგაღიმებული შეხვდა. სხვა დროს ასე არ დახვედრიან. აკი ცქვიტა კიდეც ყურები ასაფ აქჩილმა და არც შემცდარა, მღელვარებისგან სისხლი მოაწვა თავში, სახეზე ბედნიერი და ბრიყვული ღიმილი მოეფინა.

–მობრძანდით, ასაფ ბეი, მობრძან-

---

[1] მწერლის გაზეთი, 12-18 სექტემბერი, 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, დაბრძანდით. თქვენ შესახებ ბრძანება მოვიდა. ერთი საფეხურით დაგაწინაურეს და ახალ თანამდებობაზე დაგნიშნეს. მომილოცავს, ღმერთი იყოს თქვენი შემწე. ახლავე დავწერ განკარგულებას და მოგართმევთ.

ასაფ აქჩილმა ზედიზედ გადაუხადა მადლობა. მღელვარებისგან მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. როგორც იქნა, დადგა ექვსი წლის ნანატრი დღე. ოჰ, ეს მოლოდინი! რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მას მოხელის ცხოვრებაში, ქორწილივით არის და ეგაა. პირდაპირ დღესასწაულს ჰგავს. ახლა ყველა კოლეგამ უნდა მიულოცოს, ნაცნობების წერილებსა და ბარათებს ხომ ვეღარ აუვა. ასეთ დროს, უეჭველია, მოშურნეებიც გამოჩნდებიან. ისეთებიც კი, მასავით რომ დიდი ხანია, მოლოდინში იყვნენ და სადაცაა, კიდეც უნდა დააწინაურონ. ერთი სიტყვით, ამ ქვეყანას ვერაფერს გაუგებ.

დაწინაურების ბრძანება არნახული სისწრაფით დაიწერა და ასაფ აქჩილს ჩაბარდა. მანაც საქმეები სასწრაფოდ გადააბარა თავის კოლეგას. როცა ჯერი ჟილეტის მარცხენა ქვედა ჯიბეში მოკალათებულ სამსახურებრივ ბეჭედზე მიდგა, ასაფ აქჩილს, ცოტა არ იყოს, ხელი აუკანკალდა. ძეწკვზე გამობმული ბეჭედი რომ ამოიღო, რაღაც ნაღველმა გაჰკრა. ჰეი გიდი, ბეჭედო, ჰეი! რამდენი ქაღალდი დაგიმოწმებია. შენი წყალობით რამდენი ძალა შეჰმატებია ამ ქაღალდებს და სახელმწიფო საქმეც წაუწევია წინ.

ასაფ აქჩილი წუხდა, რომ ძველი ბეჭდის ადგილს ახალი აღარ დაიკავებდა. ეს ახალი თანამდებობა, მართალია, უფრო მაღალი იყო, მაგრამ უბეჭდო.

დღის ბოლოს დაწინაურების ამბავი ცოლისთვის უნდა ეხარებინა, მაგრამ ჟილეტის მარცხენა ჯიბის გახსენებაზე მთელ ტანში რაღაც სიცარიელე იგრძნო. თუმცა ცოლის პირველი სიხარულისა და თავის მოწონების მოლოდინმა დაამშვიდა.

ხელიდან გამოცლილი ბეჭდის მიუხედავად, მაინც ბედნიერი დ,ა კმაყოფილი იყო. გონების თვალით რომ ჩაულრმავდებოდა დაწინაურებას, ეს მის ცხოვრებაში ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, ახალ თანამდებობაში კომპეტენციის ზრდას, ძალაუფლების კიბეზე აღმასვლას ხედავდა. სწამდა, რომ ამით საფუძვლიანი ნაბიჯი გადადგა უფრო მაღალი მდგომარეობისა და მაღალი საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე. ნეტა შენ... ნუ გექნება, რა, ბეჭედი...

პიჯაკი გაიხადა და საშინაო ხალათის ჩასაცმელად მოემზადა. სიმძიმედაკარგული ჯიბის კუთხე ჩვარივით დაეკიდა. ასაფ აქჩილი შეეცადა, ცოლს არაფერი შეემჩნია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. საფიე ჰანუმი რა საფიე ჰანუმი იყო, რომ ასეთი რამ გამოჰპარვოდა. მან უმალ შუბლი შეიკრა და შესძახა:

– ბეჭედი რა უყავი?

ასაფ აქჩილი შეეცადა, რაც შეიძლება ბუნებრივად დაეჭირა თავი:

– აა, ბეჭედი? ისა... ის ბეჭედი თანამდებობრივი იყო და... საქმეები რომ გადავაბარე, ბეჭედიც ჩავაბარე, როგორც წესი და რიგია.

ახლა საფიე ჰანუმის წინაშე ნირწამხდარი იდგა ასაფ აქჩილი. მისი ცოლი მძვინვარებდა.

– კი მაგრამ, ძველის ნაცვლად ახალი არ უნდა მოეცათ? – იკითხა მან აღელვებულმა.

ასაფ აქჩილმა გადაწყვიტა, საქმე არ გაემწვავებინა და ახლა მაინც დაემშვიდებინა ცოლი:

– კი, რასაკვირველია, მომცემენ, – მიუგო მან, – მაგრამ ასე მალე ხომ არა, ჯერ არ მოუციათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაფ აქჩილი გრძნობდა, რომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და თვითონაც ერთობ შეწუხებული იყო. უბეჭდოდ დარჩენილი, აღარც თავად იყო კმაყოფილი. ოღონდ საღად აფასებდა „ვითარებით გამოწვეულ მდგომარეობას". რა ქნას, სახელმწიფო, ბუნებრივია, ყველას სათითაოდ ხომ ვერ ჩამოურიგებს ბეჭდებს, მაგრამ ეს როგორ უნდა გააგებინო შენს ცოლს.

იმ შემთხვევის აქეთ ასაფ აქჩილისთვის ყოველი დღე და ყოველი ღამე სატანჯველად იქცა. საფიე ჰანუმს პირისახე აღარ ულიმოდა. უარესი კი ის იყო, რომ ენა აღარ გაუჩერებია, ჭრი-ჭრი-ჭრიო, თავი გადასჭამა საწყალ ქმარს.

– შენ უბრალოდ გამოგაგდეს. გითხრეს, განინაურებთო და ძალაუფლების ბეჭედი გამოგაცალეს ხელიდან. არ უნდა მიგეცა, უნდა გასძალიანებოდი. ერთხელ რომ მაინც გეკითხა ჩემთვის, განა დაგთანხმდებოდი? კაცი თვითონ არის თავისი თავის პატრონი. ახლა კი დარჩი კუდმოკვეცილი ხელმოწერის ამარა. ეგრე უბნის ყარაულიც კი მოაწერს ხელს. მთელ სამეზობლოში და სანათესაოში ბეჭდის პატრონი ქმარი მხოლოდ მე მყავდა. თავიც მომწონდა ამით. შენ ვერ შეიშნოვე ძალაუფლების ყადრი და ფასი. ძველი ვაზირები სიცოცხლეს წირავდნენ ერთი ბეჭდისთვის. ეს უმიზეზოდ არა ხდებოდა. განა არ გაგიგია, სულეიმანი ის არის, ვისაც ბეჭედი აქვსო.

სიმშვიდით და სიყვარულით სავსე მათი ცხოვრება თავდაყირა დადგა. ასაფ აქჩილი უთენია უგუნებოდ გადიოდა შინიდან. სამსახურში მოჟამული იჯდა. საღამოს ისევ უგუნებოდ და ფეხის თრევით ბრუნდებოდა, თითქოს აქ სატანჯველი ელოდა.

ეს რა უქნეს და დააწინაურეს.

საწყალმა აღარ იცოდა, რა ექნა, რა მოემოქმედა. შიშველ თავზე ათიოდე ღერი თმისგან შეკრულ გვირგვინს ვეღარ ნახავდით. აღარც სუფთად იპარსებოდა. აღარც ოქროს საბნევს იკეთებდა ყელსაბამზე. ამის შემყურე მისი ამხანაგები ეკითხებოდნენ, ავად ხომ არა ხარო და ჯანმრთელობას უსურვებდნენ. მტრები კიდევ ამბობდნენ, უღელი რა ძროხის საქმე იყოო.

დიახაც, ეს რა უქნეს და დააწინაურეს. რას იზამ, მდგომარეობამ მოიტანა... სახელმწიფო ყოველ თავის მოსამსახურეს თითო ბეჭედს ვერ ჩამოურიგებს. ასეა... მაგრამ, სიკვდილის გარდა, ყველაფერს ეშველება. რაღა ეს გახდება უსაშველო? აჰ, ნეტმაც, ნეტამც, ასაფ აქჩილი ამისთვის რას არ მოიმოქმედებს...

და აი, ყოველგვარ მოქმედებაზე, დამცირებაზე, ყოველგვარ დაცინვაზე თავგადადებული ასაფ აქჩილი უფროსის კაბინეტში შევიდა. ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა და სთხოვა, ოღონდ ძველ ადგილზე დამაბრუნეთ, რამე ერთი ბეჭედი მომეცით და ყოველგვარ დაწინაურებაზე ხელი ამილიაო. ამას რომ ამბობდა, ოფლში იწურებოდა სირცხვილისაგან, მისი გახუნებული ცისფერი თვალები და თხოვნა-მუდარით აღსავსე გამოხედვა უფროსს კი არ შესცქეროდა, არამედ ოთახში დაბორიალებდა.

უფროსი გამგებიანი კაცი აღმოჩნდა. ულვაშებში ჩაეცინა და მაშინვე მიხვდა ყველაფერს... რამეს ვეცდებიო, შეჰპირდა. იმავე დღეს დაიწერა, ეს და ეს თანამდებობა თავისი მნიშვნელობის დასადასტურებლად აუცილებლად საჭიროებს სათანადო ბეჭდის არსებობასო და მაღალ ინსტანციებში გაიგზავნა. ამ ბეჭდის საქმემ სხვადასხვა საფეხური მოიარა და ბოლოს ოფიციალური აუცილებლობის სტატუსი მიიღო. ერთ მშვენიერ დღეს პასუხიც კი მოვიდა. ბეჭედი ზარაფხანაში უკვე შეკვეთილია, მივიღებთ თუ არა, უმალ გამოგიგზავნითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაფ აქჩილი წუხდა, გამოსავალი არსებულაო და ასე რატომ ვნალვლობდიო. ცოლს კი ფიცით არწმუნებდა და დროც გადიოდა.

დიდ დროს არ გაევლო, რომ ტილოში გახვეული ბეჭედი ფოსტიდან ისევ ასაფ აქჩილის საშველად გამოემართა. ეს იყო, რასაკვირველია, ახალთახალი, უხმარი ბეჭედი.

ასაფ აქჩილმა ეს ირგვლივ წარწერებამოტვიფრული, ყვითელი ბრინჯაოს ოქროსფრად მოელვარე ბეჭედი ხელში აიღო, მიესიყვარულა, ხელი გადაუსვა, გამოაბა ამდენი ხნის განმავლობაში უქმად მოქანავე ძეწკვს და საგულდაგულოდ ჩაიდო ჟილეტის მარცხენა ჯიბეში. შინ მისული, ვინ იცის, როგორ გაახარებდა ცოლს.

საფიე ჰანუმმა მართლაც ძალიან გაიხარა. სიხარულის ცრემლებიც კი გადმოაფრქვია, თითქოს რამე უბედურებისაგან დაეხსნას თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯევდეთ ქუდრეთ სოლოქი
(1907-1992)

ჩვენი ქუჩა[1]

ჩვენი ქუჩა სტამბოლის ბოლოს არის. ამ ქუჩაზე სულ ოცამდე სახლი დგას. თორმეტი სახლის სიგრძეზე ჩვენი ქუჩა სწორია, შემდეგ მარჯვნივ უხვევს, ბაღის კედელს მიადგება და თავდება. ჩვენი ქუჩა თავდაღმართზე გამოდის, რომელიც ჯერაჰფაშას საავადმყოფოსთან ჩამოივლის და შემდეგ დავუთფაშას მისადგომისაკენ ეშვება. მუნიციპალიტეტის ყველა კულტურული ღონისძიება ჩვენს ქუჩას წინ ჩაუვლის და გარს უვლის, შიგ კი არასდროს შემოიხედავს.

მენაგვეები, რომლებიც ჯერაჰფაშადან ზღვაში გადასაყრელად ეზიდებიან ნაგავს, თავდაღმართში მაგრად ერეკებიან საზიდრებს; როცა ჩვენი ქუჩის თავში ჩამოივლიან, ერთს გადმოიხედავენ, მაგრამ აქეთ შემოხვევა ერთხელაც კი არ მოუვათ აზრად. დღის განმავლობაში გავსებული ნაგვის ყუთები ღამღამობით გააქვს ხალხს და ჩვენი ქუჩის პირდაპირ, ცარიელ მინდორზე ყრის. დროთა განმავლობაში დამპალი ნაგვის საშინელი სუნი ცაში მიიწევს, ზაფხულის მცხუნვარე დღეებში ნაგავს ალმურიც ასდის და ეს სუნი თითქოს თვალით დასანახიც ხდება. ქარიან დღეებში მისი სურნელი აქეთ-იქით ეფინება და ლოდოსის[2] დროს კი, მძიმე-მძიმედ შემოდის ჩვენს ქუჩაშიც და მდინარესავით მოედინება ორ რიგად ჩამწკრივებულ სახლებს შორის. ასეთ დღეებში მაგრად უნდა ჩაკეტო ფანჯრები და სულისშემხუთავ სიცხეს ებრძოლო ისედაც უჰაერო ოთახში.

ჩვენს ქუჩაზე არც ელექტროდენია, არცერთ სახლში სინათლე არ არის, გარდა უბნის მეჩეთისა და ბაყალ ბოდოსის დუქნისა, რომელთა შორის ჩვენი ქუჩაა მოქცეული. ერთი სიტყვით, ის „ელექტრონად“ წოდებული რაღაც ჩვენს სახლებში არ არის. ჩვენ სახლებში ნავთის ლამპა გვინთია.

ახლა სასმელი წყლის შესახებ ვთქვათ: ჯერ ერთი, რომ ის ხუთას მეტრზეა ჩვენი ქუჩიდან მოშორებული. საღამოობით სამუშაოდან დაბრუნებული, დაღლილ-დაქანცული მამაკაცები ხელში ვედროებით მიდიან ხოლმე წყაროზე, რომელიც ჯერაჰფაშასაკენ მიმავალი აღმართის ყველაზე ციცაბო ადგილზეა მოქცეული და აავსებენ, რაც სახლში წყლის ჭურჭელი აქვთ. მხოლოდ ამის შემდეგ მთავრდება მათი სამუშაო დღე და თერთმეტის ნახევარზე უკვე შეუძლიათ დასასვენებლად დაწვნენ.

თაობა თაობას მოსდევს, ხალხი იცვლება, ჩვენი ბავშვები კი მუდამ უცვლელი რჩებიან; მართალია, ნურის იჰსანი მოსდევს, შემდეგ – ჯელალი, ჯელალს საიმი, მაგრამ თამაშობანი, ხმა, მოქმედება და სულიერი მდგომარეობა ყველასი ერთია. თაობები იზრდებიან, საქმეს ჰკიდებენ ხელს, მაგრამ ჩვენი ქუჩიდან მხოლოდ ის გადადის, ვინც ბევრ ფულს შოულობს. დანარჩენები, უბრალო მოხელიდან დაწყებული და ხელოსნით დამთავრებული, ვინც სულ დიდი, ოც ლირას აკეთებს, ძველ სახლში რჩება. წასულების ადგილზე ახლები მოდიან და ჩვენს ქუჩაზე ცხოვრება ისევ

---

[1] თურქული მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1958.
[2] ლოდოსი – სამხრეთის ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებურად, გაჭირვებაში და უაზრობაში მიედინება.

***

თუმცა აქ ხალხს ბინები თავ-თავიანთი აქვს, მაგრამ მათი გრძნობები და ფიქრები ერთნაირია. ისინი ისე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთი ოჯახის წევრები გეგონებათ და ეს, ალბათ, ცხოვრების ერთნაირი პირობების წყალობითაა. ჩვენს ქუჩაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ისეთი რამეები, როგორიცაა „საზოგადოებრივი აზრი" და „სახელმწიფოებრივი ორგანიზმი".

ცხოვრებას აქ საათებით კი არა, მზის ამოსვლა-ჩასვლით ანგარიშობენ. ზამთარში თუ ზაფხულში, საათი რამდენსაც უნდა უჩვენებდეს, მზის ჩასვლის შემდეგ ბავშვები სახლში შედიან, ქალები ფანჯარას მიადგებიან ქმრების მოლოდინში, მამაკაცები ხელში მომცრო ტვირთით ბრუნდებიან შინ, ნაგვის გადაყრისა და წყლის მოტანის შემდეგ კარები იკეტება და სიბნელე, რომელიც თანდათან უფრო და უფრო სქელდება, ავსებს სახლებს შორის სივრცეს, ქუჩას ერთ მთლიანობად აქცევს და მდუმარება სუდარასავით გადაეფარება აქაურობას.

ერთ ღამეს, სრულიად უდროო დროს, ალბათ, თორმეტ თუ პირველ საათზე, გარედან ხმაური გავიგონე. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩის მთელს სიგრძეზე ქალის კივილი გაისმა და სიბნელეში შთაინთქა. ფანჯარას მივვარდი. ქვევით ხალხს მოეყარა თავი. რამდენიმე ფარნიანი კაცის ჩრდილი აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა. ყველა სახლის ფანჯრები ღია იყო და გარეთ გამოლწეულ ლამპის სინათლეს აქა-იქ დაეფლითა უკუნეთი სიბნელე. მაშინვე ტანთ ჩავიცვი და გარეთ გავედი. რამე ბოროტმოქმედება მოხდამეთქი, ვიფიქრე. მაგრამ თურმე რამდენიმე სახლის მოშორებით მცხოვრები მეზობლის, სტიუარდ სალიჰ ეფენდის, ცოლი მშობიარობდა. გემი, რომელზეც სტიუარდი სალიჰი მუშაობდა, ამ ორი დღის წინ შავი ზღვის რეისში წავიდა. ქალი მარტო იყო დარჩენილი სახლში მოხუცდედამთილთან ერთად. დალოცოს ღმერთმა, მეზობლის ქალებმა ასეთ დროს მარტო არ დატოვეს მშობიარე და დასახმარებლად მოვიდნენ. კაცებსაც ქუჩაში მომაღლო ადგილას მოეყარათ თავი და ინტერესით ელოდნენ შედეგს. მე მალე შევიტყვე მათი მღელვარების და ინტერესის მიზეზი: ბავშვი თურმე უკულმა მოდიოდა, ბებიაქალი ვერაფერს გახდა და ექიმი მოითხოვა. ორი კაცი ექიმთან აფრინეს, მაგრამ მას აქეთ უკვე ნახევარი საათი გავიდა, ისინი კი ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ. სწორედ ამ დროს შორიდან დაოთხილი ცხენის ფეხის ხმა და ეტლის ბორბლების რახარუხი მოისმა. ამ ღამის სიწყნარეში გაჭენებული ცხენების და ქვაფენილზე ახმაურებული ბორბლების იმედის მომგვრელ ხმაზე ყველა სმენად იქცა და ისე მიუგდო ყური ღამის წყვდიადს, როგორც ექიმი ისმენს ხოლმე მძიმე ავადმყოფის გულისცემას. და მართლაც, ეს სანუკვარი ხმაური აღმართს ამოჰყვა და ცოტა ხნის შემდეგ ცხენები ქუჩის თავში შეჩერდნენ. ხალხმა მეტი ველარ მოითმინა და ყველა ერთად გაიქცა იქითკენ და ეტლიდან გადმოსულ ჩანთიან კაცს ისე შეაცქერდნენ, თითქოს ღმერთი იყო, რომელიც არაფრისაგან ადამიანს ქმნის და გაჭირვებულების დასახმარებლად ეშურება, სიცოცხლეც და სიკვდილიც მის ხელთ არის. გარს შემოეხვივნენ და სახლამდე ასე მიაცილეს. კარი ღია იყო. ექიმი შიგ შევიდა. ქვით დაფენილ მისასვლელში ქალები შემოეგებნენ.

– ავადმყოფი სად არის? – იკითხა ექიმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ზემოთ!

ექიმმა მიხედ-მოიხედა და ისევ იკითხა:

– სახლის პატრონი რომელია?

სტიუარდ სალიჰის დედაზე მიუთითეს:

– ეს არის.

მამაკაცები გარეთ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ლამპით განათებულ მისასვლელს მაინც ხედავდნენ და ხმაც ესმოდათ.

ექიმი მოხუც ქალს მიუბრუნდა:

– ქალბატონო, მე წინასწარ მიყვარს ყველაფრის თქმა. ჩემი ვიზიტი ორმოცდაათი ლირა ღირს.

ექიმს მის წასაყვანად მისულებისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ალბათ იფიქრა, რომ მივალ, მერე უკან ხომ აღარ გამომაბრუნებენო.

მოხუცმა ქალმა ნერწყვი გადაყლაპა, ერთხანს ვერაფერი თქვა, თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდაო; ბოლოს, როგორც იქნა, ძლივს მოახერხა ხმის ამოღება:

– ორმოცდაათი ლირა?

მეტი აღარაფერი უთქვამს. კიბეზე ჩამოჯდა, თავით ხელებს დაეყრდნო და მიაცქერდა ამ ორმოცდაათლირიან კაცს, რომელიც ხელში ჩანთით შუა მისასვლელში იდგა.

განცვიფრებისაგან დაღებული, კბილებჩაცვენილი ხახა ლამპის სუსტ სინათლეზე უძირო ორმოს ჰგავდა და შიშს ჰგვრიდა დამნახველს.

– წინასწარ თქმა სჯობს, რომ შემდეგ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი, – დაუმატა ექიმმა.

– ექიმო, – წარმოთქვა ქალმა, – ჩვენ მაგდენი ფული არა გვაქვს, არც არასოდეს გვქონია. მხოლოდ ოცი ლირა შეგვიძლია მოგცეთ.

– ვერ ვიზამ, – უპასუხა ექიმმა, – სხვებმა იქნებ გააკეთონ მაგ ფასად, მე კი სახელგანთქმული ექიმი ვარ და ჩემი ვიზიტის საფასურს ვერ დავცემ. არ შემიძლია.

ერთმა ქალმა, რომელიც აქამდე სიბნელეში იდგა შუა კიბეზე, თავი ვეღარ შეიკავა და უცბად იყვირა:

– ბატონო ექიმო, ეს სტიუარდის სახლია, კაპიტნის სახლი არ გეგონოთ, თუ შეიძლება, გასამრჯელოც სათანადო მოითხოვეთ.

ექიმმა ცივად მოუჭრა:

– ჩვენი შრომის გასამრჯელოში სტიუარდებისთვის ფასის დაკლება გათვალისწინებული არ გახლავთ.

იგი მიბრუნდა და კარში გავიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მამაკაცები სახლის წინ იდგნენ თავმოყრილნი, მხარიმხარ დამდგარიყვნენ ნახევარრკალად და გამოსასვლელი შეეკრათ. ეს ხალხი, რომელთაც ცოტა ხნის წინ ერთი წუთითაც ვერ ნახავდით მოსვენებულს, ახლა გაუნძრევლად იდგა, ხელები ქვევით დაეშვათ და გაშტერებით შესცქეროდნენ კიბის თავში გამართულ სცენას. იქ ნათქვამი ყოველი სიტყვა კიდევ უფრო მოქმედებდა და ერთ ადგილზე აქვავებდა მათ. ექიმმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა წასასვლელად, მაგრამ გასავლელ ადგილს ვერ მიაგნო.

– თუ შეიძლება, გამატარეთ, – მიმართა მან ერთ-ერთს.

მაგრამ ის კაცი არ განძრეულა. ექიმი ახლა მეორესთან მივიდა, მაგრამ არც ის დაძრულა ადგილიდან. ექიმმა მის წინ ადამიანებისაგან აღმართული ღობის გარღვევა მოინდომა და ერთ მათგანს ხელი გაჰკრა, მაგრამ მაშინვე უკან დაიხია, თითქოს ხელი ცივი მარმარილოსათვის დაედო. ხელხს შეხედა. მის წინ თითქოს მთლიანი ქვისგან გამოთლილი, სახეგაფითრებული თეთრი ძეგლები იყო აღმართული. ექიმი ხმაამოუღებლივ მიბრუნდა, ისევ კარში შევიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭრიალა ხის კიბეს აუყვა.

– ექიმო, – წამოიძახა ერთმა მათგანმა, ვინც ქვის ღობედ იყო აღმართული კარის წინ.

ექიმმა მოიხედა.

– უბედური შემთხვევა არ მოხდეს.

ექიმი ისევ მიბრუნდა, დარჩენილი საფეხურებიც აიარა და თვალს მოეფარა. კარის წინ თავმოყრილმა ხალხმა თავისუფლად იგრძნო თავი, შეირხა და ამოძრავდა.

– ექიმი ახლა, სულ დიდი, ერთ საათს მოუნდება თავის საქმეს, შემდეგ ოც ლირას მიიღებს, – წარმოთქვა ერთმა კაცმა, რომელსაც წელან გასასვლელი ჰქონდა ჩაკეტილი.

მისი სიტყვები მეორემ დააბოლოვა:

– ...და მაინც უკმაყოფილო იქნება. ჩვენი ერთი საათის შრომა კი ოცი ყურუში ღირს.

ასეთ საუბარში რომ იყვნენ გართულნი, ზედა სართულიდან ერთხელ კიდევ გაისმა მწარე კვნესა, რომელსაც ზედ ბავშვის ტირილის ხმაც მოჰყვა. კარის წინ თავმოყრილი ხალხი უცებ გაჩუმდა.

ათიოდე წუთიც არ გასულა, რომ ბებიაქალმა სირბილით ჩამოიარა კიბე და გარეთ მომლოდინე მეზობლის ქალებს მიახარა, გადარჩა, გადარჩაო. ცოტა ხნის შემდეგ იმავე კიბეზე ექიმმა ჩამოიარა, მაგრამ მისი სახე ბებიაქალის პირისახესავით მხიარული არ ჩანდა.

კართან ძველებურად ბევრი ხალხი იდგა, მაგრამ გზა გადაღობილი აღარ იყო. ორმა კაცმა ქუჩის თავამდე ეტლთან მიაცილა ექიმი.

ეტლთან მისვლამდე ღამის სიჩუმეში სამი კაცის ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორჰან ჰანჩერლიოღლუ
(1916-1991)

ალი[1]

(ნაწყვეტი)

ალი შუაღამისას თოფჰანეს[2] ერთ მივარდნილ ქუჩაზე, პატარა ქოხში გავიცანი.

წოწოლა იყო. ზურგზე დამჯდარი პატარა კუზისგან მხრებში მოხრილიყო. წაბლისფერი ხუჭუჭა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. მარჯვენა ლოყას დიდი შავი ხალი უმშვენებდა. ხალს მუდამ ხელით აწვალებდა. ალი ცისფერთვალა იყო. წარბები ისე აზიდვოდა, გაკვირვება უფრო მეტად ეხატებოდა სახეზე. ასეთი წარბები რომ არა, თავისი სწორი ცხვირით, წვრილი ტუჩებითა და ნიკაპით ის ლამაზიც კი მოეჩვენებოდა კაცს.

გრძელი, გამხდარი მკლავები მუხლებამდე სწვდებოდა. ულვაში ახალი აშლილი ჰქონდა.

ალი უსწავლელი, უვიცი და ორპირი იყო. მე მინახავს, როგორ თრთოდა სულ უბრალო რამეზეც კი, მაგრამ დაბადებით ხარბს, შურიანსა და ეგოისტს, სახე მაინც კაცთმოყვარე და გულკეთილი ადამიანისა ჰქონდა.

ჩემი ყურადღება სწორედ ამან მიიპყრო და ამანვე მაფიქრებინა ისიც, რომ ასეთი გარეგნობის, ჭკუისა და ბუნების ალი შეიძლება ყოფილიყო ბაყალიც, მოსწავლეც, ჩინოვნიკიც ან კიდევ ხელოსანი, ვინმე მუქთახორა, ვაჭარი თუ მინისტრი.

ალი – ბაცაცა

ჰაერში თოვლის კორიანტელი ტრიალებდა. ალის ხალათის გახსნილ საკინძეში ჩაეყო ხელი და იღლიაში ამოედო გასათბობად. თოვლის ფიფიქები ნემსებივით იჩხვლიტებოდა. დაფლეთილი შარვალი მუხლებს ვერ უფარავდა. თვალები მოჭუტული ჰქონდა. თმაზე წვრილ-წვრილი ლოლუები ეკიდა. სიცივე თანდათან მატულობდა, მაგრამ ალის ჯერ კიდევ შერჩენოდა წინა დღის ჩხუბის სიცხარე და მტკიცედ მიაბიჯებდა თხელი ყინულით დაფარულ გუბეებში.

ქოხის კარს ფეხი ჰკრა და შეაღო. ცხვირში თამბაქოსა და ოპიუმის მკვეთრი სუნი ეცა. თავი დახარა, რომ კარის ზედა წირთხლისათვის არ აერტყა და ქოხში შევიდა.

– ჩქარა მოხურე, ბიჭო! – დაიყვირა ბებერმა ქურდმა.

ალიმ ღონივრად ჰკრა ხელი კარს, შემდეგ სამიოდე წიხლიც მიაყოლა, როგორც სჩვეოდა და მიკეტა.

შუა ოთახში ნახშირით სავსე, გახურებული თუნუქის ყუთი იდგა. გარშემო თხუთმეტი-ოცი წლის ქურდბაცაცები შემოსხდომოდნენ. ვინ ფეხმორთხმით იჯდა, ვინ – გულაღმა, ვინ კი პირქვე წამოწოლილიყო. ზოგიერთს ჩასძინებო-

[1] ორჰან ჰანჩერლიოღლუ, ალი, „ნაკადული“, 1966.
[2] თოფჰანე – უბანია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ხვრინვაც კი ამოეშვა.

ვეება ჰოროზ[1] იბრაჰიმს თავისი საყვარელი თავუქ[2] ზულფუ გვერდით მოესვა, შავი, სველი ულვაშებით დაფარულ ტუჩებში პაპიროსი გაერჭო და აბოლებდა.

ჰოროზ იბრაჰიმმა გამოთაყვანებული მზერა ძლივს მოაშორა ზულფუს, ალის მიაშტერდა, ერთხანს უცქირა და მერე შეჰყვირა:

–ლაჩარო, კახპის შვილო...

გახურებული ნახშირიდან არეკლილი შუქი ჭერს მოჰფენოდა. წითელ, ციმციმა სინათლეზე სქელი ბოლი ტალღა-ტალღა ლივლივებდა ჰაერში.

–ძაღლო, – დაუმატა ჰოროზ იბრაჰიმმა, – თავს უშველე, არა?

ალიმ გაღიმება სცადა. სახის ყოველი ნაკვთის განძრევაზე კანი ისე ეწვოდა, თითქოს დასერილი ჰქონოდა. პირი ძლივს გააღო და წაილულლულა:

–ღმერთმანი, არ გავქცეულვარ... მუცელმა შემაწუხა და...

ჰოროზ იბრაჰიმმა ისევ დაიღრიალა:

–გაჩუმდი, ვირიშვილო, ნახე, რაღა, სამაგისო დრო!

ალიმ თავი დახარა: ტყუილის თქმა ვერ გაბედა.

წვერიანი ჰაჯიალა[3] მათ ილდიზის პარკის მიყრუებულ კუთხეში შეიტყუეს. ჰოროზ იბრაჰიმმა და ორმა ბაცაცამ დროზე მიუსწრეს. სწორედ აქ შეშინდა ალი. იფიქრა, კაცი არ შემოაკვდეთო და... წვერიანს რომ დაეყვირა, მუშტიდან დანაზე გადავიდოდნენ, მერე პარკის დარაჯებიც მოცვივდებოდნენ. ჯერ სამი თვე არ იყო გასული, რაც ალი ციხიდან გამოვიდა და უკან დაბრუნება აღარ უნდოდა... ალი უკან გაძვრა. ხეებს ამოეფარა, შემდეგ წაწვა გულაძგერებული და დაელოდა, რა მოხდებოდა. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, მაშინ ჰოროზ იბრაჰიმი ერთ ხუთიანს ალისაც არგუნებდა, შეპირებული იყო. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიმალული ალი ხედავდა, როგორ წამოდგა ფეხზე წვერიანი, თავდაპირველად წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ, როცა სილა აჭამეს, საფულე, ოქროს ძეწკვიანი საათი და ბეჭდები თავისი ხელით ჩააბარა ჰოროზ იბრაჰიმს. ერთმა ყვინჩილამ ჭიტლაყი ამოჰკრა, მეორემ კი წვერებში მიაფურთხა – გაახსენდება და ჩივილს ვერ გაბედავსო.

ალიმ რომ დაინახა, ჰოროზ იბრაჰიმმა და მისმა ორმა ამხანაგმა სასწრაფოდ მოძუძგეს, ძლივს წამოდგა. ჰაჯიალაც გახარებული, ასე იოლად რომ გადარჩა, მათ უკან გაიძურწა. დღის სინათლე თანდათან ფერს კარგავდა, უჩინარდებოდნენ ვეება ხეები. პარკის ბილიკებზე სტვენით დაძრწოდა ქარი.

მიწაზე ალიმ პაპიროსის მოზრდილი ნამწვი იპოვა, ცეცხლი მოუკიდა და მოსწია. ბოლმა ყელი ჩაუთბო. ფეხშიშველამ თხელი ყინულით დაფარული ხრეში გადაიარა და გორაკს მიაშურა. გორაკი პარკთან ახლოს იყო. პარკის კარში გასვლას კედელზე გადაძრომა ამჯობინა. რაც უნდა იყოს, ასეთ დროს დარაჯს რომ დაენახა, არ ივარგებდა. ჰკითხავდნენ, პარკში რას აკეთებდიო ან არადა, ერთ-ორ სილას გააწნავდნენ გაყინულ ლოყებზე; ისე, თავის გასართობად. ალიმ კი კარგად იცოდა, რა მშვენიერი გასართობი იყო სუსტი კაცის გატყეპა, ისიც – უმიზეზოდ.

უცბად, გორაკისკენ მიმავალი გზის

[1] ჰოროზ – მამალი; ჟარგონში – გამოცდილი ქურდი.
[2] თავუქ – ქათამი; ჟარგონში – ახალგაზრდა ქურდი.
[3] ჰაჯიალა – გამდიდრებული მდაბიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკვეთაზე, წყავის ბუჩქების უკან, ერთმანეთს გადაჭდობილ ორ ლანდს მოჰკრა თვალი და შეჩერდა. უჰ, შენი... თავისთვის შეიგინა ალიმ. ერთი მათგანის ნაზი, ხრინწიანი და წვრილი ხმა ხშირად სმენია. ეს გიულლუ იყო. ასეთი ხმა, გიულლუს გარდა, არავის ექნებდა. ალიმ ერთხელ კიდევ მოსწია პაპიროსი, გადააგდო და შიშველი ფეხით სამჯერ დაასრისა მიწას. მას სწამდა, როცა რამეს ეხებოდა, სამჯერ უნდა შეხებოდა, თორემ საქმე უკულმა წაუვიდოდა.

–ეი, მანდ ვინ არის? – შესძახა ალიმ.

მამაკაცი, გიულლუს გვერდით რომ იწვა, წამოხტა. ალი ხეს ამოეფარა. ნეტავ არ დამეყვირაო, გაიფიქრა და შიშნარევმა სინანულმა გაჰკრა.

ალი ერთხანს გაფაციცებული ელოდა, მაგრამ, როცა დაინახა, კაცმა ჯარისკაცური ფალასკა გაისწორა და უკანმოუხედავად გაშორდა იქაურობას, ლაჩარი ყოფილაო, გაივლო გულში და გაიღიმა.

გიულლუს თავი წამოეწია და შეშფოთებული იცქირებოდა იქით, საიდანაც ხმა მოესმა. აწეწილი თმა დაბადებიდან ერთი-ორჯერ თუ ექნებოდა დავარცხნილი. თმები ერთმანეთს მიკვროდა და ნახევარ სახეს უფარავდა. ცალი თვალი ჩალურჯებოდა. გიულლუს გრძელი, თუთიყუშის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. თვითონ მომცრო ტანისა იყო. ჩამოყრილი მკერდი მუხლებამდე სწვდებოდა. ფერადი ნაჭრებით აჭრელებული ხალათის საყელო ინგლისური ქინძისთავით ჰქონდა შეკრული. ქარის დაბერვაზე საყელოდან ჭუჭყისაგან ჩაშავებული უბე მოუჩანდა ხოლმე.

ალიმ ერთი ისკუპა, მასთან გაჩნდა და მაჯაში ხელი წაავლო.

–ვინ იყო, გოგო, ის კაცი?

გიულლუ შეირხა, ხელის გათავისუფლება სცადა, მაგრამ შეატყო, არაფერი გამოუვიდოდა და გაბრაზდა:

–ვინ და არავინ. შენ რა გინდა? შენ თვითონ ვინა ხარ?

ამ კითხვაზე ალი დღემდე არ დაფიქრებულა. მართლაცდა ვინ იყო, რა იყო იგი გიულლუსათვის? ამ კითხვამ ჩააფიქრა ალი. მის გონებაში ახლა სხვა კითხვებიც წამოიშალა. კი მაგრამ, გიულლუ ვიღა იყო? საიდან გაჩნდა, სად ცხოვრობს, რას ჭამს ან რასა სვამს? არც გიულლუმ იცოდა, ვინ იყო ალი. სხვებსავით ისიც თოფჰანეს ქოხმახებში ცხოვრობდა. ეს იყო და ეს. არც კი ახსოვთ, როდის შეხვდნენ ერთმანეთს. ყურადღებას მათ არავინ აქცევდა. მხოლოდ იმას კმარობდნენ, ერთს რომ „კუზიანის გიულლუს" ეძახდნენ, მეორეს კი „გიულლუს კუზიანი" შეარქვეს. იმ დღის აქეთ ალიმ მიითვისა გიულლუ და ისე ექცეოდა, როგორც საკუთარ ხალათს ან დანას.

–კახპა, – იყვირა ალიმ, – განა არ მითქვამს, უჩემოდ არავის დაუწვე-მეთქი?

„როცა წინასწარ იცი, – ფიქრობდა ალი, – ვაჭრობას გაუმართავ. ფულს წინასწარ გამოართმევ და თავს არ მოატყუებინებ. გიულლუ კი ბრიყვის ერთია, ამ საქმეს თვითონ თავს ვერ მოაბამს. ესეც რომ არა, განა მამაკაცმა არ უნდა იცოდეს ქალის შემოსავლის ამბავი?" გაბრაზებულმა რამდენიმე სილა უთავაზა გიულლუს. ქალს ფერმკრთალი ღაწვები შეუწითლდა.

–რამდენი გამოართვი?

გიულლუ ზიზღით მიაცქერდა ალის. ცალი ხელი გაწითლებულ ლოყაზე მიიდო.

–არ გამომირთმევია.

–ნუ მიქარავ!

–არ გამომირთმვეია-მეთქი!

–ნუ მიქარავ-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თვალი დამიდგეს, თუ კაპიკი გამომერთვას.

ალიმ ისევ მუშტი შეათამაშა ჰაერში:

– მომეცი-მეთქი, გეუბნები.

უკვე კარგად ჩამობნელებულიყო. ქარი აღარ ქროდა. სიბნელეში ვეება ხეები თითქოს კიდევ უფრო ახლოს მისულიყვნენ ერთმანეთთან. ჩაშავებულ ხეებს შორის ცა აღარ მოჩანდა. უხმო და იდუმალი ყინვა ნემსებივით ჩხვლეტდა მათ ნახევარ შიშველ სხეულებს. გიულლუს ყბა აუკანკალდა.

– თავი დამანებე, – ამოიკვნესა ქალმა.

ალიმ მხრებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია. წელანდელი შიში გაუქრა, ახლა ის უკვე მამაკაცურ ძალას გრძნობდა.

– მითხარი, – იყვირა მან, – თორემ ისე დაგნაყო...

ალის ფრჩხილები ხორცში ჩასობოდა გიულლუს.

– გამიშვი, – ამოიკვნესა გიულლუმ, – გამიშვი...

ამან სულ გააცოფა ალი, ერთხელ კიდევ მოიქნია სისხლში მოსვრილი მუშტი და პირდაპირ სახეში სთხლიშა გიულლუს. გიულლუს ტუჩებზე სისხლის ბუჟუჟები გადმოუვიდა. უბეში დამალული ვერცხლის ლირა გადმოუვარდა და მიწაზე ლაპლაპით გაგორდა.

გიულლუ თავგანწირული ეძგერა ფულს, მაგრამ ალიმ იმარჯვა, დაასწრო და ფულს ფეხი დააბიჯა. ხელებით კი თმაში სწვდა ქალს და დაითრია. მაგრამ მოულოდნელად ალიმ თვალები გადმოყარა. ასე ეგონა, თითქოს სისხლისგან ვიცლებიო. გიულლუ კბილებით სწვდა წვივში, მოდუნებული ფეხიდან ფული გამოაცალა და ისევ უბეში ჩაიდო.

სულშეხუთული ალი ზედ დაეცა გიულლუს და ორვენი მიწაზე გაგორდნენ. წყავის დაჭირხლულ ფოთლებში ჭიდაობა გაიმართა. დროდადრო პირისახით ეხახუნებოდნენ გაყინულ მიწას. ალის ხელები ვერცხლის ლირას ეძებდნენ და გიულლუს თბილ და რბილ უბეში ფათურობდნენ. ერთხანს ორივე ქანცგამოცლილი გაირინდა. პირიდან ორთქლი ამოსდიოდათ. ცოტა ხანს ასე იყვნენ ერთმანეთის გვერდით, შემდეგ ალიმ წელზე ხელი მოჰხვია გიულლუს და თავისკენ მიიზიდა. გაყინული სახეები ერთმანეთს მიეკრო.

ალისა და გიულლუს ათოვდა. ხეებს შორის მოქცეულ ცის ნაფლეთს სინათლე ემატებოდა. ხის ტოტებიც ნელნელა თავს აღწევდნენ სიბნელეს.

ალიმ ლირაც მიიღო და ქალიც დაიმორჩილა. იგი ახლა უსაზღვრო ძალას, სიდიადეს და კაცობას გრძნობდა. ამას გარდა, ერთ ხუთიანსაც მოელოდა ჰოროზისგან.

სწორედ ამიტომ შეაღო ქოხის კარი ასე რიხიანად. ჰოროზ იბრაჰიმის დასისხლიანებული თვალები ალის ვერ შეაშინებდა. რადაც უნდა დასჯდომოდა, ხუთიანი ხელში უნდა ჩაეგდო. რას არ იზამდა კაცი ამ ხუთიანით? ფეხბურთზე წავიდოდა, კვერცხით შეკმაზული შიგნეულის სუპს და ცხვრის მოზრდილ თავს შეჭამდა; ქურთის ყავახანაში ქალალდს ითამაშებდა, ყომარს გააგორებდა, მარჩიელთან წავიდოდა, ძველმანებით მოვაჭრეს ერთ წყვილ ფეხსაცმელს გამოსტყუებდა, დილაადრიან ცხელ ჩაის დალევდა და ქუჩაში მოვაჭრისაგან ხახვით შეკმაზულ ორ ღვეზელს იყიდდა.

ალიმ ველარ მოითმინა, თავი ასწია და ჰოროზ იბრაჰიმს მიახალა:

– ჩემი წილის მისალებად მოვედი.

ჭერზე გავარვარებული ნახშირის წითელი სხივი ციმციმებდა. ბოლი კიდევ უფრო სქლად ეფინებოდა ოთახს.

ჰოროზ იბრაჰიმმა ზულფუ ხელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წაკვრით მოიშორა და მიწაზე დააგორა. შავ ულვაშზე მიკრული პაპიროსი ცეცხლში ჩააგდო და წამოდგა.

ალიმ იგრძნო, როგორ სწვდა ორი ვეება ხელი და გოდორივით მაღლა აიტაცა. შემდეგ რა მოხდა, აღარ ახსოვს. თვალები რომ გაახილა, გაყინულ გუბეში იწვა.

ქარბუქი ჩამდგარიყო. მთვარის სხივი დანგრეულ კედელს ელამუნებოდა და ქუჩაში იფანტებოდა. ყინავდა. დაბალი ქოხების კრამიტის სახურავებზე კატები კნავილით დასდევდნენ ერთმანეთს. ხის დარაბების მილმა სრული სიწყნარე იყო. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არსად ჩანდა. ხალხს დიდი ხანია, ძილისათვის მიეცა თავი. ქუჩები სიბნელეს შთაენთქა. მთვარის შუქი თუ ანათებდა აქა-იქ.

ალი შეიშმუშნა. ყინვისაგან შეწუხებულს დაჟეჟილი ზურგი არც კი გახსენებია. სიცივისაგან გულმკერდი, მკლავები და შიშველი კანჭები ეწვოდა. ალიმ თვალები დახუჭა და, თითქოს სითბოს ეძებსო, მთვარით განათებული ადგილისაკენ გაჩოჩდა. თუთუნისა და თრიაქის ბოლით გაჟღენთილ ფილტვებში ცივი ჰაერი რომ ჩაისუნთქა, თავბრუ დაესხა. მუხლები უკანკალებდა. დილიდან არაფერი ეჭამა და მუცელიც უყმუოდა. ხელები ძლივს აამოძრავა, შარვლის ჯიბე მოიჩხრიკა. ჯიბეში გიულლუს ვერცხლის ლირას რომ წააწყდა, სიხარულისაგან კინაღამ ჭკუაზე გადავიდა. საწყალი ისე იყო დაბეგვილი, რომ გიულლუს ლირა აღარც ახსოვდა. მაშინვე წამოდგა და კილიჩალის[1] აბანოსაკენ გასწია.

მოსახვევში ჩქარი ნაბიჯით მომავალ ხანში შესულ კაცს შეეფეთა. კაცს ცხრა-ათი წლის ბიჭუნა მოჰყვებოდა ხელიხელჩაკიდებული. ორივეს თბილი პალტო და ხელთათმნები ეცვა.

–მეთინ, ხომ არ შეგცივდა? – ჰკითხა კაცმა ბავშვს სწორედ იმ დროს, როცა ალიმ გვერდით ჩაუარა.

–არა, მამა! – მიუგო ბავშვმა და კიდევ უფრო ღრმად ჩაყო ცხვირი შალის მოსასხამში.

ალი ორივეს განცვიფრებული მიაჩერდა. ეს კაცი ამ ბიჭის მამა ყოფილა, ბიჭი კი – მისი შვილი... ასე თბილად აცვიათ და სიცივეზე კი ლაპარაკობენ. ახლა ისინი სახლში მივლენ, საჭმელს შეჭამენ, გასათბობად მაყალს მიუსხდებიან, ლოგინში ჩაწვებიან. რასაც მოისურვებს, ყველაფერი შეუძლია მამას სთხოვოს. ამ ბიჭს მამა ჰყავს, რა უცნაურია... ალიმ არ იცოდა, რა იყო მამა. „ხომ არ შეგცივდა?" ალი ამ სიტყვებით გრძნობდა, მამა ისეთი კაცია, მუდამ შვილზე რომ ზრუნავსო. ნეტავ ყველაფერს უსრულებს? ნეტავ ნამცხვარს თუ უყიდის, ძირი მთვარის სხივივით ყვითელი რომ აქვს და ზედაპირი კი – თოვლივით თეთრი. ჩხუბშიც დაიცავს, ალბათ. თუ დაიჭრება, ჭრილობას შეუხვევს, ატირებულს ცრემლს მოსწმენდს. ალბათ, მთელი სიცოცხლე არ მოშორდება.

ერთხელ, ზაფხულის ერთ თბილ საღამოს, ალიმ და თავუქ ჰასანმა ერთი ბიჭი ნახეს. ბიჭი მამამისს ეძახდა.

–ნეტავ მეც მყოლოდა მამა, – უთხრა ალიმ ჰასანს.

ჰასანმა გულიანად გადაიხარხარა.

–წადი, შენც ერთი! გყოლოდა, თორემ ჰა... ისიც შენსავით ვიგინდარა იქნებოდა.

მაგრამ ალი სხვანაირად ფიქრობდა. მამა ჰყოლოდა და, რა ძაღლიც უნდა ყოფილიყო, რა გაუთლელიც, როგორი ვიგინდარაც, მაინც ბედნიერად იგრძნობდა თავს. თანახმა იყო ცემაზეც და გინებაზეც, ხმას არ ამოიღებდა. რა უშავდა მერე, სამაგიეროდ, რასაც მოი-

[1] კილიჩალი – უბანია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვებდა, ყველაფერს მამას სთხოვდა.

თავუქ ჰასანი:

–მერე, რომ დაბერდება და ერთ დღეს ფეხებს გაჭიმავს, შენ ხომ შავებს არ ჩაიცვამ, არა?

ჩაიცვამდა, რასაკვირველია, ჩაიცვამდა. გლოვა-ტირილი, აბა, რა სირცხვილია. განა ისე კი აკლდა ტირილი, როცა შიოდა, სციოდა ან ჰოროზ იბრაჰიმი უთაქებდა? მამა ჰყოლოდა და, არა უშავდა რა, მომკვდარიყო. თვალებს თავისი ხელით დაუხუჭავდა, ცხედარს სუდარაში გაახვევდა, შემდეგ კი იტყოდა, მამა მომიკვდაო. ამის თქმაც ხომ დიდი ბედნიერება იყო!

ალიმ მეაბანოეს ლირა გაუწოდა, ათი ყურუშიც აჩუქა, ასანთსა და დანას მიმიხედეო და აბანოში შევიდა.

აბანო ხალხით იყო სავსე. ყველა თავის ჭკუაზე მოწყობილიყო. ნახევრად შიშველი ხალხი, საცა კი თავისუფალი ადგილი ენახა, იქ მოკალათებულიყო. აბანოს სველი კედლები უხმოდ გამოსცემდა ხვრინვასა და ფშვინვა-ბურტყუნს, ძილში წამოძახილს და ათასგვარ ხმაურს. ზოგს პირდაპირ სხვისი სხეულიდან ჩამონადენ წყალში წაეყო ცხვირ-პირი. სიცხისაგან დამბალი ჭუჭყი წურწურით მოედინებოდა შიშველი ზურგებიდან.

ალი ფრთხილად მიალაჯებდა. ცდილობდა, ფეხი არავისათვის დაებიჯებინა და იმ ადგილისაკენ მიიწევდა, სადაც დიდი ქვის ტახტი იყო. ნესტიანი, ცხელი ჰაერი თვალებს უწვავდა. ცარიელი ადგილი არსად ჩანდა. ალი მარჯვნივ მიბრუნდა და აუზებისაკენ გასწია.

უცბად წაიბორძიკა და კინაღამ წაიქცა: ვილაცის ათრთოლებული ხელი წვივში სწვდა. ფერმკრთალი სახიდან მოხუცის ნახევრად ღია ცალი თვალი უცქერდა. ალიმ ფეხი გაითავისუფლა, მოხუცს მხარში ჩაჰკრა და მშვიდად განაგრძო გზა.

ამ დროს ალის ერთი ძველი ნაცნობის ხმა მოესმა. ნაცნობი რიზელი[1] მუშა იყო. იგი აუზში იწვა და ყვიროდა:

–კუზიანო, ეი, კუზიანო!

–რა გინდა?

–აქ მოდი, დავეტევით.

ალი ერთმანეთში გადახლართულ სხეულებს ხტუნვა-ხტუნვით გადაევლო და აუზისაკენ წავიდა. წვრილულვაშიანმა რიზელმა ხელები აუზის კედელს მიაყრდნო, მეზობელს ზურგით მიაწვა და ალის ადგილი გაუთავისუფლა.

–სად დაიკარგე, კაცო?

ალიმ მხრები აიწურა, თითქოს სცივაო.

–არსად.

ალი რიზელის გვერდით გაიშხლართა და ზურგი ცხელ ქვას მიადო. გული სიხარულით უფანცქალებდა. აბანოს სიმხურვალისაგან თითქოს სისხლმაც დუღილი დაუწყო.

–გაყინულხარ, – უთხრა რიზელმა.

–გავიყინე.

–ასეთ სიცივეში რას დაეძებდი ქუჩა-ქუჩა?

–არაფერს.

რიზელის მკლავი მძიმედ დააწვა ალის გულზე.

–იბრაჰიმის ქოხმახში არ იყავი?

–კი.

–მერე?

ალიმ ამოიოხრა:

–გამომაგდო.

რიზელმა კიდევ უფრო დააჭირა მკლავი გულზე.

–მაშ, უსაქმოდ ხარ?

–ჰო.

ერთმანეთში ირეოდა სუნთქვა, ლუღლული და ხვრინვა. ეს ყველაფერი აბანოს თაღქვეშ იყრიდა თავს და იქი-

[1] რიზე – ქალაქია თურქეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გუგუნით იფანტებოდა.

რიზელი ერთხანს გაჩუმდა.

– ხვალღამ მოხვალ?

– სად?

– ზეირექის აღმართზე, იქ ერთ ბაყალს დუქანი აქვს. ერთი კვირაა, ვუთვალთვალებთ...

ალის ხმა არ ამოუღია. რიზელი ხელს ნეკნებზე უსვამდა. სათითაოდ დათვალა ალის ნეკნები და ახლა მუცლის ზელა დაუწყო.

– მშიერი ხარ, არა?

– მშიერი ვარ, – უპასუხა ალიმ.

რიზელმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და გამხმარი ბლითის ნატეხი ამოიღო.

– გამომართვი.

ალიმ სასწრაფოდ ჩაკბიჩა და ღეჭვა დაიწყო.

– ფული არ გქონდა?

– მქონდა ცოტა...

– რატომ არაფერი ჭამე?

ალის ისევ ააკანკალა, თითქოს შესცივდაო.

– რა ვიცი... ხვალ დილას...

– რა?

– არაფერი, ისე.....

რიზელმა მხრები აიჩეჩა.

ალი დაორთქლილ პატარა ფანჯრებს მიაცქერდა. ღამე იყო. ხმაურისაგან ყურები უწიოდა. ცხელ ქვაზე მიდებული ზურგი უკვე გაუთბა. ბულისაგან თვალები ეწვოდა.

ნეტავ სად არის ახლა გიულლუ? ვინ იცის, სად არის შეყუჟული, ხელები ალბათ იღლიაში აქვს ამოდებული, რომ არ გაეყინოს. მუხლები მუცელზე მიუკრავს. იქნებ ვინმე ახალი ნახა, ასკერი[1], ქურდბაცაცა, ყავახანის პატრონი ან შეგირდი და მის მკლავებში ნებივრობს? ალბათ, ამ წუთში ვილაც ხელებს უფათურებს უბეში და სპირტისგან აყროლებული ტუჩებით კოცნის.

უკანასკნელი ლუკმა ალიმ გაჭირვებით ჩაყლაპა, კბილებზე ენა მიისვ-მოისვა, ბულისაგან შეწუხებულმა თვალები მილულა და რიზელს მიეკრა.

დიდრონი თევზები[2]

(ნაწყვეტი რომანიდან)

„ქალაქი ესე სითამბული? რომელიც...”
ნედიმი

უკვე თენდებოდა, როცა ვატმანმა საბრიმ მეორე კლასის ტრამვაი შიშლი-სირქეჯი[3] ფარეხიდან გამოიყვანა.

კედლების ძირში მოკალათებული სიბნელე ნელ-ნელა მტრედისფერს იღებდა. ბორბლების ღრჭიალზე სასაფლაოს კართან მიმჯდარი სამი მუშა შეიშმუშნა. ტრამვაიმ წრე დაუარა და სწორედ მათ წინ გაჩერდა. მუშებმა ზანტად ააბიჯეს კიბეზე. კონდუქტორი ფეხმორთხმით იჯდა უკანა სკამზე და ფარეხის კაშკაშა სინათლეს მისჩერებოდა.

– სახელმწიფო ქონებაა, – თავისთვის ჩაილაპარაკა მან, – დღისითაც კი უნთიათ, აზრადაც არავის მოუვა, რომ ჩააქროს...

---

[1] ასკერი – ჯარისკაცი.
[2] იბეჭდება პირველად.
[3] შიშლი, სირქეჯი – უბნებია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა მუშამ წითელი ფუთა გახსნა, პური და ზეთისხილი ამოიღო და ჭამას შეუდგა. მეორემ სიგარეტი გაუწოდა კონდუქტორს:

– გააბოლე, ჯემილ ეფენდი.

შუბლშეკრულმა კონდუქტორმა კოლოფი შეათვალიერა:

– რა არის ეს?

– „ბირინჯი".

– ვერ მოვწევ, ღამე მახველებს.

– კეთილშობილებში ჩაეწერე თუ რა...

საბრიმ მშიერი თვალები მოავლო ვაგონს. შემდეგ კარი მაგრად მიაჯახუნა და მიბრუნდა. მუხრუჭებისგან გათავისუფლებული ბორბლები ლიანდაგზე გაგორდა. ქალაქის პირველი ტრამვაი მთელი ძალით გაქანდა ცარიელ ქუჩებში.

საბრი თავს ძალას ატანდა, არ ჩამეძინოსო.

– ეგ ძაღლისშვილები, ეგა, – ჩაიბურტყუნა მან, – არ დამაძინეს... ბაყალ ჰასან ეფენდის მთვრალმა სიძემ შუაღამისას ისევ ფეხზე დააყენა მთელი მეჯიდიექოი. საწყალმა მისმა ცოლმა ცემატყეპის მთელი კვირის ულუფა ერთბაშად იგემა. პენსიონერ ყრუ ალი ბეის გარდა, მთელ უბანს ძილი დაუფრთხა. ვაი, იმ კახპას... რამდენი წელია, ამ უბედურებას იტანს. ნეტავ რამ შეაყვარა ის ძაღლი, ისა, კაცმა არ იცის.

ჰასთანეს, ბომონტის და ოსმანბეის გაჩერებები სწრაფად ჩაიქროლა. ფანგალთის გაჩერებაზე ფერიქოის უბნიდან ჩამოსულ ერთ მოხუც ქალსა და რამდენიმე მუშას გაუჩერა. წინა კარიდან ამოსულ ქალს პაპიროსის, ოფლისა და მიწის სუნი შემოჰყვა. თეთრად ალაპლაპებული ლიანდაგები მოლურჯო სინათლეზე მიიკლაკნებოდა.

ფანგალთისა და ჰარბიეს ისარს რომ გასცდა, საბრიმ ისევ გააქროლა ტრამვაი. სურბაგოფის დალმართი სულ ფრენით ჩაიარა და თაქსიმის მოედნისაკენ მიმავალ ალმართს შეუდგა. ვაგონში მოხუცი ქალისა და კონდუქტორ ჯემილ ეფენდის გარდა, ყველა თვლემდა. ერთი მუშა ორადგილიან სკამზე გაწოლილიყო. მშვიდად ეძინა, როგორც ერთადგილიანი საწოლი ვაგონის მგზავრს. ჯემილ ეფენდიმ სიგარეტს მოუკიდა, კარი გამოაღო და საბრის გასძახა:

– ნუ მიერეკები, კაცო!.. მერე საყვედურს გეტყვიან, ადრე დაბრუნდაო.

საბრის ხმა არ ამოუღია. ათათურქის ძეგლის წინ მეშვიდედ დაგებული ასფალტის მონაკვეთიც გაიარეს. ემინონუმდე აღარაფერი რჩებოდა. ასფალტის ამ ნაკერებს საბრი შორეულ ნათესავებზე უფრო კარგად იცნობდა. ზეპირად იცოდა ქვაფენილის ფერი, მოყვანილობა, რომელ უბანში რომელი მენაგვე უფრო კარგად მუშაობდა. თაქსიმიდან რომ გაუხვიეს, თავისთვის წარმოთქვა:

– იფ, გენაცვა, რა სისუფთავეა. არა, მაშ, შიშჰანეს უბანში იქნება ასე!

ფარმაქქაფის გაჩერებაზე ვაგონში მძინარე მუშები ძლიერმა ბიძგმა გააღვიძა. ორადგილიან სკამზე წამოწოლილი ახალგაზრდა ასევე ბრტყლად გაიშოტა იატაკზე. მოხუც ქალს ბოხჩა დაეშალა. დაბნეულმა კონდუქტორმა ჯემილ ეფენდიმ ანთებული სიგარეტი ჯიბეში ჩაიდო:

– უჰ, რა მუხრუჭია!

საბრი ძირს ჩახტა. მან ბრაზით გააყოლა თვალი კატას, ქვაფენილზე რომ მიხტოდა და სულშეხუთულმა ამოისუნთქა:

– კიდევ კარგი, არ გავსრისე...

შემდეგ უკან აბრუნდა და სახეგანცვიფრებულმა უნიათოდ აცნობა მგზავრებს, გადარჩაო.

შუშაზე ცხვირმიდებულმა მუშამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– გადარჩა, მაგრამ კუდი კი დაკარგა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროსპექტის პირას მდგარ სახლებს ღრმად ეძინათ. მხოლოდ ერთ მათგანში, მეორე სართულზე, გაიღო ფანჯარა. ვარდისფერპერანგიანი, ბამბასავით თეთრი ქალი რაფაზე გადმოიხარა:

– კუდი მოსწყვეტია, – თავისთვის ჩაილაპარაკა მან, – საწყალი კატა.

შემდეგ თითქოს შეცივდაო, შეათრთოლა, ოთახში შებრუნდა, ფანჯარა მიხურა და ისევ მიმავალი ტრამვაის სინათლეს გააყოლა თვალი.

გაზაფხულის ცხელი მზე ამოდიოდა.

სილვა ზანტად გაიზმორა. უკვე ამდგარიყო... ისევ ლოგინში ჩაწოლა აღარ უნდოდა. შემდეგ საბანში გახვეულ მძინარე მამაკაცს მიუბრუნდა. ერთხანს მის ხვრინვას მიუგდო ყური. სახეზე ზიზღის ჩრდილმა გადაუარა.

ღამე რაღაც გაუთავებლად მოეჩვენა. მამაკაცის უსასრულო შემოტევების დროს დუმდა და ცდილობდა, მხიარული სახე მიეღო. როცა მის მკლავებზე და მკერდზე მამაკაცის ტუჩები დაძრწოდა, ისე შეწუხდა, ეგონა, მოვკვდებიო. „ოჰ, ერთი ეს ღამე გათავდებოდეს," – ფიქრობდა ის და პატარა ქალაქ სამათიაში აპირებდა დეიდასთან წასვლას დასასვენებლად. დეიდას ჰგონია, რომ ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მუშაობს და, სამსახურთან რომ ახლოს იყოს, ერთ კარგ ოჯახში ცხოვრობს პანსიონზე. საწყალ მოხუცებულს ძალიან უხარია, როცა მისი საყვარელი დისშვილი გამოჩნდება ხოლმე ფულებით ხელში.

სილვა სარკისკენ წავიდა. მკლავებსა და მკერდზე ლურჯი ლაქები დაითვალიერა. შემდეგ ისევ ფანჯარას მიაშურა. მოპირდაპირე სახლში სამკერვალო „ვერცხლის მაკრატელი" იყო მოთავსებული. მუშებს ფანჯრები გაეღოთ და სახელოსნოს ანიავებდნენ. უკვე გათენებული იყო. „ადრე გამაღვიძეო, კი მითხრა, მაგრამ – გაიფიქრა სილვამ, – ვაითუ, გაბრაზდეს?" საწოლს მიუახლოვდა. ეშინოდა, რაც მთელი ღამე დუმილით მოიპოვა, ამ რამდენიმე წუთში არ დაეკარგა. მამაკაცს ფრთხილად დაჰკრა მხარზე ხელი.

მამაკაცი შეიშმუშნა, თვალები გააღო.

– ადექი, ჩემო ტკბილო, გათენდა.

შაქირ ბეიმ ძილისაგან დაოსებული თვალები იქაურობას მოავლო. აშკარად ეტყობოდა, რომ ვერც ვერაფერსა ხედავდა და არც არაფერს გრძნობდა. ჩაახველა.

– დიახ, გათენებულა... აკი, გითხარი, ადრე გამაღვიძე-მეთქი, – წაიბურტყუნა მან თავისთვის და გაიზმორა, თვალები მოიფშვნიტა და დაამთქნარა. – გათენდა?

– გათენდა, მაშ!

– რომელი საათია?

– შვიდის ნახევარი.

– უჰ, რამდენი დრო გასულა.

– ვერ გავბედე გაღვიძება, მაგრამ მერე ვიფიქრე...

– კარგი გიქნია, კარგი, ჩემო სულის კლიტევ.

შაქირ ბეი უცბად წამოხტა ლოგინიდან. ხელსაბანისკენ გაიქცა და საჩქაროდ პირი დაიბანა, შეიმშრალა კიდეც და ეშმაკურად შეხედა სილვას:

– ძალიან მწყინს, რომ ასე ადრე უნდა წავიდე და დაგტოვო, მაგრამ...

– მართლა?

– მართლა. რას იზამ, საქმემ ასე იცის... განა საქმე შენს გემოზე დაგაცლის არშიყობას...

– შენ მუდამ ეგრე ამბობ.

– მოდი, ერთხელ კიდევ გაკოცო.

სილვას არ უნდოდა, მაგრამ არაფერი აგრძნობინა და მიუახლოვდა. მამაკაცმა წელზე შემოჰხვია ხელი, სილვას ბაგეებს დაეწაფა და ერთხანს არ მოეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა. ბედნიერი და კმაყოფილი გალმა სახლის ფანჯრებში არეკლილ მზეს მიაშტერდა და ერთხელაც გაიზმორა.

– ოჰ, რა კარგი იყო ეს ღამე.

თვალი ჩაუკრა. სილვამაც გაუცინა. „მეტი აღარ შემიძლია, – გაიფიქრა მან, – ნეტავ როდის წაეთრევა?"

– შენ მე არ გიყვარვარ.

შაქირ ბეის გაეცინა. შარვლის სამაგრებს იკეთებდა და თან სიცილით კვდებოდა:

– არ მიყვარხარ. შენც თქვი, რაღა. ვგიჟდები შენი გულისთვის, ჩემო პატარავ...

– რომ გიყვარდე, ყოველთვის მოხვიდოდი.

– ხომ იცი, რომ ცოლი მყავს, ჩემო პატარა. ორ კვირაში ერთხელ თუ დავიძვრენ თავს. ისიც რა გაჭირვებით... რას არა ვჩმახავ, რომ იცოდე, შენი გულისთვის, რას არა.

– წადი, წადი, ტყუილად ნუ ცდილობ ჩემს დარწმუნებას.

იგი ხარხარით მიუახლოვდა ქალს და, თავისი სიყვარული რომ ეჩვენებინა, ერთხელაც ჩაეხუტა და ისევ დაეწაფა ქალის ბაგეებს. „ნეტავ არ მეთქვა, – გაივლო გულში სილვამ, – თუმცა რა მექნა? ჩაცმის დროს ცოტა გული უნდა გამეკეთებინა. წუწუნს ხომ არ მოვყვებოდი".

მამაკაცმა კომოდზე ორმოცდაათი ლირა დატოვა და წავიდა. სილვამ ფულს შეხედა.

– წავიდა, – ჩაილაპარაკა მან თავისთვის, – კაცი, რომელიც მუდამ ოცდაათ ლირას ტოვებდა ხოლმე, ორმოცდაათ ლირას ტოვებს. მეტი აღარ მოვა. დიახ, წავიდა და აღარ მოვა.

შაქირ ბეი სახლის ბნელი სადარბაზოდან მზიან ქუჩაზე გავიდა და ღრმად შეისუნთქა ჰაერი. იგრძნო, რომ სხეულში ყოველი ძარღვი ცალ-ცალკე გამოუთავისუფლდა და სიმსუბუქე დაეუფლა. ფეხებში სასიამოვნო მოთენთილობამ და ბედნიერების მომგვრელმა ტკივილმა დაუარა. ქალთან ღამენათევს ტანსაცმელზე თავისებური სურნელი ასდიოდა. იგი ბარბაცით გაუდგა გზას გალათასარაის უბნისკენ. ამ დილას საბაჟოდან ასი ათასი ლირის საქონელი უნდა გამოეტანა, სულ ცოტა, ათი ათას ლირას მაინც გაირტყამდა. „ცოლმა რომ იცოდეს, ნახევარ საათში ათი ათას ლირას ვაკეთებ..." – გაიფიქრა მან და გაეცინა. ნანობდა, რომ მთელი ერთი უშველებელი ღამე ორმოცდაათ ლირად გაყიდა. ქვაფენილს სიგრილე ასდიოდა. ბეიოღლუს უბანში დილას სუფთა ჰაერი იყო. ღრმად ჩაისუნთქა. „წადი, წადი, გენაცვალე, – განაგრძო მან ფიქრი, – ის კახპა, ისა... ბევრიც მივეცი. ოცდაათზეც თანახმა იყო... ახლა ახალი უნდა ვეძებო, მომწყინდა ეგ ქალი..."

საათს დახედა. შვიდი საათია. „ტაქსი ათ წუთში კანტორაში მიმიყვანს. ცოტა დრო კიდევ მაქვს. კაფე „თოქათლიანში" ერთ კაკაოს დავლევ..." გადაწყდა. ძალიან შიოდა. გზად მიმავალი, კუთხეში მეთუთუნესთან მივიდა და ერთი კოლოფი „იენიჯე" და გაზეთი „იენი ისთანბული" გამოართვა.

მოხუცმა მეთუთუნემ კოლოფი და გაზეთი მიუგდო. მუშტრისათვის საქონლის უშნოდ მიგდება ძალიან სიამოვნებდა. არც სიგარეტს და არც ხურდას არასდროს ხელში არ მიაწვდიდა ადამიანს. ყოველთვის ასე მიუგდებდა ხოლმე. კუჭით ავადმყოფს მუდამ სახე ჩამოსტიროდა.

გაცინებული არასდროს არავის უნახავს. იჯდა პატარა დუქანში, რომელშიც კაცი ძლივს მობრუნდებოდა, ხმას არ იღებდა და აწყობილ მანქანასავით აწვდიდა პაპიროსს ან გაზეთს. გაყვითლებული სახე და თეთრი ულვაშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა. „ჰარილაოსისაგან ისევ არ მოსულა წერილი, – ფიქრობდა იგი, – ნეტავ რა ქნა ბიჭმა? ავად არ იყოს და...”

– ერთი კოლოფი „ბაფრა”, – მოესმა მუშტრის ხმა.

ჰარილაოსი ორი წლის წინ ათენში გაგზავნა ბიძასთან. ფიქრობდა, ეს ჩემი შვილი ბერძნულ უნივერსიტეტს დაამთავრებს და საბერძნეთის მთავრობის სახელოვანი ჩინოვნიკი გახდებაო. შემოსავლის ნახევარს მუდამ შვილს უგზავნიდა, მეორე ნახევარი კი ძლივს ჰყოფნიდათ თვითონ და თავის მოხუცებულ ცოლს.

– მომეცი ერთი კოლოფი „გელინჯიქი” და ერთი ჟურნალი „ჰაფთა”.

ის თარლაბაშის უბანში ცხოვრობდა ხის ერთ პატარა სახლში. უკანასკნელი დღეები გაჰქონდა. როცა ჰარილაოსისაგან მოდიოდა წერილები, საწუწუნოც არაფერი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო, წერილს დაჰგვიანებოდა, რომ მაშინვე დაუვლიდა ტკივილები. თითქოს ფრჩხილებით აკაწრავდა ვინმე კუჭს. ასეთ დროს ეჩვენებოდა, რომ ხის პატარა სახლი ძალიან ვიწრო იყო და შიგ აღარ დაიდგომებოდა; ცოლის დამზადებული საჭმელი ისეთი უგემური იყო, რომ არ იჭმებოდა, ხოლო თერქოსის ტბის წყალი, რომელიც ონკანში მოდიოდა, მღვრიე იყო და არ დაილეოდა.

– Beyer`s Mode მოვიდა?

ასეთ სულელურ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად თავს არ იწუხებდა. უარის ნიშნად თავს გაუქნევდა და ეგ იყო. ეჰ, ჰარილაოს, ერთი გაცოდინა, რას უძლებს მამაშენი...

– ორი კოლოფი „ბირინჯი”.

მოხუცმა ხმა იცნო. თავი ასწია. დიახ, ეს რეფიქ ბეი იყო. თხუთმეტი წელია, ყოველ დილით ორ-ორ კოლოფ სიგარეტს ყიდულობს და მისუსტებული ნაბიჯით კაფე „ნისუაზასკენ” მიემართება. გაზეთს არ ყიდულობს. როცა გული ძალიან შეაწუხებს, ჭიქა წყალს ითხოვს. მოხუცი მეთუთუნე, მართალია, არავის არაფრად აგდებს, მაგრამ თავისი ტოლი ამ ნაცნობის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. ყველამ იცის, რომ მას ძალიან მწარე ცხოვრება აქვს გამოვლილი.

რეფიქ ბეი ათრთოლებული ხელებით ჩაიწყობდა ხოლმე ჯიბეში ორ კოლოფ სიგარეტს და გზას განაგრძობდა. დროდადრო გაჩერდებოდა და დიდხნობით ისვენებდა. ათიოდე ნაბიჯის სავალს ოცი წუთი მოანდომა, კაფე „ნისუაზაში” შევიდა, ფანჯარასთან დაჯდა თავის ჩვეულ ადგილზე და დაღლილი მზერა ქუჩას მიაპყრო.

თხუთმეტი წელია, რეფიქ ბეი იმედს არ კარგავს და ელოდება. ქალმა თხუთმეტი წლის წინ ერთი პატარა უსიამოვნება მიზეზად მოიდო და წავიდა. მას ყვითელი თმები და აღტყინებისაგან გალურჯებული ტუჩები ჰქონდა. რეფიქ ბეიმ თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია. იფიქრა, როგორც ყოველთვის, თავის დედასთან წავიდა და საღამოს დაბრუნდებაო. მაგრამ, როცა ის არც იმ დღეს და არც მეორე დღეს აღარ გამოჩნდა, აღელვებული გაიქცა სიდედრთან და ცოლისდებთან. სად არ ეძებეს, სად არ მოიკითხეს, მაგრამ არავის უნახავს. ქალი იმისთვის წასულა, რომ არ დაბრუნებულიყო და კვალიც არავითარი არ დაუტოვებია. რეფიქ ბეის ეგონა, გაგიჟდებოდა. მთელი დღეობით არაფერს ჭამდა, არ ეძინა, იცქირებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ყურს უგდებდა, მაგრამ არაფერი ესმოდა, ქუჩაში უსაქმოდ დაეხეტებოდა. სამსახურს თავი დაანება და საკუთარი ტანსაცმელივით შეჩვეულ კანტორაში აღარ შესულა. ცხოვრობდა მამისეული სახლისა და რამდენიმე დუქნის შემოსავლით, დღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიდღე დაბლა ეშვებოდა. ბერდებოდა. ბოლოს იგრძნო, რომ ძალა აღარ ჰყოფნიდა ქერათმიანი და ლურჯბაგეებიანი ქალის საძებნელად და გადაწყვიტა, „ნისუაზის" ვიტრინასთან მისჯდომოდა მაგიდას და დალოდებოდა. სტამბოლი დიდი ქალაქია, მაგრამ სადაც უნდა ეცხოვრა ადამიანს, ერთხელ მაინც გაივლიდა ბეიოღლუს უბანში. მით უმეტეს, ისეთი ოქროსთმებიანი და ლურჯბაგეებიანი ქალი... რეფიქ ბეი თხუთმეტი წელია, ერთ კაფეში, ერთსა და იმავე მაგიდასთან ჯდება და ერთ ქუჩას გასცქერის. უკვე თმები გაუთეთრდა, წელში მოიხარა, ტანსაცმელი შემოაცვდა. სამაგიეროდ, გულში დაბუდებული გრძნობა ოდნავაც არ განელებია, უიმედობისათვის ადგილი არ დაუთმია. ამ ხნის განმავლობაში იმ ქუჩაზე არაერთი გაჭაღარავებული, ტუჩებჩამოვარდნილი ბებერი ქალი დაუნახავს. რეფიქ ბეის მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია... ის ოქროსთმიან, ლურჯბაგეებიან ქალს სდარაჯობდა. თხუთმეტმა წელმა განვლო, მაგრამ ქალს, რომელსაც ის აქ ელოდა, არ ჩამოუვლია.

რეფიქ ბეი ქუჩას ინსტინქტით, უთვალისჩინოდ გაჰყურებდა. გამვლელები ვერ ხვდებოდნენ, რა წერტილს მისჩერებოდა ამ მოხუცის გაციებული მზერა. მართლაც და, ცოცხალს ის აღარაფერს უმზერდა. მას თვალწინ ედგა პირველი სიყვარული, ოჯახური ცხოვრება, სატრფოსთან მარტო დარჩენის პირველი ღამე... ბატისტის თეთრეულის პირველი შეხება, რომელიც მათ გახურებულ სხეულებს სიგრილეს ჰგვრიდა... პირველი კოცნა, პირველი შეერთება... ყველა ეს პირველი განცდა ახლად გამოჩეკილ პეპელასავით დაფარფატებდა მის გონებაში. პირველი განცდები, სულ პირველი განცდები...

ოდნავ დაშაქრული ყავა უკითხავად მოუტანეს და წინ დაუდგეს. გაისმა ტელეფონის წკრიალი. ყურმილი მსახურმა ქალმა აიღო.

– Oui, Madame, ici Niceoise...

– ...

– Monsieur David n`est pas, troisieme esage; je le sais.

– ...

– C`est compris Madame.

მადამ დავიდმა ტელეფონის ყურმილი დადო და კედლის საათს შეხედა. რვის ნახევარი იყო.

– ნამცხვრის მოტანამდე, – გასძახა მან მოსამსახურე ქალს, – კაკაო აადუღე. ბატონი საცაა, ადგება...

შემდეგ ფანჯარა გამოაღო და ჩაილაპარაკა:

– დღეს სიცხე იქნება. ნაშუადღევს ელიზასთან წავალ, ბავშვებსაც წავიყვან, კორტებზე ცოტა ჩოგბურთს ითამაშებენ.

საწოლი ოთახისკენ გაემართა. კარი გამოაღო. მესიო დავიდი ხვრინავდა. მადამ დავიდს გაეღიმა. გვიან დაწვა საწყალი, იძინოს ცოტა... მესიო დავიდს წინა ღამეს ერთი ამერიკული ფირმის წარმომადგენელი ჰყავდა სტუმრად სასტუმრო "პარკოტელში". მადამ დავიდმა კარი ფრთხილად მოიხურა და თავისთან დაბრუნდა. სიმღერას ღიღინებდა ერთი საყვარელი ფილმიდან, Goodbye , Amanda...

– კაკაო მზადაა, მადამ, – მოახსენა მსახურმა ქალმა.

– მართლა? მესიო ჯერ არ გამოსულა, ცხლად შეინახე... Goodbye, Amanda...

ველარ მოითმინა, მაგნიტოფონი ჩართო. ოთახს ტენორის ხმა მოეფინა: Adios, adiö, adiyuuu...

ქვედა სართულზე მცხოვრები მუნიციპალიტეტის მოსამსახურის, სადიჰ ბეის, ცოლი უცბად წამოხტა ლოგინიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დასწყევლოს ღმერთმა, ჯერ არ გათენებულა და უკვე დაიწყეს. ბავშვს გააგიჟებენ. აიშე, ადი ერთი...

თხუთმეტი-თექვსმეტი წლის პატარა შინამოსამსახურე მაშინვე გაიქცა. კიბე ტყუპ-ტყუპად აირბინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტენორის ხმა დადუმდა.

ფეხის წვერებზე შემდგარი ჯემილე ჰანუმი მურადის სამუშაო ოთახისაკენ გაემართა. კარი ოდნავ გამოაღო. წიგნებსა და რვეულებში ჩაფლულმა მურადმა თავი ასწია:

– რა არის, დედა?

– აჰ, შვილო, ხელს ხომ არ გიშლიან? ზემოთ რომ გადარეული ქალია, ისევ რადიო ააყვირა. აიშე გავგზავნე და გავაჩუმებინე.

მურადს გაეღიმა:

– არ მიშლიან, დედიკო, ნუ წუხდები... წადი, ახლა მარტო დამტოვე...

– ღმერთმა გონება გაგიხსნას, შვილო.

ჯემილე ჰანუმმა ისევ მოიხურა კარი. აიშე ქოშინით ჩამოვიდა მაღლიდან. ის ხმამაღლა შეუდგა თხრობას:

– გვაპატიონო, მითხრა, არ ვიცოდიო, – თქვა...

ჯემილემ თვალების ბრიალით შეუტია აიშეს:

– რა გაყვირებს, გოგო, პატარა ბატონი მეცადინეობს, განა რამდენჯერ გაგაფრთხილე!

„ამ მადამს, – ფიქრობდა თავისთვის ჯემილე ჰანუმი, – როგორმე მოვლა უნდა... თორემ ამ სახლში ჩემს შვილს მეცადინეობას არ დააცდიან... გვაპატიონო, უთქვამს, არ ვიცოდითო. ჩემს ქმარს ჯარიმა რომ არ გადაეხდევინებინა თავზე ხალიჩის დაფერთხვისთვის, რას გააჩერებდი... ეშინიათ ნამდვილად... უნდა ეშინოდეთ კიდეც..."

სალიჰ ბეი მკლავზე ჯოხგადაკიდებული გავიდა კარში:

– ჰანუმ, მივდივარ, – გასძახა მან ცოლს. – ცოტა დამაგვიანდება ალბათ, ნუ შეგეშინდებათ.

– ო, ბატონო, ნუ ხმაურობთ, გეთაყვა. ბავშვი მეცადინეობს.

სალიჰ ბეის პასუხი არ გაუცია. კარში ფრთხილად გავიდა. კიბეზე მძიმედ დაეშვა. „იმეცადინოს, – გაიფიქრა მან, – ბოლოს და ბოლოს, ჩემნაირი მოსამსახურე უნდა გახდეს, ხომ?.. მადლობა ღმერთს, ბიჭმა არ იცის, სად მივა საბოლოოდ, თორემ მთელ წიგნებს დახურავდა და, ღმერთმანი, სტრიქონსაც აღარ წაიკითხავდა".

სალიჰ ბეი, რომელიც ეროვნული დაზღვევის კანონის მიხედვით თვეში ორმოც ლირას იხდიდა ბინის ქირას, ზანტად გავიდა ქუჩაში. ერთი დღეც არ ახსოვს თავის ცხოვრებაში, რომ სიხარულით წასულიყო სამსახურში. წლების მანძილზე ყოველ დილით ფეხის თრევით მიაბიჯებდა ამ ქვაფენილზე. გულში მუდამ ახალი დღის დასაწყისის წუხილი ჰქონდა. „დარდი, დარდი, დარდი, – ამბობდა ხოლმე თავისთვის, – საღამომდე დარდს უსმინე, დარდსა და გაჭირვებაზე ილაპარაკე... ყველას თავისი დარდი აქვს, დამქირავებელს, მმართველს, მოსამსახურეს..."

ის მძიმედ მიაბიჯებდა გალათასარაისაკენ. ხშირად ალაჯამის გაჩერებამდე მისვლა ეზარებოდა და გალათასარაის ფოსტის წინ ჯდებოდა ხოლმე. დილობით მოძრაობის მომწესრიგებლები არ იყვნენ. ტრამვაი თავის ჭკუაზე მიდიმოდიოდა, ფოსტის წინ არ აჩერებდა. „შევახტები და ის იქნება, – გაიფიქრა მან, – აი, მოდის კიდეც ჰარბიე-ფათიჰი, თანაც მეორე კლასისა..." სალიჰ ბეი გაიქცა. ის იყო, გაქანდა შესახტომად, რომ ყურებში მუხრუჭების საშინელი ღრჭიალი ჩაესმა. შიშისგან დაბნეული გვერდზე გახტა და ზედ მიასკდა ფარს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზეც ეწერა: „მოძრავ ტრანსპორტში ასვლა და ჩამოსვლა აკრძალულია".

– თვალები არა გაქვს, კაცო?

1949 წლის მოდელის კადილაკიდან თავი გამოეყო ახალგაზრდა კაცს და გაბრაზებული შემოსცქეროდა. მშვიდ ვითარებაშიც კი თავგზააბნეულ სალიჰ ბეის სულ მთლად დაებნა გონება. „არა, ბრმა არა ვარ, შენ კი რა, ბრმა ხარ? წინ ვერ გაიხედავ? რა უბედურებას ეძებ ამ დილაადრიან, შვილო? აქ საჯირითო ხომ არ გგონია. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა მანქანის ჭენება. იცი, მე ვინა ვარ? მუნიციპალიტეტის უფროსი... მეექვსე უბნის უფროსთან შევხვდებით". ეს სიტყვები ელვის სისწრაფით იბადებოდა და ქრებოდა მის თავში. გაბრუებულმა ერთი მათგანი ამოიჩემა და წარამარა იმეორებდა:

– აქ საჯირითო ხომ არ გგონია?

– თუ ჩამოვედი, გაგაგებინებ, საჯირითოა თუ საბურთაო.

ტრამვაი იმიტომ იყო გაჩერებული, რომ უკან ხმაური გაისმა. სალიჰ ბეი გამოერკვა. შიშისა და ბრაზისგან კანკალს აეტანა. ბაქანზე შეხტა და გარეთ გაიხედა.

– მეექვსე უბნის უფროსთან გაიგებ, ვინცა ვარ...

მანქანაში მჯდომმა ახალგაზრდამ გაზს უმატა. ტრამვაის რომ გაუსწორდა, მოიხედა:

– ჩემგან მოკითხვა გადაეცი, – მიაძახა მან სალიჰ ბეის გასაბრაზებლად.

– ჩეთინ, ბიჭო, კინაღამ არ გასრისე საწყალი... – ზანტად ჩაილაპარაკა მანქანაში უკან მჯდომმა აიდინმა.

– ნეტავ გამეჭყლიტა.

აიდინის მკლავზე მისვენებულმა მთვლემარე ბერნამ თვალები გაახილა.

– რა ამბავია, გავაუთოეთ ვინმე?

– არა, მაგრამ... არც არაფერი დაეკლდა.

– ცოდოა.

ჩეთინმა გადაიხარხარა.

– რა არის ცოდო... ქვეყანას ერთი ბებერი მოაკლდებოდა.

ჩეთინი იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ახალგაზრდებმა დაუყოვნებლივ უნდა მოსპონ ყველა მოხუცი. მანქანამ ინგლისური სასახლის პირდაპირ გაუხვია და სახაშესთან გაჩერდა. შუალამემდე ბუიუქდერეს უბანში იყვნენ და „ბეიაზფარქში" სვამდნენ. შემდეგ „ლოდიში" გაათენეს. უძილობისა და სასმელისგან გამოთაყვანებული იყვნენ. შინ ასეთი გატრეტილის მიყვანას აიდინმა არჩია, თავისი საცოლე ბერნა ხაშის საჭმელად წაეყვანა და გამოეფხიზლებინა.

– ადე, – ჩასძახა მან ბერნას, – მართლაც, რა მაზალო ყოფილხარ, ორმა ჭიქამ კისერი მოგტეხა.

ბერნა მთქნარებით წამოდგა. ჩეთინი უკვე მეხაშესთან იყო შესული... თავისი ამხანაგი ერთობ რომანტიკოსად მიაჩნდა, მისსა და ბერნას სიყვარულს დასცინოდა ხოლმე. თვითონ საკმარისად რეალისტი ახალგაზრდა გახლდათ. სკოლაში შვიდი წლის მეტი ვერ გაძლო. მოწმობა საშუალო სკოლის დაუმთავრებლად იგდო ხელთ. მთელი მისი მიზანი იყო, ორი ტაქსი ჰყოლოდა სამუშაოდ გაშვებული. ნებისყოფაც ჰქონდა. მანამ მოითმენდა, სანამ მოხუცს არ აიძულებდა, სარფიანი საქმისათვის მოეკიდა ხელი და თავისი ცოტაოდენი ფულის ნაწილი ტაქსის საქმეში დაებანდებინა. რამდენჯერ უცდია დაერწმუნებინა, რომ სწავლა არაფერს იძლევა. რასაც მოსამსახურე თვეში იღებს, იმდენს ტაქსის შოფერი ორ დღეში ღუნავს... მაგრამ მოხუცის მორჯულება არც ისე ადვილი იყო. სკოლის გამო ძალიან ემდუროდა. ის არც სხვა საყვედურებს ერიდებოდა. მამა რომ საყვედურებს მოჰყვებოდა, ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინიც მაშინვე ეტყოდა, განა შენ თვითონ სწავლით იშოვე ფულებიო. მართლაცდა, მოხუცს დაწყებითი სკოლაც არ დაუმთავრებია, მაგრამ მცირეოდენი მილიონები მაინც ჰქონდა. მანაც იცოდა, რომ ფულის შოვნასა და სწავლას შორის არავითარი კავშირი არ იყო. ისე კი, გულით უნდოდა, რომ ნასწავლი შვილი ჰყოლოდა.

ჩეთინი მამის ასეთ განცდებს არაფრად დაგიდევდათ. მოხუცი, მართალია, ტაქსის საქმეში საჭირო სახსრებს არ აძლევდა, მაგრამ ჯიბის ფულს არ აკლებდა. ამ მხრივ არავითარი გაჭირვება არ ჰქონდა. ბარიდან ბარში, სამიკიტნოდან სამიკიტნოში დადიოდა და თავის გემოზე ცხოვრობდა. მოხუცის საქმე უკვე წასული იყო. ცას ხომ არ გამოეკერებოდა. ერთ დღეს ისიც წავიდოდა ამ ქვეყნიდან. მაშინ კი ჩეთინი ორ ტაქსის კი არა, ოცს აამუშავებდა.

აიდინი მკლავში ეწეოდა ბერნას და ცდილობდა, დუქნის გაქონილ კარს არ გახახუნებოდა. სახაშის პატრონს, რეჯეფ ქორქმაზს, ცალი ხელი პიჯაკის სახელოში გაეყარა და მეორეს ეძებდა გამწარებული. ამ დილას სასაკლაოზე უნდა წასულიყო. მებითუმესთან ანგარიშის გასასწორებლად საფულეში ორი პრიალა ასიანი ედო. „დალოცვილი ფული არასდროს არ დაძველდება, – ფიქრობდა იგი, – ბაზარზე რამდენი ახალი ფული ტრიალებს".

– ამ ბატონებს მიხედე, – გასძახა მან ერთ თავის შეგირდს.

ქუჩაშიც კი მარმარილოს ქვაბით ჩადგმული შიგანი და შამფურზე წამოგებული ცხვრის თავები უტრიალებდა გონებაში. თუნუქის სათუთუნიდან სიგარეტი ამოილო და ქუჩაში გავიდა.

სტამბოლის ქუჩებში გაზაფხულის ცხელი დილა თუხთუხებდა.

რეჯები ინგლისის საკონსულოს სქელ კედელს გაჰყვა ხახუნით და თავქვე დაეშვა. ჯიბეში ასანთს ეძებდა. შეიგინა კიდეც. „მოსამსახურეები ყოველთვე ახალმოჭრილ პრიალა ფულს ეზიდებიან ბაზარზე. ეს არის ახალი ფულის სიუხვის მიზეზი". რეჯები მისკენ მომავალ ახალგაზრდას გადაელობა.

– თუ შეიძლება...

ადვოკატმა ჯემილმა თავისი სიგარეტი გაუწოდა. რეჯებმა ქონიანი თითები ჩაავლო სიგარეტს, რამდენჯერმე ღრმად მოქაჩა და სიგარეტს მოუკიდა.

– გმადლობ.

ადვოკატ ჯემილს ხმა არ ამოულია. ცოტა გაიარა და გადააგდო. ბეიოღლუს უბნის სასამართლოში საქმე ჰქონდა გასარჩევი. „მოსამართლე თერთმეტის თხუთმეტ წუთზე ადრე არ მოვა. მანამდე სად გავატარო დრო, – ფიქრობდა ის. – ამინდიც რა კარგია... ინონიუს ბულვარისკენ წავალ". სასამართლოდან გამოსვლისთანავე „საჭაშნიკისკენ" უნდა გაქცეულიყო, სუკი ეჭამა და ლუდი დაეყოლებინა. ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა დესპინეს წაყვანა და ბუიუქდერეში წასვლა. საღამოს კანტორაში უნდა ყოფილიყო.

„შენც ერთი... – იფიქრა მან, – ერთ დღეს ავდგები და არ წავალ. არავინ მელოდება..." ორჰან ველის[1] სტრიქონები გაახსენდა: „ასეთ ამინდში გადავდექი სამსახურიდან ევკაფების[2] სამმართველოში". ბუიუქდერეს სიამოვნებაზე უარის თქმა და ნაშუადღევს კინოში შესვლაც მშვენივრად შეიძლებოდა. კინოები ახლა ორ-ორ ფილმს უჩვენებენ. ერთ კომედიას, მეორეს – განგსტერულს...

[1] ორჰან ველი – ცნობილი თურქი პოეტი (1914-1950).

[2] ევკაფი – მეჩეთების, სკოლების ან საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის ნაანდერძევი თუ ნაბოძები უძრავი ქონების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი ლუდით ოდნავ გაბრუებული, სავარძელში ჩაჯდებოდა და ფილმის მღელვარე დინებას მიეცემოდა. ასე კანტორაშიც დროზე მივიდოდა. „ასეთ ამინდში გადავდექი სამსახურიდან... ოჰ, რა კარგია ცხოვრება..." მას თვალწინ აუთრთოლდა დესპინეს წითელი ბაგეები. ნახევრად შიშველი დაკლაკნილი სხეულის წარმოდგენაც კი რა დიდი სიამოვნებაა. „კანტორა. ერთი, შენც... ერთხელაც არ წავალ. ასეთ ამინდში დამვიწყებია შინ მარილის და პურის მიტანა". ბუიუქდერეს აგარაკის გასაღები ჯიბეში ედო. ზამთარში ბეიოლლუში რომ გადმოდიოდნენ, დედამისმა ნივთები გულდასმით მოაგროვა, ხალიჩები ჩამოხსნა, ფანჯრებზე ქაღალდები ააკრა, თუმცა ერთმანეთზე დახვავებულ ავეჯს შორის სიყვარულს სულ სხვა გემო ჰქონდა. ბაღში ყვავილებმა კვირტი გამოიღეს, მზე გავარვარებული ანთია ზღვის თავზე. პატარა ტალღები ნაზად ეალერსება ნაპირის ხავსიან ქვებს. დესპინე შიშველი დგას, ქაღალდაკრული ფანჯრებიდან შემოსული წითელი სხივებით განათებული. მისი ვარდისფერი სხეული ხარბად ისრუტავს მზის სხივებს, რომლებიც ხან მხრებზე ეცემა, ხან კისერზე, ხან კი ბაგეებზე. ქირეჩის კონცხიდან გამავალი გემის საყვირის ხმა სილრმიდან მოსულ იავნანას ჰგავს. ახლა ყველაფერი მოქცეულია სიყვარულის გალაქტიკაში, რომელიც ერთიმეორისკენ მიზიდული ნაწილაკებისგან შედგება. „მე ამ შესანიშნავმა ამინდმა დამღუპა".

– ჯემილ, ჯემილ!

ადვოკატმა ჯემილმა თავი ასწია. მოშორებით მანქანა იდგა. ფაჰირს ავტომანქანის კარი გამოელო და ეძახდა:

– საით?

– არსაით. შენ?

– ფილმის გადაღებაზე მივდივარ.

ჯემილს გაეღიმა. ბოლოს და ბოლოს, რეჟისორმა ფაჰირმა მონახა ფულიანი კაცი, რომელიც ხარჯს გაიღებდა მისი მრავალი წლის საოცნებო მხატვრული ფილმის გადასაღებად. საწყალი კაცის მიერ ომის დროს ერბოს სპეკულაციით ნაშოვნ ფულს ის ახლა კინოკამერაში ხარჯავდა.

– შენც ხომ არ წამოხვიდოდი?

– ვერ წამოვალ.

– რატომ? ნახე, რა კარგი ამინდია.

– სასამართლო მაქვს.

– კარგი აბა, თორემ დამაგვიანდა, ფიცარნაგი დიდი ხანია, მზადაა.

ჯემილს ისევ გაეღიმა. ფაჰირს კარგად იცნობდა. არ ახსოვს, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც დროზე მისულიყო საქმეზე. მან ხელი დაუქნია სწრაფად მიმავალ მანქანას.

მანქანა ბართან გაჩერდა. ამ ბარს „აილე ბაჰჩესი" ერქვა. იგი თავისუფლების გორაკისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს და ვინმე ბარბას ეკუთვნის. ფაჰირი მაქანიდან გადმოვიდა. მსახიობები ამ დროს მესამე ხელ ნარდს აგორებდნენ. ოპერატორი ხის ძირას იწვა და ცას ათვალიერებდა. სტუდიის ერთი მუშა მის დანახვაზე ადგილიდან წამოხტა და პატრონის გულის მოსაგებად აქეთიქით კითხვა დაიწყო, ახლომახლო ტელეფონი სად არისო. ფაჰირმა თვალი შეავლო ქალის როლის მომავალ შემსრულებელს, ჰარიქას. „რა ფეხები აქვს," – გაივლო მან გულში და ხმამაღლა შესძახა:

– აბა, ვიწყებთ!

ბარის უკან მდებარე მდელოს ბურსის ვილაიეთის სოფელი უნდა წარმოესახა. ფაჰირს მიაჩნდა, რომ მდელო ყველგან მწვანეა.

ოპერატორმა კამერა დადგა. მსახიობებმა მზის რეფლექტორები მდელოზე გადაიტანეს. მათ რამდენიმე კაციც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშველა, რომლებიც აქ დილის ჰაერის გადასაყლაპად მოსულიყვნენ. ჰარიქამ ხელახლა შეიღება ტუჩები. ახალგაზრდა მამაკაცის როლის შემსრულებელმა ჰაჯივათ ჰუსეინმა კბილებჩამტვრეული სავარცხლით უკანასკნელად გადაივარცხნა თმა. ასისტენტმა თავის რვეულში ჩაიხედა:

– ას სამოცდამეთვრამეტე სცენა, შორი პლანი.

ფაჰირმა ფიცარნაგზე თავ-თავის ადგილზე მდგომ ჰარიქას და ჰაჯივათს ელვასავით მზერა ესროლა, რა ფეხები აქვსო, გაივლო გულში და:

– კარგია! ახლა მოისმინეთ, რა უნდა გავაკეთოთ. ჰარიქა ხეებიდან გამოვარდება და ჰუსეინისკენ გაიქცევა. მის დანახვაზე ჰუსეინი სახტად დარჩება, შემდეგ სიხარულის შეძახილი აღმოხდება და ჰარიქას გადაეხვევა... გასაგებია?

– დიახ.

– აბა, დავიწყოთ. მზადა ვართ?

– მზადა ვართ.

– კარგია...

კამერა საკერავ მანქანასავით არახრახდა. ჰარიქა და ჰუსეინი მთელი სულითა და გულით შეუდგნენ ას სამოცდამეთვრამეტე სცენის გათამაშებას. ისინი მთელი ძალით ჩაეკვრნენ ერთმანეთს, მაგრამ ფაჰირს თამაში არ მოეწონა. სცენა გაიმეორეს. ერთხელ კიდევ. კიდევ ერთხელ... როცა ჰაჯივათის ძლიერმა მკლავებმა ჰარიქას ძვლებს ჭრაჭაჭრუჭი დააწყებინა, ფაჰირმა კამერა გააჩერა.

– არ მინდა, – წამოიძახა მან, – ეს სცენა ამოიღეთ სცენარიდან.

ჰარიქამ და ჰუსეინმა ნაღვლიანი მზერა მიაპყრეს ფაჰირს.

ამ დროს ხის ძირას დილის ძილს მიცემულმა იტალიელმა კონსულტანტმა, სეკონდო სერამ, გაახილა თვალი:

– რა უნდა შენ? – ჰკითხა მან დამტვრეული თურქულით იქვე მდგომ ბოშა ქალ ნაიმეს.

– მოდი, გიმარჩიელო, მუხუდოს მოვაბნევ, შენს ბედ-ილბალს ამოვიკითხავ, ჩემო ქერათმიანო ეფენდი.

– შენ მარჩიელია?

– მარჩიელია. გინდა – მუხუდოზე, გინდა – სარკეზე...

– მარჩიელია და მერე რას ამბობს?

– ახლანდელს, წარსულს, მომავალს გეტყვი. შენ ამ თავსაფარში ოცდახუთიანი ჩააგდე, თვალებზე გეტყობა, შენი ყისმათი ქერაა...

– არ უნდა მე ქერა.

– მაშინ შავგვრემანი იყოს.

– არ უნდა მე შავგვრემანი.

– წითურზე თუ თანახმა ხარ, ჩამიგდე ეგ ოცდახუთიანი.

– არ მინდა მე წითელთმიანი. ფული იქნება, ფული, შენ ის მითხარი.

– მაჩვენე ხელისგული, ვნახო... ოჰ, ოჰ, ოჰ. ფული, ფული, თან რა ფული... მალე დიდი ფული გექნება...

– მალე?

– სამ წელიწადში. შეიძლება სამ დღეში, სამ თვეშიც... ერთი ამ ხაზს შეხედე, ღმერთმა ავი თვალისაგან დაგიფაროს. ეს რა გრძელი ხაზია...

– რა ხაზია?

– სიცოცხლის ხაზი, სიცოცხლის. დიდხანს ფეხს არ მოიცვლი ამ ქვეყნიდან.

– რა ფეხი?

– უბრალოდ, დიდხანს იცოცხლებ... აბა, ერთი გადმომიგდე ოცდახუთიანი.

იტალიელი გაიღრიჭა. შემცივნებულ ფეხებზე ხელი მოისვა და წამოდგა. ჯიბიდან ათყურუშიანი ამოიღო და ჩაცუცქულ ნაიმეს გადაუგდო. შემდეგ მიბრუნდა და მსახიობებისკენ გაემართა, რომლებიც ას სამოცდამეცხრამეტე სცენას მეექვსედ იმეორებდნენ.

– მესიო ფაჰირ, – დაიძახა მან, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი აზრი მომივიდა. ეს ხეები არ მოგეწონა მე. უნდა, რომ ფილმი ბურსაში გადაიღოს...

ჰარიქამ და ჰაჯივათმა ნაღვლიანად შეხედეს სეკონდო სერას.

„ეს ტიპი ბურსაში უფრო ადვილად იძინებს ხეების ძირას", – გაიფიქრა ოპერატორმა თავისთვის.

ნაიმემ მუხუდოები აკრიფა.

– ამ მსახიობებთან ხეირი არ არის, – წაილულლულა მარჩიელმა, – ყველა გაფხეკილია... წავიდე ერთი, იმ არაბი მეჰმედის კაფეში შევიხედო. ღმერთმა აცოცხლოს. იქნებ უკვე მოვიდნენ შეყვარებული წყვილები....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერდალ ათაბეგი
(1930)

ფეხზე დგომის საბადლო[1]

(თავი წიგნიდან „ადამიანური სითბო")

შიში, სირცხვილი, დამცირება, მარტოობა....

თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ერიდება ყოველივე ამას. ცხოვრებაში ამისგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია, ზოგჯერ შიში აგვეტორღიალება, ზოგჯერ სირცხვილის შემაწუხებელი სუნთქვა ან დამცირების ნოტიო ჭუჭყი, ხან კი მარტოობის შიშველი სიმწარე მოგეახლება. არც ისეთი შემთხვევებია ცოტა, როცა ყველაფერი ერთად დაგვატყდება თავს.

ციხეშიც ეს ყველაფერი ერთად იყრის თავს.

სწორედ ციხეში ბუდობს სირცხვილი, დამცირება, მარტოობა.

ამას მუდამ ჰყვებოდნენ ციხის შესახებ. ამას მუდამ წერდნენ, ამას გვასწავლიდნენ. ასეთი იყო ციხის ცხოვრება. მონაყოლი, დაწერილი თუ ნასწავლი ადამიანის სულში „ციხისეულ შიშს" ნერგავდა და კვებავდა ამ შიშს.

მე ციხისეული შიში, სირცხვილი, დამცირება და მარტოობა ციხეშივე დავთრგუნე. ეს იმიტომ მოხდა, რომ სხვა გზა არ არსებობს.

ციხე ყველაზე დიდი ბოროტებაა, რომელსაც კი ადამიანი ადამიანის წინააღმდეგ მიმართავს.

რა დანაშაულიც უნდა ჰქონდეს ჩადენილი, ადამიანის მოწყვეტა სახლისგან, საქმიანობისგან, თავისი საყვარელი ადამიანებისგან, გარემოსგან, თავისი ჩვევებისგან, ჩვეული ყოფისგან და სხვაგან მისი დამწყვდევა ყველაზე დიდი სიავეა იმ სიავეთა შორის, რომელიც კი შეიძლება მოხდეს. ამ საქციელს რა მიზანიც უნდა ჰქონდეს, საზოგადოებაში ამ გზით ადამიანის დაბრუნებაც კი, ადამიანის გამოსწორებაც კი რომ იგულისხმებოდეს, არსებითად მაინც ნიშნავს, რომ ადამიანი მოსწყვიტეს საზოგადოებას, პიროვნება მოსწყვიტეს სიცოცხლეს.

მე საერთო ჯამში ოცდათვრამეტი წელი ვიჯექი ციხეში.

ეს, ზოგის აზრით, ძალიან ბევრია, ზოგის აზრით კი – ძალიან ცოტა.

ციხეში ჯდომის სიცოცხლე ხანგრძლივობით არ იზომება. შეიძლება ისეთი წუთები გადაიტანო, რომ ციხეში საუკუნეგატარებულს დაემსგავსო. ისეთი წუთებიც შეიძლება განიცადო, რომ ციხე არაფრად მიიჩნიო. ეს ადამიანმა თვითონაც კი არ იცის კარგად.

ცხოველებზე დავფიქრდი! ნეტავ თუ არსებობს ისეთი ცხოველი, რომელმაც თავისი სისხლ-ხორცი ციხეში ჩასვა? ვერ აღმოვაჩინე. არსებობს ცხოველი, რომელიც თავისიანს ეტოქება, არსებობს ცხოველი, რომელიც თავისიანს სიცოცხლეს მოუსწრაფებს ან შეჭამს. მაგრამ ციხეში მოძმის ჩამსმელი ცხოველი არ მეგულება. დატუსაღება ადამიანის ეშმაკეული თვისებებიდან მოდის, მისი მანკიერი მხარეა.

ციხეში ჩასმა ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობის სურვილის ნაყოფია.

შიში, სირცხვილი, დამცირება,

---

[1] მწერლის გაზეთი, 12-18 სექტემბერი, 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობა მომაკვდინებელია ადამიანისთვის.

მე რომ მკითხოთ, ადამიანებს სწორედ ასე კლავენ.

აბა, მიმოიხედეთ ჩვენ ირგვლივ. განა ვერ ხედავთ ამ გზით დახოცილ ადამიანებს? განა ასე არ გაჩნდა მდუმარე ადამიანი, ფიქრს გადაჩვეული ხალხი, თავისი გრძნობებით დამფრთხალი პირები, ცხოვრების სხვა ყაიდას მონატრებულები?

ეს ხალხი არც ციხეში მჯდარა, არც არავის უბეგვია, არც დაუხოცავს. ეს ხალხი შიშმა, სირცხვილმა, დამცირებამ, მარტოობამ დააფრთხო. ამ შიშმა დახოცა. ასეთი სიკვდილის შემდეგ ისინი ადამიანებად მოევლინენ ქვეყანას. „სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის" ერთი სახეობა, ალბათ, ეს არის.

ამ ხალხის დათრგუნვის გზა არის მათთან პირისპირ შეხვედრა, მათი არსებობისათვის ხელის შეწყობა. მათი შიშის, შერცხვენის, დამცირების, მარტოობის შესწავლა.

ყოველივე ამის დამარცხების გზაა მათთვის თვალებში ჩახედვა.

ამ ხალხის დამარცხების გზაა შიშით, სირცხვილით, დამცირებით, მარტოობით მათი გადათელვა.

უნდა შევიგნოთ, რომ შიშით შეპყრობილს არ უნდა გეშინოდეს, შერცხვენილს არ უნდა გრცხვენოდეს, დამცირებულს თავი არ უნდა გემცირებოდეს, მარტოხელას თავი არ უნდა გემარტოხელებოდეს. უნდა გამრავლდე.

ყოველივე ამას საპყრობილე ასწავლის ადამიანს.

როცა რკინის კარებს მოგიხურავენ, როცა ჯაჭვის ჟღარუნი გაგრძნობინებს, რომ შენ მარტოდმარტო რჩები...

როცა საკუთარი თავის დანახვასაც ერიდები, მაშინ რჩები მარტოდმარტო.

ახლა, ამ დროს, ფეხზე დგომის ჟამი რეკს.

ახლა, ამ წუთში, არც წარსული არსებობს, აღარც მომავალი, არც სამართლიანობა, არც უსამართლობა, არც სიმართლე, აღარც შეცდომა.

ახლა ფეხზე დგომის ჟამია, ფეხზე დგომაა საჭირო.

ფეხზე დგომაა საჭირო, ფეხზე დგომაა საჭირო, ფეხზე დგომაა საჭირო. ფეხზე დგომა. ასეთ ჟამს, ათეული წლის განმავლობაში, ასეული წლის განმავლობაში საჭიროა ფეხზე დგომა.

და იდგებით კიდეც ფეხზე.

ფეხზე დამდგარი პირველი პრიმატის, ფეხზე დამდგარი, ვინ იცის, რამდენი ათასი წლის წინანდელი თქვენი წინაპრის გაოგნებული სიხარული აღავსებს თქვენს სულს. თქვენ ფეხზე დგახართ. თქვენ ფეხზე დგახართ.

და მუდამ ფეხზე იდგებით.

და ამის შემდეგ უკვე ფეხზე დგომის საფასურს გადაიხდით.

ფეხზე დგომის საბადლო ძალიან მძიმეა. შიში უნდა დაძლიოთ, სირცხვილი უნდა დაძლიოთ. სავალი გრძელია, ქვა-ღორღიანია, ეკლიანია. ქანცს გაგაცლით, სულს წაგიღებთ, გაგტანჯავთ.

მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. უნდა წინ იაროთ და იაროთ. ფეხზე რომ დადექით, ეგ არაფერია. ფეხზე დგომის საბადლო უნდა გადაიხადოთ.

გამბედაობა, ნდობა, ღირსება, გამრავლება ამ გზის ბოლოს კი არ გელოდებათ, ზედ ამ გზაზე ძევს.

შიშში ცხოვრებით გამბედაობა უნდა ისწავლოთ; სირცხვილში ცხოვრებით – ნდობა; დამცირებაში – ღირსება; მარტოხელობაში – გამრავლება.

შემდეგ გამბედაობას, ნდობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსებას, გამრავლებას დიდი მნიშვნელობა ალარა აქვს.

მნიშვნლეობას ამის შემდეგ ადამიანობა იძენს.

სიცოცხლის განმავლობაში ბევრი ამათგანი შემოგებნევათ. ზოგჯერ გამბედაობის ნაკლებობას იგრძნობთ, ზოგჯერ ნდობის შერყევას, ხან ღირსების შელახვას, ხანაც – მარტოობას.

მაგრამ უკვე „ადამიანი ხართ“, ყველაფერს დაძლევთ. გაგების, ცოდნის, გააზრების, შეგრძნების მეშვეობით გადალახავთ.

„ადამიანი“ აკი თქვენში ზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი აქბაში
(1942)

ტყის ზმანებანი[1]

ახალგაზრდა მეტყევე-ინჟინერი, თავზე ჩაფხუტით, ტყეში მძიმედ დააბიჯებდა და ბებერ ხეებს არჩევდა. ინჟინრის მიერ შერჩეულ ხეზე ჯერ ჩია კაცი ავიდოდა, წელზე შემოკრულ ქამარს შემოახვევდა, შემდეგ კი ელექტროხერხით შეიარაღებული ხისმჭრელი მიწაზე გააგორებდა.

ჩიტებს ახლა უკვე ძველებურად აღარ აფრთხობდა ხეებზე ცულების ჩახაჩუხი. გაისმოდა ზრიალის ხმა და მუშების შეძახილზე, წავიდაო, ასწლოვანი ხეები იქ ეცემოდა ჭრიალითა და ზათქით, საითაც ხისმჭრელები თოკით ეწეოდნენ ხოლმე. ტყეს ფისის სუნით გაჟღენთილი მტვრის ბული ეფინებოდა. ცის ლაჟვარდის ცქერას და ფრინველთა ყლურტულ-გალობას მიჩვეული ვეება ხე ერთ წუთში აღარ იყო.

ისე კი, ხე რომ დაეცემოდა, ახალგაზრდა ინჟინერი მაშინვე ზურგს შეაქცევდა იქაურობას; ოღონდ ძნელი გამოსაცნობი იყო, ცხვირსახოცით ის ოფლს იწმენდდა ამ დროს თუ ცრემლებს. ეს ყმაწვილი, როგორცა ჩანს, ცოტა პოეტური ბუნების კაცი უნდა ყოფილიყო... ამ ხეების ჭრას ხომ თვითონ ხელმძღვანელობდა და წაქცეული ხის ცქერა კი აღარ შეეძლო?..

უფრო მოგვიანებით, შუა ტყეში, ერთ პატარა მინდორზე, სადაც ციყვები ნებივრობდნენ ხოლმე, კიდურებდაჭრილი ეს ხეები ერთი ზომის მორებად და კუნძებად იხერხებოდა, ჯიშისა და ხარისხის კვალობაზე ცალ-ცალკე ეწყობოდა... ნაძვი, ღვია, მუხა, რცხილა, ფიჭვი. ამ ხეების სვე-ბედი ულვაშებიანი მეტყევის თითის მოძრაობაზე იყო დამოკიდებული. ან სამშენებლო მასალად გადაალაგებდნენ, ან საწვავად. და აი, მაშინ კი აღარ ასცდებოდათ ცეცხლის ალში დაწვა და ნაცარტუტად ქცევა.

ხეები გულის ბაგაბუგით ელოდნენ თავის განაჩენს. განა კი ადვილი იყო?.. ხე რომ ხე ხარ, ამდენი წელია, ტყეში ცხოვრობ, შენს გემოზე წყალი გაქვს და ჰაერი, მეზობლები გახვევია, რამდენ ჩიტს ბუდეც უკეთებია შენს ტოტებზე; თავი ღრუბლებში გაქვს და ცის სილაჟვარდეს შესცქერი, მშვიდ ღამეში ვარსკვლავებს ესაუბრები; მერე კი მოულოდნელად მოგადგება ვიღაც, მკერდზე ხერხს მოგაბჯენს და მიწაზე აღმოჩნდები გართხმული... საშენ მასალად თუ ივარგე, კიდევ რა გიშავს, რაღაცაში მაინც გამოდგები... შენგან მაგიდას, სკამს, კარადას ან სხვა რამეს მაინც გამოჭედავენ, კიდევ ასწლეულს გაუძლებ. მაგრამ თუ საწვავად გაგამწესეს? აი, მაშინ იკითხე შენი ამბავი.

ზორბა ტანის ტყისმჭრელები მოზრდილ კუნძებს იღლიაში ამოიჩრიდნენ და გვერდზე მოისროდნენ. ზოგს – შეშად, ზოგს – საშენ მასალად. ამ დროს ერთი კუნძის რიგიც დადგა. შორიდან არ ეტყობოდა, რაში ივარგებდა. სამშენებლო მასალად არ გამოდგებოდა, რადგან მოკლე იყო ძალიან. გარეგნობა კი ისეთი ლამაზი ჰქონდა, რომ დასაწვავად არ ემეტებოდათ. მუშები შეყოვნდნენ. კუნძი ხელში ეჭირათ და აღარ იცოდნენ, საით წაეღოთ. ამ დროს ულვაშა მეტყე-

[1] მწერლის გაზეთი, 5-11 სექტემბერი, 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემ ხელი შეშად განწირული კუნძებისკენ გაიშვირა და ტყისმჭრელები ყოყმანიდან გამოიყვანა. გაისმა ლაწანი და კუნძმა შეშების გროვაში ამოყო თავი.

– ვაიმე, – წამოსცდა ლამაზ კუნძს, – ვაიმე, მორჩა ჩემი საქმე. შენ დაგევსოს თვალები, მამასახლისო, შეშად მიმეტებ, არა? აგრე რამ გაგრეცხა სინდისისგან, – ამოიკვნესა კუნძმა.

ამ დროს ხმა ამოილო ინჟინერმა, რომელიც მორზე იჯდა ჩუმად და ხისმჭრელებს გასცქეროდა:

– ბიჭებო, აბა, ერთი ეგ კუნძი აქეთ გადმოდეთ.

მუშებმა ეს უცნაური კუნძი საშეშედ გადადებული გროვიდან აიღეს და გვერდზე დადეს. მეტყევეს კრინტი არ დაუძრავს, თორემ გულში ძალიან გაბრაზდა ინჟინერზე. ამ ახალ გამომცხვარს ნეტავ რა ჭკუა მოეკითხება... ეს უჯიშო კუნძი შეშის გარდა, აბა, სხვა რაში გამოდგებაო.

ამ კუნძს კი, რომელსაც წარამარა ადგილს უცვლიდნენ, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, შეშობას კი დააღწია თავი, მაგრამ საშენ მასალად ჯერ არ იყო გამწესებული. რა ცუდია, როცა არც იქით ვარგიხარ, არც – აქეთ, შეშა რომ ყოფილიყო, ვიღაცას ხომ მაინც ასიამოვნებდა თავისი სითბოთი. ახლა კი?! არც ჯოჯოხეთში მოხვდა, არც – სამოთხეში. გიჟებისა არ იყოს, განსაწმენდელშია გაჩხერილი.

თვითონ კუნძისთვის რომ გეკითხათ, უნდოდა, რომ პატარა ზანდუკი ყოფილიყო, ზემოდან სამოთხის სურათებით მოჩუქურთმებული, სამზითვო. ამ სურათებით მარაშელი[1] ოქქეში ერთ კვირაში დაამშვენებდა მას. ხეკაკუნა კოდალასავით ჯიუტად აკაკუნებდა თავის იარაღ-ხელსაწყოებს, დღე და ღამეს გაასწორებდა და ერთ კვირაში მოაჩუქურთმებდა ზანდუკს. აქეთ-იქიდან თავქოჩორა, მარაოსავით კუდგაშლილ ორ ფარშევანგს მოუსვამდა, შუაში ვარდის გაფურჩქნილ ბუჩქს ჩაუსვამდა თავისი ფართოდ გაშლილი ტოტებით. იქნებ მდინარეც ჩაეხატა სადმე, რომ სახლს სიგრილე და სიამოვნება მოჰფენოდა... ვინ იცის? მერე კი ბერდიზიდან, ალიშარიდან[2] ან მაღალი იალაღებიდან მზითევის გასამართად ქალაქს ჩამოსული ლოყაწითელი, კოპლებიან კაბაში გამოწყობილი, ცისფერმოსასხამიანი თურქმენი გოგონა თვალს დაადგამდა ამ ნახატებს და იტყოდა, – ან ეს მიყიდეთ, ანდა სხვა არა მინდა რაო; უზანდუკოდ, აბა, რა მზითევი იქნება. სარკე და ზანდუკი.

მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინ იქნებოდა ეს: აიშე, ფათიმა, გულლუ თუ ზეინაბი. ვინც გინდა ის ყოფილიყო, ის აუცილებლად ასლისა და შირინის[3] მოდგმისა იქნებოდა. წაიღებდა ამ ზანდუკს და ჩარდახის ყველაზე თვალსაჩინო კუთხეში დადგამდა. შიგ ხომ, ვინ იცის, რას არ ჩაალაგებდა. მოჩითულს და დაქარგულს, ვერცხლის სამაჯურებს, აქატის ყელსაბამებს, ჯარიდან მოწერილ წერილებს, დანიშნულის თმის კონას, სირმით გადაკრულს. ბოლოს, ყოველივე ამას შორის ჩაიდებოდა ქარვასავით ჩაყვითლებული კომში, რომ ზანდუკის თავის ახდაზე იქიდან ნაზი სურნელი ამოფრქვეულიყო. ამ ზანდუკის გაღება მარტო პატრონს შეეძლო. სხვები ხელს ვერ ახლებდნენ. ამ ნივთებთან ერთად იმ ზანდუკში ქალწულის გულისნადებიც ინახებოდა. ამის გამო ის ეჟვნის ჟღარუნს გამოსცემდა ხოლმე, როცა აღებდნენ. ჩუმად ვერავინ გააღებდა. ზანდუ-

---

[1] მარაში – პროვინცია თურქეთის ცენტრალური ნაწილის სამხრეთში.
[2] ბერდიზი, ალიშარი – მაღალმთიანი სოფლების სახელებია ამ მხარეში.
[3] თურქული სასიყვარულო ეპოსის გმირი ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის გასაღები პატრონს მუდამ უბეში ედო.

ახალგაზრდა ინჟინრის სიტყვებმა – ბიჭო, აიღე ეგ კუნძი და ჩემი პიკაპის ძარაში ჩააგდეო – ფიქრებიდან გამოარკვია კუნძი და ოცნებაც შუაზე გაუწყდა.

მალე ბინდიც ჩამოწვებოდა. შინ დაბრუნების დრო იყო. ტყე ლაჟვარდისფერმა სიგრილემ მოიცვა. პიკაპი ოღროჩოღრო გზაზე მიიწევდა წინ. მეტყევემ ველარ მოითმინა და ინჟინერს მიუბრუნდა:

– კი, მაგრამ, ბატონო, ვერ გამიგია, ეს კუნძი რატომ წამოიღე, მაგისგან ხომ არაფერი გამოვა.

ინჟინერს ნირი არ შეუცვლია, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გაისწორა:

– აბა, რას ამბობ, მაგისგან არაფერი გამოვაო? გამოვა, მაგისგან საზი[1] გამოვა, საზი, – უპასუხა მან და მანქანის გუგუნს სიმღერა ააყოლა:

ფიქვნარიდან თეთრი ბოლი
ცისკენ მიიკლაკნება,
არხეინი კაცის გული დარდით არ
იტანჯება.

გუნებაწამხდარი კუნძი ამ სიმღერამ ისე გაახალისა, რომ, სმენამოკლებულიც კი, ლამის თვითონაც აჰყოლოდა ამ ჰანგს.

[1] საზი – აღმოსავლური სიმებიანი საკრავი ჩონგურის ტიპისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი ვოცდაური სული უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც უბრალო კუნძში, ხის ჩამოცვენილ გამხმარ ცოცხში დანახავს იმ სათაური ვოეზიას, რომელიც ჩვეულებრივი თვალისთვის მიუწვდომელია. მიუწვდომელია იქამდის, სანამ მნაცვრის ხელი არ შეეხება. თორმე საკმარისია ერთი შცრიხი, ერთი გამხმარი კორძის მოცილება, რომ ერთხელ მაკვდარი, ახალ, განსაკუთრებულ სიცოცხლეს დაუბრუნდეს. ბედნიერია, ჯერმარიცად, ადამიანი, რომელსაც ეს მდიდარი სული აქვს. მისთვის, როგორც ვასილთვის, დაუსრულებლად მეცყვლებს ბუნება. ნოდარ ჯანაშიას ნამუშევართა გამოფენა არა მარცო ესთეტიკურ განცდას აღძრავს, არამედ გათიქრებს და ეს თიქრი კარგა ხანს მოგყვება თან.

ვიოლეტა ცისკარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

რედაქციისგან 5

აზერბაიჯანული ლიტერატურა

ენვერ მამედხანლი, წითელი კოკრები 11
მთავარ გამზირზე (ციკლიდან „თავრიზული მოთხრობები“) 16

თურქული ლიტერატურა

ომერ სეიფედინი, სასწაული 21
ქრთამი 22

რეშათ ნური გიუნთექინი, ნარჩიტა (ნაწყვეტი რომანიდან) 25

საბაჰათინ ალი, სატვირთო მანქანა 37
ურიკები ხუთ ყურუშად 40
ბატები 42
შუშის კოშკი 45

ორჰან ქემალი, შიმშილი 50
სუათ დერვიში, ქურდი 53
ფოსფორიანი ჯევრიე (ნაწყვეტები რომანიდან) 56

ბექირ სითქი ქუნთი, ბეჭედი 63

ჯევდეთ ქუდრეთ სოლოქი, ჩვენი ქუჩა 67
ორჰან ჰანჩერლიოღლუ, ალი 71
დიდრონი თევზები (ნაწყვეტი რომანიდან) 77

ერდალ ათაბეგი, ფეხზე დგომის საბადლო 89
(თავი წიგნიდან „ადამიანური სითბო”)

ალი აქბაში, ტყის ზმანებანი 92

ი 32/43

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი: 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი: 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

ტირაჟი 40 (ორმოცი) ცალი

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

9 772346 841005